ლიბერალი
№ 175 ნოემბერი 2016

ტრამპის ამერიკა გვ. 06
„შეგვიძლია კი?“ - ობამას წლები გვ. 10
მოხის საჯილდაო ქვები გვ. 38
ქალაქი, რომელმაც მდინარე დაკარგა გვ. 56
...რომ არ მივიღოთ „კონსტიტუციური კოშმარი“ გვ. 16
მარიხუანა, როგორც წამალი გვ. 32

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 5 ლარი
ISSN 1987-7528
9 771987 752008

1737
2016

სეფთა ჰაეროს უფროსები

გვ. 48

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა მორჩილაძე



ანი მილორნი

ბიჩვანქა სტეჩლინგით შოხს

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი წიგნი

გამომცემლობა „არტანუჯი“

ლიბერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერალი

№ 175 ნოემბერი 2016

ჟურნალის რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამბების რედაქტორი
დათო გამისონია

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

ჟურნალისტები
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, ქეთევან ღვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამისონია, სალომე გორგოძე, ქრისტინე მუჯირი

კონტრიბუტორები
ლევან ახალაია, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, გიორგი კეკელიძე, გრიგოლ გეგელია, ნათელა გრიგალაშვილი

ჟურნალის დიზაინერი
თორნიკე ლორთქიფანიძე

ჟურნალის და ნიუსჯგუფის რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი

თემატური ჯგუფის სტილისტ-კორექტორი
ნათია ორმოცაძე

ბიზნესგანვითარების მენეჯერი
ქეთევან ქავთარაძე

ადმინისტრაციული მენეჯერი
მზია კუბლაშვილი

დისტრიბუტორი
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 247 02 46

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“.
მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. 50. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge
ვებგვერდი: www.liberali.ge
საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
შპს „სეზანი“.
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.

რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

www.liberali.ge

60



მაშინ, როდესაც ჟურნალ „ლიბერალის“ თქვენს წინ მდებარე ნომერი სტამბაში ეშვებოდა, მსოფლიოს მედიისა და საზოგადოების ყურადღება ამერიკის შეერთებული შტატებისკენ იყო მიმართული.

ამ „ტიპის“ ყურადღება ამერიკას კიდევ წლები არ მოაკლდება, ვინაიდან თბილისის დროით 9 ნოემბრის დილას ცნობილი გახდა, რომ ექსცენტრული მილიარდერი, დონალდ ტრამპი მომავალი წლის დასაწყისში ფიცს დადებს და თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლიდერის სავარძელს ოფიციალურად დაიკავებს

„შეერთებული შტატების „დამფუძნებელი მამების“ მიერ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებიდან 240 წლის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდა. 70 წლის ბიზნესმენის გამარჯვებას თითქმის არავინ ვარაუდობდა, თუმცა ამერიკელმა ამომრჩეველმა სხვაგვარად გადაწყვიტა. ტრამპი, რომლის პრეზიდენტობა „სიმფსონების“ სცენარისტებმა ჯერ კიდევ 2000 წელს იწინასწარმეტყველეს... გავლენიანი გამოცემები და ექსპერტები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ის პრეზიდენტობისთვის შეუფერებელია. ცნობილი გაზეთების რედაქციათა უმრავლესობამ კლინტონს ღიად გამოუცხადა მხარდაჭერა, ცნობილი მსახიობები და მომღერლები მხოლოდ ყოფილი პირველი ლედის კამპანიაში მონაწილეობდნენ. მიუხედავად ამისა, დონალდ ტრამპმა 19 თვის წინ „რესპუბლიკური პარტიის“ ეროვნულ ყრილობაზე ამომრჩევლის წინაშე დადებული პირობა შეასრულა – „იბრძოლა და გაიმარჯვა“. – ეს არის ამონარიდი ლევან ახალაიას სტატიიდან „ტრამპის ამერიკა“.

ამავე სტატიაში გაეცნობით გზას, რომელიც არაპროგნოზირებადმა ბიზნესმენმა თეთრი სახლისკენ გაიარა. შეიტყობთ მისი გეგმებისა და დაპირებების, ასევე მისი მმართველობის რისკების შესახებ.

ფაქტია, ეს იყო არჩევანი, რომელსაც ბევრი არ ელოდა, თუმცა ამერიკელმა ამომრჩეველმა სხვაგვარად გადაწყვიტა.

ზურაბ ვარდიაშვილი, ჟურნალის რედაქტორი

სარჩევი

04 **ავტორები**

უცხოეთი

06 ტრამპის ამერიკა
ავტორი: ლევან ახალაია

თვალსაზრისი

10 „შეგვიძლია კი?“ – ობამას წლები
ავტორი: გრიგოლ გეგელია

ინტერვიუ

16 ...რომ არ მივიღოთ „კონსტიტუციური კოშმარი“
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი

ეკონომიკა

20 რას მოგვიტანს ახალი ეკონომიკური სტრატეგია
ავტორი: სოფო გოგიშვილი

განათლება

24 ბარიერები პროფესიულ განათლებაში
ავტორი: სალომე გორგოძე

ჯანდაცვა

32 მარიხუანა, როგორც წამალი
ავტორი: ნათია ამირანაშვილი

საზოგადოება

38 მოხის საჯილდაო ქვები
ავტორი: დათო ფარულავა

რეპორტაჟი

48 სუფთა ჰაერის უფროსები
ავტორი: სოფო აფციაური

ქალაქი

56 ქალაქი, რომელმაც მდინარე დაკარგა
ავტორი: ეკა მაღალდაძე

ფოტოპროექტი

66 ირანის ცის ქვეშ
ავტორი: ნათელა გრიგალაშვილი

ბიბლიოთეკა

80 წერილი მამაზე
ავტორი: გიორგი კეკელიძე

კულტურა

82 ალვის ხეებში შრიალებს ევა...
ავტორი: დავით ბუხრიკიძე

სპორტი

87 მაურინიუ ვერაფრით
ავტორი: გიო ახვლედიანი

ფოტო: სოფო აფციაური

ჯანდაცვა

მარიხუანა, როგორც წამალი

ნევროლოგიური პრობლემები, პოსტტრავმული სტრესი, ტკივილი სხვადასხვა დაავადების დროს, უძილობა, უმადობა, – სამედიცინო მარიხუანას ამერიკის 25 შტატსა და ვაშინგტონში, ასევე მსოფლიოს მინიმუმ 10 ქვეყანაში სხვადასხვა დაავადების სიმპტომების წინააღმდეგ იყენებენ. რატომ უნდა თქვას საქართველომ ამაზე უარი, თუ შესაძლებელია, რომ ადამიანებმა ტკივილისა და დისკომფორტისგან შვება იგრძნონ? საქართველოში ეშინიათ, რომ მედიკამენტს ბოროტად გამოიყენებენ. არიან ისეთებიც, ვისაც სამედიცინო მარიხუანის შეუცვლელი ეფექტის ჯერ ბოლომდე არ სჯერა.

ნათია ამირანაშვილი
გვ.32

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განათლება

ბარიერები პროფესიულ განათლებაში

პროფესიული განათლება ქვეყანაში პოპულარული არ არის. კვლევებით დასტურდება, რომ სტუდენტები და მშობლები უმაღლეს განათლებას უფრო მიმზიდველ და სასურველ საგანმანათლებლო ალტერნატივად განიხილავენ, ვიდრე პროფესიულ განათლებას. სპეციალისტების შეფასებით, ამგვარი დამოკიდებულება პროფესიული განათლების სისტემაში არსებულმა უარყოფითმა განწყობამ და ბარიერებმა განაპირობა, – ე.წ. „ჩიხების პრობლემა“ პროფესიული კოლეჯების სტუდენტისთვის, ვისაც მხოლოდ საბაზო განათლება აქვს მიღებული, უმაღლესი განათლების მიმართულებით სწავლის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში, ბარიერს ქმნის.

სალომე გორგოძე
გვ.24

საზოგადოება

მოხის საჯილდაო ქვები

თითქმის ორი წელი ელოდა მოხის მოსახლეობა კომისიის დასკვნას, რომელსაც უნდა დაედგინა, არის თუ არა სადავო ნაგებობა ისტორიულად მეჩეთი; ან არის თუ არა იგი ეკლესიის ქვებით ნაგები, როგორც ამას ადგილობრივი ქრისტიანები მიიჩნევენ. თუმცა მოლოდინი ამაო აღმოჩნდა. ალბათ, ძნელად თუ წარმოიდგენდნენ მოხელი მუსლიმები, რომ 2014 წლის 22 ოქტომბრის ძალადობრივი მოვლენების შემდეგ ლოცვა დღესაც მეჩეთს გარეთ მოუწევდათ. კომისიამ არათუ დასკვნა ვერ გამოიტანა, ნაგებობის წარმომავლობის შესწავლაც არ დაუწყია და როგორც გაირკვა, ამ ეტაპზე ამას არც აპირებს.

დათო ფარულავა
გვ.38

ჰეპოჰტაპი

სუფთა ჰაერის უფროსები

წყალტუბოში საბჭოთა არქიტექტურისა და გამწვანებული სივრცეების შერწყმა, ერთი შეხედვით, ეგზოტიკურ გარემოს ქმნის. ხეებში ჩაფლული სკვერები და შემოდგომის ფერები ქუჩებში ამ ქალაქში პირველად ჩასულ ადამიანს რომანტიკულ ემოციებს უღვიძებს. ირგვლივ მხოლოდ კანტი-კუნტად მოსიარულე მანქანების ხმაური ისმის. სტალინის დროს აშენებული ერთ-ერთი სანატორიუმიდან პეგასის თეთრი ქანდაკება გაქვავებული სიმბოლოსავითაა წამოჭიმული. სიმბოლო გაქვავებული ქალაქისა და იმ დევნილების ცხოვრებისა, რომლებიც 24-ე წელია აქ, სხვადასხვა სანატორიუმში მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში იმყოფებიან.

სოფო აფციაური
გვ.48

ინტერვიუ

...რომ არ მივიღოთ „კონსტიტუციური კოშმარი“

ეს მანდატები, სინამდვილეში, ერთი ადამიანის ხელშია და კითხვა, როგორ უნდა გაკონტროლდეს ხელისუფლება, აბსოლუტურად ლეგიტიმურია. ამ მოცემულობამ ჩვენ, მათ შორის არასამთავრობო სექტორი, ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა.

ზურაბ ვარდიაშვილი
გვ.16

ქალაქი

ქალაქი, რომელმაც მდინარე დაკარგა

მოუხერხებელი, სარეკრეაციო ფუნქციით – გამოუყენებელი, დაბინძურებული და ტურისტებისთვისაც არც ისე მიმზიდველი. მდინარე, რომელიც შეიძლება დიდი ურბანული დასახლებისთვის მთავარ სასიცოცხლო არტერიად იყოს გამოყენებული, დღეს მხოლოდ გამდინარე წყალია.

ეკა მაღალდაძე
გვ.56

3/308

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო ახვლედიანი
მაურინიუ ვერაფრით

მაურინიუ კვლავ ვერ აეწყო. ჯერჯერობით მაინც. მიაყოლა და მიაყოლა მისმა მანჩესტერმა უვარგისი თამაშები და საქმეს პირიც ისეთი უჩანს, რომ გუნდის ამოთრევა უფრო და უფრო რთული ხდება.

გრიგოლ გეგელია
შეგვიძლია კი?“ – ობამას წლები

ბარაკ ობამა მარტივად იქცა ოპტიმიზმის მონარქად ჯორჯ ბუშის პოლიტიკის მიერ ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებულ ამერიკაში. ობამას ძალაუფლებაში მოსვლა ჭეშმარიტად იყო ჩუმი რევოლუცია.

ლევან ახალაია
Madame President

ჰილარი როდემ კლინტონმა 69 წლის იუბილე ოქტომბრის ბოლოს აღნიშნა. მომავალი წლის დასაწყისში ის ფიცს დადებს და თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლიდერის სავარძელს ოფიციალურად დაიკავებს.

“

მამებზე ძნელად წერენ ხოლმე. წერენ, მაგრამ ვერც ისე იოლად, როგორც, ვთქვათ, დედებზე. მე დღეს მამაზე ვწერ. თუ მამას ვწერ:

გიორგი კეკელიძე
წერილი მამაზე

სადღაც საათის ჩაძინებული, დილის ექვსისკენ, დედაჩემმა გამაღვიძა და საოცრად მტკიცე ხმით მითხრა: მამაშენი აღარ არის, გიორგი, იცოდე, შენ კარგად უნდა იყო, ასე უნდოდა მამაშენს.

ბლოგი

ნათია ფანჯიკიძე
მელაპარაკე თვალებით

უხერხულობას გრძნობ, დუმილი თუ გახანგრძლივდება? თითქოს შენ გევალება გამხიარულება. ნუ დარდობ. ვინ იცის, ყველა თავის ფიქრშია გართული და ფიქრისთვის ძლივს მონახა დრო. შენც ჩაიძირე ფიქრში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წიგნიერების ევოლუცია

ლევან ბერძენიშვილი

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
მეორე წიგნი

გამომცემლობა „არტანუჯი“

ლიბერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრამპის პმეორიტა

ლევან ახალაია

შეერთებული შტატების „დამფუძნებელი მამების“ მიერ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებიდან 240 წლის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდა. 70 წლის ბიზნესმენის გამარჯვებას თითქმის არავინ ვარაუდობდა, თუმცა ამერიკელმა ამომრჩეველმა სხვაგვარად გადაწყვიტა. ტრამპი, რომლის პრეზიდენტობა „სიმფსონების“ სცენარისტებმა ჯერ კიდევ 2000 წელს იწინასწარმეტყველეს, მომავალი წლის დასაწყისში ფიცს დადებს და თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლიდერის კუთვნილ სავარძელს ოფიციალურად დაიკავებს. ცხადია, რომ ეს ტრამპისა და მისი შტაბის წევრების დამსახურებული გამარჯვებაა. წინასაარჩევნო კამპანია ნიუ-იორკელი მილიარდერისთვის იოლი არ ყოფილა. ყოფილ სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონთან დაძაბული კონკურენციის პირობებში ტრამპი მუდმივად მდევრის როლში იყო. გავლენიანი გამოცემები და ექსპერტები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ის პრეზიდენტობისთვის შეუფერებელია. ცნობილი გაზეთების რედაქციათა უმრავლესობამ კლინტონს ღიად გამოუცხადა მხარდაჭერა, ცნობილი მსახიობები და მომღერლები მხოლოდ ყოფილი პირველი ლედის კამპანიაში მონაწილეობდნენ.

მიუხედავად ამისა, დონალდ ტრამპმა 19 თვის წინ „რესპუბლიკური პარტიის“ ეროვნულ ყრილობაზე ამომრჩევლის წინაშე დადებული პირობა შეასრულა – „იბრძოლა და გაიმარჯვა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრამპის გზა „ოვალური კაბინეტისკენ“

დონალდ ტრამპი ნიუ-იორკში, დასახლება ქუინსში დაიბადა. აშშ-ის 45-ე პრეზიდენტის მამა ფრედ ტრამპი წარმომავლობით გერმანელი, ხოლო დედა მერი მაკლაუდი შოტლანდიელი იყო. ფრედი ნიუ-იორკში სახლებს ჯერ კიდევ 1920-იანი წლებიდან აშენებდა. დონალდს ბავშვობიდანვე რთული ხასიათი აღმოაჩნდა. 13 წლის ასაკში მშობლებმა ის სასწავლებლად სამხედრო აკადემიაში გაგზავნეს. ეს სკოლა მკაცრი წესებით იყო გამორჩეული. 1964 წელს დონალდი ჯერ ბრონქსში ფორდჰემის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, შემდეგ კი პენსილვანიაში გადაბარგდა, სადაც უორტონის ბიზნესსკოლა დაამთავრა.

როგორც თავად მილიარდერი აღიარებს, ბიზნესი მან წარმატებული მამის დახმარებით დაიწყო. „მილიონი დოლარი ვისესხე“ – ამბობს ტრამპი.

დონალდმა მამისგან განსხვავებული სტრატეგია აირჩია. ის საშუალო კლასისთვის არ აშენებდა. უკვე 1978 წელს მან პირველი ამბიციური პროექტი დაიწყო, რომელიც მანჰეტენზე „ჰაიატის“ ფეშენებელური სასტუმროს გახსნით დასრულდა.

2016 წელს დონალდ ტრამპის ქონებას „ფორბსი“ 4.5 მილიარდ დოლარად აფასებს. ის წარმატებული ბრენდის ავტორია, რომელიც აერთიანებს სასტუმროებს, გოლფის სათამაშო მოედნებს, სილამაზის კონკურსებს. თავად ტრამპი წლების განმავლობაში იყო პოპულარული გადაცემის წამყვანი. მიიღო რამდენიმე პრესტიჟული ჯილდო და დაწერა ავტობიოგრაფიული წიგნი. შეიძლება ითქვას, რომ ის „მდიდარი და წარმატებული ამერიკელის“ სიმბოლოდაც კი იქცა. საინტერესოა, რომ 2012 წელს დონალდ ტრამპი საქართველოშიც იმყოფებოდა, კერძოდ, ბათუმში, სადაც 47-სართულიანი „ტრამპ თაუერის“ პრეზენტაციას დაესწრო და პრეზიდენტ სააკაშვილისგან ბრწყინვალების ორდენიც მიიღო.

აშშ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე კენჭისყრის ამბიცია ნიუ-იორკელ ბიზნესმენს რამდენჯერმე გაუჩნდა. ყველაზე ბოლოს – 2012 წელს. ის ცნობილია კამპანიით, რომლის მიზანიც იმის დამტკიცება იყო, რომ ბარაკ ობამა აშშ-ში არ დაბადებულა.

2016 წელს 70 წლის მილიარდერმა საბოლოოდ გადაწყვიტა, პრეზიდენტი გამხდარიყო. პრაიმერისის დროს ტრამპის წარმატებას თავად რესპუბლიკელებიც კი არ ელოდებოდნენ, თუმცა ყველა პროგნოზი არასწორი აღმოჩნდა. გადამწყვეტი ბრძოლის დროს მილიარდერის განცხადებებმა არაერთი ცნობილი რესპუბლიკელის გულისწყრომაც დაიმსახურა. კამპანიის დროს აგორებული სკანდალების გამო კი, მის მხარდაჭერაზე უარი თქვეს ბუშის ოჯახის წევრებმა, გავლენიანმა ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა და პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა მიტ რომნიმ.

აშშ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე კენჭისყრის ამბიცია ნიუ-იორკელ ბიზნესმენს რამდენჯერმე გაუჩნდა. ყველაზე ბოლოს – 2012 წელს. ის ცნობილია კამპანიით, რომლის მიზანიც იმის დამტკიცება იყო, რომ ბარაკ ობამა აშშ-ში არ დაბადებულა. 2016 წელს 70 წლის მილიარდერმა საბოლოოდ გადაწყვიტა, პრეზიდენტი გამხდარიყო. პრაიმერისის დროს ტრამპის წარმატებას თავად რესპუბლიკელებიც კი არ ელოდებოდნენ, თუმცა ყველა პროგნოზი არასწორი აღმოჩნდა.

ზაფხულში გამართულ ეროვნულ ყრილობამდე ექსცენტრულ მილიარდერს თანაპარტიელებმა რამდენჯერმე მოუწოდეს, გამოსთიშოდა ოვალური კაბინეტისთვის ბრძოლას. ამის მიზეზი „ვაშინგტონ პოსტის“ მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერი იყო, სადაც ტრამპი ქალების მიმართ ცინიკურ და შეურაცხმყოფელ განცხადებას აკეთებს. სხვათა შორის, ამის გამო, ბიზნესმენს ბოდიშის მოხდა მოუწია, თუმცა ფარ-ხმალი არ დაუყრია. პრაიმერისის ბოლოს ის ერთადერთი კანდიდატი იყო, რომელიც „რესპუბლიკური პარტიიდან“ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობაზე პრეტენზიას აცხადებდა.

ჰილარი კლინტონთან სატელევიზიო დებატების დროს განხილვის საგანი გახდა ტრამპის მიერ გადახდილი გადასახადებიც. დემოკრატი კანდიდატი და მისი მხარდამჭერები აცხადებდნენ, რომ ის „ამერიკელი ხალხის კეთილდღეობაზე არასდროს ზრუნავდა“. ბევრს საუბრობდნენ ბიზნესმენის არაკვალიფიციურობაზეც. თითქმის ყველა სოციოლოგი ამტკიცებდა, რომ საარჩევნო მარათონის პერიოდში სამივე დებატი ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მოიგო, თუმცა ტრამპი მუდმივად ამბობდა, რომ ის ყველა პროგნოზის საწინააღმდეგოდ „საარჩევნო რუკას გადახაზავს და გაიმარჯვებს“, რაც 8 ნოემბერს რეალობად იქცა. როგორც შედეგებიდან ჩანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრამპის მხარდასაჭერად ის ამომრჩევლები გამოვიდნენ, რომლებიც აქამდე აქტიურობით არ გამოირჩეოდნენ. საშუალო კლასის წარმომადგენლებმა ხმა პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგ მისცეს. იყო თუ არა ეს სწორი არჩევანი, მომდევნო 4 წელიწადში გამოჩნდება.

რას შეცვლის დონალდ ტრამპი?

ნიუ-იორკელი მილიარდერი ცათამბჯენ „ტრამპ თაუერიდან" თეთრ სახლში იანვრის ბოლოს გადაბარგდება. თუ მის საარჩევნო დაპირებებს გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ უამრავი საგარეო პოლიტიკური გამოწვევის მიუხედავად, აშშ-ის მომავალი ლიდერი პირველ ეტაპზე საშინაო საქმეებს „მიხედავს". კერძოდ, ის საგადასახადო და საიმიგრაციო სისტემის შეცვლას ეცდება. ტრამპის გეგმაშია საშუალო კლასის წარმომადგენლებისა და ბიზნესის, მისი შეფასებით, ზედმეტად მძიმე საგადასახადო ტვირთისაგან გათავისუფლება. აშშ-ში წარმოებული პროდუქტების რენტაბელურობის გაზრდის მიზნით, ის კომპანიებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებასაც აპირებს. მილიარდერის კიდევ ერთი დაპირება „ახალი ხიდების, გზებისა და აეროპორტების" მშენებლობაა. ამისთვის ის 500 მილიარდი დოლარის დახარჯვას გეგმავს, თუმცა პროექტის დეტალები უცნობია. ტრამპი ასევე აპირებს „გლობალური დათბობის" გამო ამერიკული კომპანიებისათვის დაწესებული ზოგიერთი აკრძალვის გადახედვასაც. ის ამტკიცებს, რომ „კლიმატის ცვლილებების საფრთხე გადაჭარბებულია". მილიარდერი სხვა ქვეყნებს შორის გაფორმებულ სავაჭრო შეთანხმებებში ცვლილებებს ემხრობა. „ამ შეთანხმებებმა მეტი სარგებელი უნდა მოუტანოს ამერიკელებს" – ამბობს ტრამპი. რესპუბლიკელი კანდიდატი მკაცრად აკრიტიკებდა თავისი წინამორბედის ჯანდაცვის რეფორმას და ამომრჩეველს მის გაუქმებას დაჰპირდა. ამის ნაცვლად, მომავალი პრეზიდენტი სოციალური დახმარების პროგრამების მართვის ცალკეული შტატებისთვის გადაცემას გეგმავს, ხოლო ფარმაკოლოგიური კომპანიებისაგან „გამჭვირვალე ფასწარმოქმნას" მოითხოვს.

ის აცხადებს, რომ აქვს გეგმა, თუ როგორ უნდა დაამარცხოს „ისლამური სახელმწიფო", თუმცა დეტალების გამხელას არ აპირებს, რადგან მტრებმა ის არ უნდა შეიტყონ. მილიარდერმა ბიზნესმენმა არაერთხელ შეიტანა ეჭვი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მნიშვნელობაშიც. მისი აზრით, NATO-ს მოკავშირეთა უსაფრთხოების დასაცავად ყველაზე მეტს ვაშინგტონი ხარჯავს, რაც მიუღებელია.

ყველაზე სკანდალური კი მაინც მისი საიმიგრაციო პოლიტიკაა. საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას მან არაერთხელ განაცხადა, რომ აშშ-ში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჩასვლაზე მკაცრ მონიტორინგს დააწესებს, ხოლო ქვეყანაში მყოფ არალეგალ მიგრანტებს დეპორტაცია დაემუქრებათ. ასეთი მკაცრი ზომების მიღების მთავარ მიზეზად ტრამპი აშშ-ში ბოლო წლებში მოწყობილ თავდასხმებსა და ტერაქტებს ასახელებს. ალბათ, ყველას ახსოვს მისი სკანდალური ინიციატივები. მათ შორის, აშშ-ში მუსლიმების ჩასვლაზე აკრძალვის დაწესება და მექსიკის საზღვარზე დამცავი კედლის აშენება.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სავარაუდოდ, სწორედ ასეთმა დაპირებებმა და ვაშინგტონის მმართველი წრეების პოლიტიკით ამერიკელი ამომრჩევლის იმედგაცრუებამ მიიყვანა დონალდ ტრამპი ოვალურ კაბინეტში.

რაც შეეხება საგარეო კურსს, ტრამპი ამ შემთხვევაშიც უპირისპირდება ვაშინგტონის მმართველი წრეების ტრადიციულ პოლიტიკას. ის აცხადებს, რომ აქვს გეგმა, თუ როგორ უნდა დაამარცხოს „ისლამური სახელმწიფო", თუმცა დეტალების გამხელას არ აპირებს, რადგან მტრებმა ის არ უნდა შეიტყონ. მილიარდერმა ბიზნესმენმა არაერთხელ შეიტანა ეჭვი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მნიშვნელობაშიც. მისი აზრით, NATO-ს მოკავშირეთა უსაფრთხოების დასაცავად ყველაზე მეტს ვაშინგტონი ხარჯავს, რაც მიუღებელია. ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს აშშ-ის მომავალი ლიდერის რუსეთის მიმართ დამოკიდებულებასთან დაკავშირებითაც. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ვლადიმირი პუტინმა ტრამპი დადებითად დაახასიათა და მილიარდერისგან საპასუხო „კომპლიმენტიც" კი დაიმსახურა. ამის გამო, დემოკრატმა კონკურენტმა ჰილარი კლინტონმა ერთ-ერთი ბოლო სატელევიზიო დებატების დროს „რესპუბლიკური პარტიის" კანდიდატს „რუსეთის მარიონეტი" უწოდა. ტრამპი ობამას ადმინისტრაციის მმართველობის დროს ირანსა და კუბასთან გაფორმებულ შეთანხმებასაც ხშირად აკრიტიკებდა.

ევროპისთვის რესპუბლიკელი კანდიდატის გამარჯვება, დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის გასვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე რთული იქნება. საიმიგრაციო და ეკონომიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრიზისების, ულტრამემარჯვენე პარტიების გაძლიერებისა და რუსეთიდან მომავალი საფრთხის ფონზე აშშ-ის პრეზიდენტად ისეთი არაპროგნოზირებადი ლიდერის არჩევა, როგორიც დონალდ ტრამპია, ბრიუსელში ნამდვილად არ გაუხარდებათ. ტრამპის სკანდალური და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების გამო, მსოფლიოს არაერთ კუთხეში შეშფოთება ბევრჯერ გამოთქვეს. აზიაში ჩინეთის გაძლიერების, რუსეთის ამბიციების, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებისა და ყველა თანმდევი პრობლემის გათვალისწინებით, ჯერ ძალიან რთული სათქმელია, თუ როგორი იქნება ტრამპის მეთაურობით თეთრის სახლის ახალი როლი მსოფლიოში.

„ბინძური" საარჩევნო კამპანიის შედეგები

დღეს უკვე თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2016 წლის საარჩევნო კამპანია აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე „ბინძური" გამოდგა. ძალადობა ქუჩაში, ქსენოფობიური თუ ჰომოფობიური განცხადებები, პირადი შეურაცხყოფა, ვერბალური თავდასხმები კანდიდატების ოჯახის წევრებსა თუ ჟურნალისტებზე – ასეთი იყო 45-ე პრეზიდენტის არჩევნები. რა თქმა უნდა, ეს დიდწილად ნიუ-იორკელ მილიარდერ ტრამპის დამსახურებაა. ის არ ერიდებოდა სკანდალურ და ხშირ შემთხვევაში დემაგოგიურ განცხადებებს. მთავარი მიზანი შიშისა და უიმედობის დათესვა იყო. ტრამპმა სწორედ ასეთ გარემოში წარმოაჩინა თავი ერთადერთ მხსნელად. როგორც შედეგებიდანაც ჩანს, ამ სტრატეგიამ იმუშავა. მილიარდერს აშშ-ში ერთგული ამომრჩეველი ჰყავს, რომელმაც ეს საარჩევნო უბნებზეც დაადასტურა. ეს ის ხალხია, ვინც მოქმედ სისტემაში წინსვლას ვერ ახერხებს, მათი ნაწილი კი საერთოდ გადარჩენისთვის იბრძვის. რაც შეეხება აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს – ჰილარი კლინტონისა და მისი საარჩევნო შტაბის წევრების ელექტრონული წერილების გასაჯაროების შემდეგ აშშ-სა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბევრმა ნათლად დაინახა, რომ კორუფცია აშშ-ის პოლიტიკური ელიტისთვის უცხო ხილი სულაც არ არის. იმ პირობებში, თუ აშშ-ის კონგრესის ორივე პალატას კვლავ რესპუბლიკელები გააკონტროლებენ, საკონსტიტუციო სასამართლოს კი ერთი წევრი აკლია და ვერდიქტის გამოტანა ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება, დონალდ ტრამპს სასურველი რეფორმების გატარება და გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება, წესით, არ უნდა გაუჭირდეს. სხვა საკითხია, როგორი იქნება ტრამპის აშშ? „დაიბრუნებს ძველ დიდებას", თუ, როგორც ბევრი ვარაუდობს, მსოფლიო მორიგი კრიზისის ზღვარზე აღმოჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"შეგვიძლია ხი?" - ობამას ნლები

გრიგოლ გეგელია
პოლიტიკური იდეების ისტორიკოსი

2009 წლის 20 იანვარს ბარაკ ჰუსეინ ობამა აშშ-ის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი გახდა. ამდენად, არჩევისთანავე იგი უკვე იყო ისტორიული პრეზიდენტი, რამდენიმე თვეში კი – უკვე ნობელის პრემიის მფლობელიც მშვიდობის დარგში. წინასწარი ისტორიულობის არ იყოს, პრემიაც მრავალმხრივ წინასწარი იყო, თუმცა ობამა არც რომელიმე სხვა მიმართულებით არ ყოფილა ტიპური. მისი აღმასვლაც იყო უპრეცედენტოდ სწრაფი და წარმატებული, კონტექსტებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით – სრულიად მოულოდნელიც. მისი კარიერის დასასრული კი მეტად უცნაურია. „რესპუბლიკის დასასრული არასდროს ყოფილა ასე ლამაზი", – იხუმრა ობამამ კორესპონდენტთა ბოლო სადილზე. ამ სიმართლენარევი, მწარე ხუმრობის მიღმა ობამას კარიერის მთელი დასასრულის ამბავია. ამერიკაში უდავოდ იზეიმებს დემოკრატია, მაგრამ შეიძლება დაიღუპოს რესპუბლიკა. ყველაფერი ამერიკელი ამომრჩევლის ნებაზეა დამოკიდებული. როგორც ობამამ კარგად იცის, ისტორია მას, მნიშვნელოვანწილად, იმის მიხედვით წაიკითხავს, თუ რა გაგრძელება აირჩია ამერიკელმა ამომრჩეველმა.

ბარაკ ობამა მარტივად იქცა ოპტიმიზმის მონარქად ჯორჯ ბუშის პოლიტიკის მიერ ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებულ ამერიკაში. ობამას ძალაუფლებაში მოსვლა ჭეშმარიტად იყო ჩუმი რევოლუცია. მას ბუნებრივი ენთუზიაზმით შესცქეროდა აფრიკელ-ამერიკელთა ფართო მასები, რომელთაგან ბევრს თავისსავე სიცოცხლეშივე ეწვნია რასისტული ჩაგვრის სიმწარე, მაგრამ, მათ გარდა, ობამა დანარჩენ რიგით ამერიკელთა დიდი უმრავლესობის ლიდერადაც მარტივად იქცა. „დიახ, ჩვენ შეგვიძლია" – ქარიზმატულად მოუწოდებდა ჭკვიანი და ელეგანტური შავკანიანი სიახლის მოლოდინში მყოფ მასებს. და ეს ჭრიდა, რადგან ობამა დიდ წილად თვითონ განასახიერებდა ამერიკის „ულევი შესაძლებლობების" მითოსს. ჰავაიში დაბადებული ბარაკ ჰუსეინ ობამა, ამერიკული ელიტისათვის უჩვეულო ჟღერადობის გვარ-სახელით, პრესტიჟულ ჟურნალ Harvard Law Review-ს 104-წლიან ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა, პირველი შავკანიანი რედაქტორი გახდა.

ფაქტია, რომ ობამას „სტიმულუსმა" ამერიკა იხსნა ხელახალი კრიზისისაგან, რომელსაც შეეძლო, ეკონომიკა საბედისწეროდ დაენგრია. „სტიმულუსმა" 1.5 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი შექმნა ან გადაარჩინა. ურთულესი კლიმატის მიუხედავად, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდაც უზრუნველყო, 5 მილიონზე მეტი ამერიკელი სიღარიბისგან იხსნა.

თუმცა, როდესაც 2003 წელს ობამამ მომხრეთა ვიწრო წრეს ამცნო, რომ იგი ილინოისის სენატორის თანამდებობისთვის იბრძოლებდა, ოთახში სკეპტიკურმა დუმილმა დაისადგურა. ობამას არ გააჩნდა დიდი ფული და არ ჰქონდა საკმარისი ცნობადობა. სამიოდე წლით ადრე მან თავისივე პარტიის კონგრესმენობის კანდიდატად ნომინაციაც კი ვერ მოიპოვა. ახლა კი ობამა აპირებდა პარტიული ნომინაციის მოპოვებას სენატორობის კანდიდატად და იმავდროულად, ძლიერი რესპუბლიკელი ოპონენტის დამარცხებას. და მაინც, 2004 წელს, იშვიათად დიდი სახალხო მხარდაჭერის მოპოვების შედეგად, ბარაკ ობამა აშშ-ის პირველი შავკანიანი სენატორი გახადა.

თუმცა 2003 წელს ობამას მოკავშირეთა შორის ყველაზე ოპტიმისტებიც კი ვერასდროს წარმოიდგენდნენ, რომ მათ წინაშე იჯდა ადამიანი, რომელიც ამ ლამის ნულოვანი შანსის მომენტიდან სულ რაღაც ხუთი წლის თავზე ამერიკის შეერთებული

შტატების 44-ე პრეზიდენტი გახდებოდა. და მაინც, 2009 წლის 20 იანვარს ხდება სწორედ ეს – 5 წლით ადრე, ფაქტობრივად, არსაიდან აღმოცენებული ბარაკ ობამა მსოფლიოს ყველაზე გავლენიან თანამდებობას იკავებს.

სწორედ ეს იყო ობამას ეფექტი. გამოსვლაში, რომელმაც, შეიძლება ითქვას, განაპირობა მისი პარტიული ნომინაცია პრეზიდენტის თანამდებობაზე, ობამა რიგით ამერიკელს აცნობდა თავის ამბავს, როგორც ყველას ამბავს – როგორც საერთო ამერიკულ ამბავს.

ადამიანის მნიშვნელობას მისი დრო ადგენს, ხოლო ობამას მნიშვნელობას მოცემულ ისტორიულ მომენტში ჯორჯ ბუშის პერსონა და მის მიერ შექმნილი დრო ადგენდა. ობამა ბუშის სრული ანტიპოდი იყო: ელეგანტური, განათლებული, მჭევრმეტყველი. ბუშის კატასტროფული ეკონომიკური პოლიტიკის შემდეგ ამერიკა ბუნებრივი ენთუზიაზმით ელოდა პროგრესისტული პოლიტიკის ახალ ტალღას. ბუშის გაუგებარი გამოსვლების შემდეგ, რომლებშიც 43-ე პრეზიდენტი ხან

„ცვლილება არ მოვა, თუ სხვა დროს ან სხვა ადამიანს ველოდეთ. ჩვენ ვართ ისინი, ვისაც ველოდით. ჩვენ ვართ ცვლილება, რომელსაც ვეძებთ“ – **ბარაკ ობამა.**

აქ ერთმანეთს შეხვდა ამერიკული „ულევი შესაძლებლობების“ ლეგენდარული მითოსი, რამაც შესაძლებელი გახადა კანდიდატ ობამას არსებობა და ჩაგრული კლასის პრივილეგირებული და წარმატებული წარმომადგენლის ქარიზმა. ამერიკელთათვის ერთდროულად მნიშვნელოვანი იყო ამბავიც და ისიც, თუ ვინ ჰყვებოდა მას.

ღვთაებრივ ხილვას ახსენებდა (რამაც, მისივე თქმით, საღვთო ომიც კი დააწყებინა), ხან კი იფურთხებოდა, მეცნიერული და აქტივისტური წარსულის მქონე, ახალგაზრდა და ქარიზმატული ობამა ყველაფერი იყო, რაც ბუში არ იყო და რაც ამერიკას სურდა.

ამერიკა, რომელსაც ობამა მოევლინა, საშინელი ეკონომიკური კრიზისით, ძვირადღირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ომითა და სოციალური კატასტროფით დათრგუნული ქვეყანა იყო. ამ ვითარებაში ობამა საკმაოდ მარტივად, თუმცა კი მაინც სასწაულებრივად იქცა ოპტიმიზმის ტალღის უპირობო მონარქად. ეს ტალღა არა მარტო ტიპურ პროგრესისტულ პოლიტიკას შეიცავდა, რომელიც დემოკრატთა დიდ უმრავლესობას ახასიათებს, არამედ იმედის ახალ პოლიტიკასაც, რაც კონკრეტულად ობამას პირმშო იყო და რაზეც ჯერ კიდევ სენატორობის დროს უკვე წერდა წიგნში – „იმედის გამბედაობა". არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მშვიდობის დაპირებაც, რაც ობამას რადიკალურად განასხვავებდა ყველა დროის ყველაზე არაპოპულარული წინამორბედი პრეზიდენტისაგან.

„მახსოვს დედაჩემის ღელვა იმაზე, თუ როგორ გაუმკლავდებოდა ფინანსებს, ავად გახდომის შემთხვევაში" – **ბარაკ ობამა.**

ობამას პირველივე წელი უკიდურესად რთული აღმოჩნდა. მან უკვე საკმაოდ დასუსტებული ამერიკა ჩაიბარა, რომელსაც მიმდინარე საერთაშორისო ფინანსური კრიზისის სასტიკი ეფექტები კიდევ უფრო ართულებდა. საერთაშორისო კრიზისსა და ძვირადღირებულ ომს ამერიკა არა მარტო ფინანსურად, არამედ პოლიტიკურადაც დაესუსტებინა. ამერიკის საერთაშორისო იმიჯი სავალალო მდგომარეობაში იყო, მილიონობით ადამიანი კარგავდა სამსახურსა და სახლს, ხოლო ზღვარი მდიდრებსა და ღარიბებს შორის დღითი დღე იზრდებოდა. ამ მომენტში ამერიკელთა მხოლოდ 13% მიიჩნევდა, რომ ქვეყანა სწორ კურსს ადგა, საერთაშორისო გამოკითხვები კი მიუთითებდა, რომ ამერიკას მსოფლიოს მოსახლეობის მოზრდილი ნაწილი ნეგატიურ ფერებში აღიქვამდა.

რთული მემკვიდრეობის პასუხად, ობამამ პრეზიდენტობის პირველივე თვეში გამოსცა საგანგებო ეკონომიკური აქტი, ცნობილი როგორც „სტიმულუსი", რომელმაც ამერიკულ ეკონომიკაში 832 მილიარდის ოდენობით საგანგებო ინვესტიცია „ჩააწვეთა". „სტიმულუსი" სავსებით არ ყოფილა იდეალური; მან მთელი რიგი (დროდადრო აბსურდული) მარეგულირებელი კანონებისა და ინსტიტუტების სახით უპრეცედენტოდ დიდი ბიუროკრატიული მონსტრი შექმნა, მაგრამ ფაქტია, რომ ობამას „სტიმულუსმა" ამერიკა იხსნა ხელახალი კრიზისისაგან, რომელსაც შეეძლო, ეკონომიკა საბედისწეროდ დაენგრია. „სტიმულუსმა" 1.5 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი შექმნა ან გადაარჩინა. ურთულესი კლიმატის მიუხედავად, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდაც უზრუნველყო, 5 მილიონზე მეტი ამერიკელი სიღარიბისგან იხსნა, 160 მილიონ ამერიკელს გადასახადები შეუმცირა და არაერთ ბანკსა და ფინანსურ ინსტიტუტს, რეკაპიტალიზაციის წყალობით, ახალი სიცოცხლე შთაბერა.

ჭეშმარიტად კეინზიანური „სტიმულუსის" ფარგლებში, აშშ-ის მასშტაბით გატარდა მთელი რიგი საჯარო სამუშაოები და რეფორმები: განახლდა 2 700 ხიდი, შეკეთდა 67 592 კმ გზა. იმავდროულად, ხელი შეეწყო განახლებადი ენერგიის დანერგვას, წყლის სისტემის 30 000 პროექტის დახვეწას და განვითარებას, ისევე, როგორც საგანმანათლებლო რეფორმებს. არაერთი პრობლემისა თუ დეფექტის მიუხედავად, „სტიმულუსი" ერთმნიშვნელოვნად წარმატებული ზომა გამოდგა. მან უზრუნველყო კრიზისში მყოფი სისტემის სიცოცხლისუნარიანობა. „სტიმულუსი" ისტორიას დარჩება, როგორც ეკონომიკაში სახელმწიფოს წარმატებული ჩარევის ნიმუში, რამაც იხსნა ამერიკის ეკონომიკა და ასევე ათობით მილიონი ამერიკელის ბედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ობამას საშინაო პოლიტიკის უმთავრესი განმსაზღვრელი მაინც „პაციენტთა დაცვისა და ხელმისაწვდომი მკურნალობის აქტი“ იქნება; ცნობილი, როგორც Obamacare. ამ აქტით, რომელსაც არც ერთმა რესპუბლიკელმა არ დაუჭირა მხარი, მილიონობით დაუზღვეველი ამერიკელისათვის ხელმისაწვდომი გახადა ჯანდაცვა. Obamacare-ით უპირველეს ყოვლისა ამერიკული საზოგადოების ყველაზე გაჭირვებულმა ფენამ ისარგებლა. ჯანდაცვასთან წვდომა მოიპოვა: 7.2%-ით მეტმა ლათინო-ამერიკელმა, 6.1%-ით მეტმა ადგილობრივმა ამერიკელმა, 5.1%-ით მეტმა შავკანიანმა და 5.4%-ით მეტმა აზიელმა. საერთო ჯამში, ახალი სისტემით დაახლოებით 20-მა მილიონმა ამერიკელმა ისარგებლა.

ობამა აკვირდება ბინ ლადენის ლიკვიდაციის სპეცოპერაციას.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო „ჯანდაცვისა და განათლების რეკონსილაციის აქტი“, რომელმაც სამუდამოდ შეცვალა აშშ-ის უმაღლესი განათლების დაფინანსების ფილოსოფია. ობამამ სტუდენტური სესხების გაცემის პოლიტიკიდან და პროცესიდან ბანკები გააძევა, სანაცვლოდ კი, შემოიღო სისტემა, რომლის მიხედვითაც, სტუდენტები სესხს პირდაპირ ფედერალური მთავრობებიდან იღებენ. ამ პროცესში დაზოგილი თანხის მოზრდილი ნაწილი, 36 მილიარდი, ობამამ „ფედერალური პელ გრანტის“ პროგრამის გაზრდას მოხმარა, რამაც მილიონობით სტუდენტს გაუზარდა შესაძლებლობები.

შიდა პოლიტიკური დაყოფების, მტრულად განწყობილი ოპოზიციური კონგრესისა და ღრმად კრიზისული საერთაშორისო და ადგილობრივი კონტექსტების ფონზე, ობამას საშინაო მემკვიდრეობა შთამბეჭდავია. მისმა პოლიტიკამ ბევრი ხმაურიანი ნაბიჯის გარდა, უთვალავი ჩუმი ნაბიჯიც გადადგა უფრო მეტად პროგრესული ამერიკისაკენ. ეს რევოლუციური ნაბიჯებია, რომელთა სრული ეფექტი ჯერ კიდევ არ დაფასებულა. ობამამ შეცვალა განათლების, ჯანდაცვის, გარემოს დაცვითი და ენერგეტიკული პოლიტიკური მიმართულებები და დიდი ფინანსური კრიზისის საპასუხოდ, ვოლ სტრიტის რეფორმასაც მიჰყო ხელი, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია.

თუმცა გაცილებით უფრო შერეულია ობამას საგარეო პოლიტიკური მემკვიდრეობა. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ობამას აშშ-მა შეძლო ოსამა ბინ ლადენის პოვნა და განადგურება, სწორედ ობამას მეთვალყურეობის ჟამს მიიღო მსოფლიომ ახალი და გაცილებით უფრო სერიოზული ტერორისტული საფრთხე, რომელსაც მან ვერ უპასუხა.

ობამამ ტრადიციული ხერხის ახალი მიდგომებით ჩანაცვლება სცადა. ახლო აღმოსავლურ საქმეებში დამატებით ჩარევის ნაცვლად, მან სცადა, ამერიკული საგარეო პოლიტიკა ახალ რელსებზე გადაეყვანა და, ზოგიერთი მიმართულებით, ეს ნაწილობრივ გამოუვიდა კიდევაც. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საგარეო პოლიტიკის ახლებური ორიენტაცია ჩინეთსა და აზია-წყნარი ოკეანის სივრცეზე, სადაც ობამამ ახალი დიპლომატიური, კომერციული და სამხედრო კავშირების მთელი წყება გააბა. შესაძლებელია, 2020 წლამდე ამერიკული შეიარაღებული ძალების 60% წყნარი ოკანის სივრცეში იდგეს. ობამას სტრატეგიული აზრი სრულიად გასაგებია; ჩინეთის აღმასვლის სწრაფი ტემპების გათვალისწინებით, ობამამ სცადა, დროულად გაედგა ფესვები რეგიონსა და ჩინეთის მეზობელ სახელმწიფოებში პროამერიკული პოზიციები გაემყარებინა, რაც ჩინეთის დომინანტური ძალისადმი არსებულ ბუნებრივ სკეპტიციზმს უნდა დაეფუძნოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ამ მიდგომის წარმატებულობას მხოლოდ მომავალი გვაჩვენებს.

ობამას საგარეო პოლიტიკის ყველაზე წარმატებულ მომენტად უდავოდ დარჩება ატომური შეთანხმება ირანთან, რომლის მიხედვითაც, დასავლური ეკონომიკური სანქციების მოხსნის სანაცვლოდ, ირანმა უარი განაცხადა ატომური იარაღის შექმნასა და შესაბამისი ნედლეულის გამდიდრებაზე. თავისი არსით, ეს ისტორიული მნიშვნელობის გეოპოლიტიკური ძვრაა, თუმცა მის პრაქტიკულ ავკარგიანობას მხოლოდ მომავალი წლები გვიჩვენებს. ობამას კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი საგარეო პოლიტიკაში უდავოდ იყო აშშ-სა და კუბას შორის ათწლეულების მანძილზე არსებული დაპირისპირების შემდეგ აღდგენილი ურთიერთობა. ოთხმოცწლიანი პაუზის შემდეგ, ბარაკ ობამა აშშ-ის პირველი მოქმედი პრეზიდენტი გახდა, რომელიც კუბას ეწვია, 2016 წელს.

თუმცა ობამას საგარეო ასპარეზზე გაცილებით მეტი მარცხია, ვიდრე გამარჯვება. ობამას საგარეო პოლიტიკას მუდმივ ფონად გასდევდა ბუშის მემკვიდრეობის შიშნარევი კომპლექსი. შესაძლოა, ეს მისი უმთავრესი მახასიათებელიც იყოს. ამით აიხსნება როგორც ერაყიდან ამერიკული კონტინგენტის მასობრივი გამოყვანა, ასევე დიდწილად ობამას შეგნებული ჩაურევლობაც სხვა საერთაშორისო კონფლიქტებში. წინასაარჩევნო დაპირების კვალდაკვალ, ობამამ გაპრეზიდენტებისთანავე დაასრულა ამერიკის ომი ერაყსა და ავღანეთში, რამაც უდავოდ მოიტანა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში, მაგრამ სავსებით არ მოუტანია მშვიდობა არც ახლო აღმოსავლეთსა და არც დასავლურ დემოკრატიებში. „მშვიდობის პირობას", ერთი მხრივ, ობამას იდეალიზმი, მეორე მხრივ კი, ბუშის შემდეგ ახლებური პოლიტიკის წარმოების პრაგმატული სურვილი კვებავდა, თუმცა იგი სავსებით არ აღმოჩნდა რეალობისადმი ადეკვატური.

ობამამ ამჯობინა, პირდაპირ არ ჩართულიყო ბრიტანულ-ფრანგულ მისიაში, რომელმაც ლიბიის დიქტატორი მუამარ კადაფი დაამხო, თუმცა მისი ჩამოგდების შემდეგ აშშ-ის არც ახალი ლიბიური სახელმწიფოს შენების პროცესში არ შეუტანია ჯეროვანი წვლილი. ეს კი სავალალო შეცდომა იყო, რადგან დიქტატორის დამხობის შედეგად გამოთავისუფლებული პოლიტიკური სივრცე ვერ შეავსო ახალმა ინსტიტუციონალურმა დემოკრატიამ. ამიტომ, იგი მალევე შეავსო ქაოსმა, რომელმაც ლიბია შთანთქა.

საშინაო ფრონტზე, ბარაკ ობამა იყო წარმატებული პრეზიდენტი და უფრო მეტადაც, ვიდრე ახლა ჩანს. საერთო ჯამში, პრეზიდენტი ობამა ისტორიას დარჩება, როგორც რეფორმატორი ლიდერი, რომელმაც ამერიკა ეკონომიკური კრიზისის ყველაზე სავალალო სცენარისაგან იხსნა და რომელმაც მილიონობით ამერიკელს მნიშვნელოვნად უფრო მეტის შესაძლებლობა მიანიჭა.

თუმცა, რაც უარესია, ლიბიაში დასავლური ინტერვენციის კრახმა ობამა კიდევ უფრო სკეპტიკური გახადა ზოგადად ინტერვენციის იდეის მიმართ. ის არც სირიის ომში არ ჩაერთო და, მეტიც, 2013 წელს, როდესაც ბაშარ ალ-ასადმა ქიმიური იარაღი გამოიყენა, ობამამ მის მიერვე ერთი წლით ადრე გაჟღერებულ პირობასაც უღალატა, რომლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ასადი თავისი ხალხის წინააღმდეგ ქიმიურ იარაღს გამოიყენებდა, აშშ კონფლიქტში ჩაერეოდა. სამაგიეროდ, თავის ტრადიციულ გზებს არ უღალატეს სხვებმა – ობამას ინერტულობამ გასაქანი მისცა რუსეთის აქტიურ ჩართულობას სირიაში.

„ისლამური სახელმწიფოსა" და დიქტატორ ბაშარ ალ-ასადის ქმედებებით სირიაში გამოწვეულმა ჰუმანიტარულმა კრიზისმა ხელი შეუწყო მიგრანტთა მასობრივ სვლას ევროპული კავშირის სახელმწიფოებისაკენ. ხოლო ევროპაში, უკვე არსებული ეკონომიკური პრობლემებისა და ტერორიზმის საფრთხის ფონზე, ათასობით ახალი დევნილის გამოჩენამ ულტრამემარჯვენე, ნეონაციონალისტური ძალების აღმასვლა გაახალისა. მათი უდიდესი უმრავლესობა კი ევროპული კავშირის იდეისა და ინსტიტუტების წინააღმდეგ ილაშქრებს და დიდწილად პრორუსული სიმპატიების მატარებელია.

ამდენად, ობამას ინერტული საგარეო პოლიტიკა არამარტო ახლო აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთ ევროპის თავისტკივილის ერთ-ერთი წყაროა. ცხადია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ობამას საგარეო პოლიტიკამ, სულ მცირე, მოკლე გათვლით, სასურველი ეფექტი ვერ იქონია. მისი პრეზიდენტობის დროს ვერც ამერიკის გეოპოლიტიკური ინტერესები ვერ გამყარდა და არც მშვიდობას დაუსადგურებია.

ობამას იდეალისტური მოლოდინის მიუხედავად, ვერც კადაფის შემდგომმა ლიბიამ იხილა დემოკრატია, ვერც რუსეთთან „გადატვირთვის" პოლიტიკამ გამოიწვია არსებითი ცვლილებები და ვერც ერაყმა და ავღანეთმა შეძლო ეფექტური პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბება ან ტერორისტულ ენერგიებთან გამკლავება. „სტაბილური ერაყი", რომელზეც ობამა აშშ-ის ჯარების გამოყვანის დროს საუბრობდა, უბრალოდ, მითი აღმოჩნდა. ერაყისა და სირიის ტერიტორიათა ნაწილზე „ისლამური სახელმწიფოა" გაბატონებული, დანარჩენი ერაყი კი მეტად და მეტად ექცევა ანტიამერიკული ირანის გავლენის სფეროში. ავღანეთში კვლავ მომძლავრებულია თალიბანი, რუსეთი კი განაგრძობს აქტიურ ბრძოლას აღმოსავლეთ ევროპის ფრონტზე გავლენის დასაბრუნებლად.

„ომი არ სრულდება თქვენი სახლში დაბრუნებით. იგი ცოცხლობს თქვენს თანამებრძოლთა მახსოვრობაში, რომელთაც სიცოცხლე დათმეს" – **ბარაკ ობამა.**

საშინაო ფრონტზე ბარაკ ობამა იყო წარმატებული პრეზიდენტი და უფრო მეტადაც, ვიდრე ახლა ჩანს. საერთო ჯამში, პრეზიდენტი ობამა ისტორიას დარჩება, როგორც რეფორმატორი ლიდერი, რომელმაც ამერიკა ეკონომიკური კრიზისის ყველაზე სავალალო სცენარისაგან იხსნა და რომელმაც მილიონობით ამერიკელს მნიშვნელოვნად უფრო მეტის შესაძლებლობა მიანიჭა. საქმე ისაა, რომ მისი საშინაო პოლიტიკის ეფექტების სრულად გამოჩენას მეტი დრო სჭირდება, ვიდრე მისი საგარეო პოლიტიკური არჩევანის ეფექტებისას. პირველი კი უპირობოდ გაცილებით უფრო წარმატებული პრეზიდენტის სურათს გვაძლევს, ვიდრე – მეორე.

რთულია ვისაუბროთ იმაზე, თუ რა როგორ იქნებოდა ალტერნატიული საგარეო პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში, რადგან არც ერთ ამერიკულ სამხედრო ინტერვენციას არ მოუცია გრძელი ვადით ეფექტიანი შედეგი. ობამას მხარდამჭერთა აზრით, ობამას ზომიერმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა ამერიკის საერთაშორისო იმიჯის აღდგენა და მის სამომავლო მდგრადობის უზრუნველყოფა, თუმცა ცხადია ისიც, რომ იმავე ზომიერმა საგარეო პოლიტიკამ უფრო ფართო გასაქანი მისცა „ისლამურ სახელმწიფოს", რუსულ თვითნებურ ინტერვენციას სირიასა და უკრაინაში, ისევე, როგორც, გარკვეულწილად, მიგრანტთა კრიზისსაც, რომელმაც ევროპული კავშირის ერთიანობასა და მდგრადობას გარკვეული საფრთხე შეუქმნა. ეს ყველაფერი, რაღაც დოზით, ობამას ისტორიულ ანგარიშზე აუცილებლად დარჩება.

ობამა ჯერ კიდევ დიდხანს არ იქნება ისტორია, მაგრამ, როცა ამ წერილს წაიკითხავთ, იგი იქნება ყოფილი პრეზიდენტი. 55 წლის, გადაღლილი, ჭაღარაშერეული ამერიკელი, უფრო მეტი თავისუფალი დროით, ვიდრე მას ოდესმე ჰქონია ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ეს ობამა ძალიან სხვანაირია, ვიდრე ის ენერგიული და ენთუზიაზმით აღსავსე ობამა, რომელიც 2008 წელს ამერიკას ოპტიმიზმის მამად მოევლინა. იმისდა მიხედვით, თუ რა გადაწყვიტა ამერიკულმა დემოკრატიამ ნოემბრის ცივ დღეს, ბარაკ ობამაც სხვადასხვაგვარი ისტორია იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო: ლევან ხარაბაძისა

...ჰომ აჰ მივიღოთ "ჰონსტიტუსიუჰი ჰოშმაჰი"

ინტერვიუ იურისტ გიორგი მშვენიერაძესთან

საპარლამენტო არჩევნების პირველივე ტურის დასრულებისთანავე დაიწყო კამპანია, რომლის მიზანიც იყო, აეხსნა საზოგადოებისთვის, როგორ უნდა მოქცეულიყო, რათა „ქართულ ოცნებას“ არ მიეღო საკონსტიტუციო უმრავლესობა. განემარტა ამომრჩევლისთვის ის რისკი, რასაც ერთი პარტიის ხელში მოქცეული დიდი ძალაუფლება შეიცავს. მინდა, გკითხოთ, თუკი დემოკრატიის იდეა თავის თავში უშვებს შესაძლებლობას, რომ ამომრჩეველმა ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას მისცეს იმდენი მანდატი, რამდენიც სურს, რატომ არის ცუდი საკონსტიტუციო უმრავლესობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონსტიტუციო უმრავლესობის იდეა გულისხმობს პოლიტიკური ძალისადმი ძალიან მაღალი საზოგადოებრივი ნდობის არსებობას. და თუ გვაქვს კარგი, სამართლიანი საარჩევნო სისტემა, ჩვენნაირი ხისტი კონსტიტუციის პირობებში, რომელიც კონსტიტუციურ უმრავლესობად აღიქვამს 75%-ს, ეს ნიშნავს, რომ ამომრჩეველთა სამმა მეოთხედმა თუ არა, მასთან მიახლოებულმა რაოდენობამ მაინც უნდა დაუჭიროს მხარი იმას, რომ პარლამენტში რომელიმე პოლიტიკური ძალა საკონსტიტუციო უმრავლესობით მოხვდეს.

ეს სიხისტე, რაც ვახსენეთ, სწორედ იმითაა განპირობებული, რომ მან დაიცვას თავი არაკონსენსუალური ცვლილებებისგან. ანუ ცვლილებისგან, რომელიც არ არის ქვეყანაში არსებული ორი ან მეტი კვალიფიციური პოლიტიკური ძალის შეთანხმების შედეგი. თუკი პოლიტიკურმა ძალამ მართლა მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა, ეს გარკვეული რეფერენდუმიცაა, რომ ამომრჩეველი მოითხოვს რაღაც დაანონსებულ, რადიკალურ ცვლილებებს და ამისთვის აძლევს მანდატს პარტიას.

მაგრამ ასეთი რამ, პრაქტიკულად, შეუძლებელია, მოხდეს ჩვენნაირ ქვეყანაში, თუ არა უსამართლო საარჩევნო სისტემა.

საპარლამენტო არჩევნების პირველი ტურიდან მეორემდე სრულიად საკმარისი დრო იყო იმისათვის, რომ ამომრჩეველს გაეაზრებინა, რას აკეთებდა, არ ფიქრობთ, რომ შესაძლოა ამომრჩეველმა დიახაც იცოდა, რასაც ნიშნავს საკონსტიტუციო უმრავლესობა და მეორე ტურში დაასრულა დაწყებული – მისცა მანდატი „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობით? აქ სად შეგვიძლია დავინახოთ სისტემის უსამართლობა?

არ ვფიქრობ, რომ ამომრჩეველი უპასუხისმგებლოდ მოექცა თავის არჩევანს. პირიქით, ამომრჩეველმა მაჟორიტარულ ოლქებშიც, მიუხედავად დარღვევებისა და დაშინების ფაქტებისა გააკეთა ის არჩევანი, რომელსაც თავდაპირველად მიიჩნევდა მართებულად.

მაგალითად ხაშურის ოლქიც გამოდგება...

დიახ. ამიტომ უსამართლობა არის სხვაგან. მაჟორიტარული სისტემა ჩვენს კონტექსტი არის თავად უსამართლობა. ჩვენ რომ გვყავდეს ორპალატიანი პარლამენტი, სადაც, როგორც კონსტიტუციაშია გაწერილი, გვექნებოდა რესპუბლიკის საბჭო და სენატი, აღმოვჩნდებოდით აბსოლუტურად განსხვავებულ ვითარებაში. იმიტომ, რომ პოლიტიკური სიჭრელე რესპუბლიკის საბჭოში, რასაც განაპირობებდა პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატთა დელეგაცია, არ მისცემდა საშუალებას ერთ პოლიტიკურ ძალას, შეეცვალა კონსტიტუცია.

თუ ხელისუფლება არ შეცვლის ამ სისტემას, ხვალ შესაძლოა, აღმოჩნდეს ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც აღმოჩნდნენ დღევანდელი ოპოზიციური ძალები. როდესაც შეიძლება მან შეინარჩუნოს ამომრჩეველთა მხარდაჭერა, მაგრამ საერთოდ ველარ იქონიოს გავლენა ხელისუფლებაზე ოპოზიციური ფრთიდან.

სამწუხაროდ, ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური პარტიები არ ფიქრობენ წაგებაზე, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ეს გარდაუვალია.

ჩვენ გვინახავს მყარი საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე ხელისუფლება, და ეს იყო „ნაციონალური მოძრაობა“, რა დასკვნა უნდა გამოჰქონდეს ხელისუფლებას ამ უახლესი ისტორიიდან?

ჯერ ერთი ვთქვათ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში საკონსტიტუციო უმრავლესობა იყო ორი მესა-

საკონსტიტუციო უმრავლესობის იდეა გულისხმობს პოლიტიკური ძალისადმი ძალიან მაღალი საზოგადოებრივი ნდობის არსებობას. და თუ გვაქვს კარგი, სამართლიანი საარჩევნო სისტემა, ჩვენნაირი ხისტი კონსტიტუციის პირობებში, რომელიც კონსტიტუციურ უმრავლესობად აღიქვამს 75%-ს, ეს ნიშნავს, რომ ამომრჩეველთა სამმა მეოთხედმა თუ არა, მასთან მიახლოებულმა რაოდენობამ მაინც უნდა დაუჭიროს მხარი იმას, რომ პარლამენტში რომელიმე პოლიტიკური ძალა საკონსტიტუციო უმრავლესობით მოხვდეს.

31308

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედი, ახალი ცვლილებებით, ეს არის სამი მეოთხედი. ასევე უნდა გავიხსენოთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პროცენტული მხარდაჭერა იყო უფრო მაღალი, ვიდრე დღეს „ქართული ოცნების“. შესაბამისად, მათ ლეგიტიმაციის ხარისხი ჰქონდათ უფრო მაღალი, თუმცა საკონსტიტუციო უმრავლესობა მაინც იყო ცუდი.

ცუდი იყო არა იმიტომ, კონსტიტუციაში ცვლილებები რომ შევიდა, არამედ იმიტომ, რომ მან თავი გაუკონტროლებელ ძალად მიიჩნია, რომელსაც არ ჰყავს რეალური ოპოზიცია. ეს არის საფრთხე. წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ „ქართული ოცნება“ იმავეს არ იზამს, მითია.

არჩევნებზე მისული ამომრჩევლის ნახევარმაც არ დაუჭირა „ქართულ ოცნებას“ მხარი. ეს იმას ნიშნავს, რომ საკმარისია რეიტინგის 10%-იანი ვარდნა და შესაძლოა, ამ ხელისუფლებას ლეგიტიმაციის პრობლემა შეექმნას.

ჩვენ ვიცით სამი ძირითადი დაპირება, რაზეც ხელისუფლებას საკონსტიტუციო ცვლილებების კონტექსტში უსაუბრია: ქორწინების სტატუსის განსაზღვრა, პარლამენტის თბილისში გადმოტანა, პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის მიერ... დავიწყოთ ბოლოდან:

პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის გაუქმება არ უნდა იყოს პარტიული თვითმიზანი. მხოლოდ ის, რომ გერმანიაში ასეა, არის არასერიოზული არგუმენტი. საქართველო თავისი მმართველობის მოდელით არ არის გერმანულის მსგავსი.

არ არის გათვალისწინებული თავად გერმანიაში პარლამენტის დაკომპლექტების წესი და ის, რომ იქ პარლამენტი ორპალატიანია და ჩვენ არ გვაქვს ტერიტორიული მოწყობის ფედერაციული წესი.

ხალხის მიერ ოთხი წლის ვადით არჩეული პარლამენტი პირდაპირ არ უნდა ირჩევდეს პრეზიდენტს. გასათვალისწინებელია ის, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ორპალატიანი პარლამენტია, ეს პალატები იცვლება ორ-ორწლიანი განსხვავებით. ეს განაპირობებს პოლიტიკურ სიჭრელეს და გადაწყვეტილებების კონსენსუალურია. თუ ჩვენ გვექნება პარლამენტი, სადაც ერთი პარტია დანიშნავს მთავრობას და აირჩევს პრეზიდენტს, ბალანსი სრულად მოიშლება. ეს იქნება კონსტიტუციური კოშმარი. ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას რომ შევხედოთ, ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც შემორჩა, და რომელიც არ არის მოქცეული „ქართული ოცნების“ სრული გავლენის ქვეშ, არის პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც ეპიზოდურად, მაგრამ მაინც უწევს წინააღმდეგობას „ქართულ ოცნებას“. წარმოიდგინეთ პრეზიდენტი, რომელსაც პარლამენტი აირჩევს.

რაც შეეხება ქორწინების სტატუსის განსაზღვრას. აქ თავი აღარ უნდა მოვიტყუოთ და არც საზოგადოება შევიყვანოთ შეცდომაში, თითქოს ეს მხოლოდ თითოეული ქვეყნის შიდა საქმეა. ამ საკითხს ასე აღარ უნდა ხედავდნენ ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც. ეს სიმართლე სჯობს, თავად ოპოზიციურმა პარტიებმა თქვან და განხილვისა და კენჭისყრის დროს საკითხისადმი თავის არიდებას არ ეცადონ. დიახ, ჩვენ გვჭირდება სახელმწიფო, რომელიც არ არის მხოლოდ უმრავლესობის სახელმწიფო, არამედ ის თითოეული ინდივიდის უფლებების მცველია, ჩვენ გვჭირდება ოპოზიცია, რომელიც შეეცდება წინააღმდეგობა გაუწიოს უმრავლესობის სახელით მოსაუბრე ხელისუფლებას, რომელიც უპასუხისმგებლოა და ლიბერალური დემოკრატიის ნაცვლად ჰიტლერული დემოკრატიის შემოსაღებას ცდილობს, სადაც უმრავლესობა წყვეტს იმას, როგორ უნდა იცხოვროს უმცირესობამ. პირდაპირ უნდა ვთქვათ ისიც, რომ დიახ, ლგბტ თემის წევრებს აქვთ ფუნდამენტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება იცხოვრონ ისე როგორც ამას ახერხებენ ჰერეტოსსექსუალი წყვილები, ისარგებლონ იმ უფლებებით, რაც აქვთ ქორწინებაში მყოფ სხვა პირებს. მნიშვნელოვანია ღიად ვთქვათ, რომ ლგბტ პირების თანასწორობის უფლება საქორწინო ურთიერთობებში არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ რომელიმე ქვეყანაში, თანასწორობა არის უნივერსალური.

როგორც წესი, პოლიტიკოსები პრაგმატული ადამიანები არიან, მათ სურთ იმ თემებზე აპელირება, რაზეც საზოგადოებას აქვს რეაქცია. არსებობს რაიმე კვლევა ან დადასტურება იმისა, რომ ეს საკითხი მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისთვის?

ეს არ შედის ჩვენი საზოგადოების პრიორიტეტებში. იმ საკითხების ათეულშიც კი არაა, რომელზეც ქართული საზოგადოება წუხს. მეორე მხრივ, ხელისუფლებებს აქვთ სურვილი, საზოგადოებაში აღიქმებოდნენ ამა თუ იმ ნიშნით, მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობა“ საზოგადოებაში აღიქმებოდა, რეფორმატორ ხელისუფლებად, „ქართული ოცნება“ ასეთად არ აღიქმება, თუმცა ცდილობს, დაიმკვიდროს თავი, როგორც ე.წ. ქართული ტრადიციების მცველმა ხელისუფლებამ.

ქართულ ტრადიციებში გვაქვს ბევრი ღირებული რამ, რისი დაცვაც მნიშვნელოვანია, რომ ავიღოთ ფოლკლორი ან ღვინის დაყენების ტრადიცია, რასაც უნდა გავუფრთხილდეთ, მაგრამ თუ ვიტყვით, რომ ქართული ტრადიციაა, ჩავერიოთ ადამიანების ცხოვრებაში, ასე არ არის. ესაა ბევრი ერისთვის დამახასიათებელი მავნე ჩვევა, რომელზეც უარი უნდა ვთქვათ. ჩვენი ტრადიციაა ლიბერალური სივრცე, რომელსაც აყალიბებდა ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ვაჟა ფშაველა...

რა პოლიტიკური ბერკეტები არსებობს, რომ წინააღმდეგობა გაუწიო მანდატების ძალას?

მოდი, ერთი ვთქვათ. ეს მანდატები, სინამდვილეში, ერთი ადამიანის ხელშია და კითხვა, როგორ უნდა გაკონტროლდეს ხელისუფლება, აბსოლუტურად ლეგიტიმურია. ამ მოცემულობამ ჩვენ, მათ შორის არასამთავრობო სექტორი, ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა. ჩვენც უნდა გადავხედოთ საკუთარ მიდგომებს, კიდევ უფრო აქტიურები უნდა გავხდეთ და ახალი გზები ვეძებოთ ხელისუფლების გასაკონტროლებლად.

ეს არის გამოწვევა პოლიტიკური პარტიებისთვის, ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც საპარლამენტო ცხოვრებაში ოპოზიციურ ფლანგზე „ქართული ოცნებისთვის“ წინააღმდეგობის გაწევას შეეცდება, „ნაციონალური მოძრაობაა“, და მნიშვნელოვანია, რომ თავად მათაც შეინარჩუნონ მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი. ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება საზოგადოებისთვის, მწვავე დებატი მოუწყოს ხელისუფლებას. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ექნება მედიასაც.

ეს ბერკეტები, ძირითადად, მოქმედებს მაშინ, თუ ხელისუფლება ელასტიკურია საზოგადოებრივი აზრის მიმართ. შენ, როგორც ნჯო აქტივისტის გამოცდილებიდან, როგორ ფიქრობ, არის კი ხელისუფლება ასეთი?

ხელისუფლება წინა მოწვევის პარლამენტში იყო უფრო ნაკლებადხისტი, ვიდრე იქნება ახლა, რადგან მანდატების რაოდენობა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს თავად უმრავლესობის რწმენაზე, საკუთარი ყოვლისშემძლეობის შესახებ.

ეს სიმართლე ჯობს, თავად ოპოზიციურმა პარტიებმა თქვან და კენჭისყრის დროს თავის არიდებას არ ეცადონ. პირდაპირ უნდა დააფიქსირონ, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, მაგალითად, აშშ აღიარებს ქორწინებას ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის, არის ადამიანების უფლება, ეს ეწინააღმდეგება იმ პოლიტიკას, რასაც ჩვენი დასავლელი პარტნიორები თავიანთ ქვეყანაში ატარებენ.

ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი



ჩას მოგვიტანს ახალი ეკონომიკური სტატეგია

სოფო გოგიშვილი

ტერმინები „ინდუსტრიული პოლიტიკა“, „ინდუსტრიალიზაცია“ ბოლო 25 წლის განმავლობაში პირველად გამოჩნდა პოლიტიკური პარტიის სტრატეგიაში. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების შეფასებით, ეს იდეოლოგიური გარდატეხის პერიოდია, რომელსაც ბაზრის დერეგულაციის, პრივატიზაციისა და ლიბერალიზაციის პრინციპების სანაცვლოდ სთავაზობს საზოგადოებას. ოპოზიციაში ამ სტრატეგიას წინასაარჩევნო ბლეფსა და ფულის ფუჭ ხარჯვასთან აიგივებენ, რომელსაც ეკონომიკური განვითარების მხრივ პერსპექტივა არ აქვს. არასამთავრობო სექტორში ინდუსტრიის განვითარების პოლიტიკას, ძირითადად, პოზიტიურად აფასებენ, თუმცა შემაფერხებლად ფინანსური და ადამიანური რესურსის, დაბალკონკურენტუნარიანი გარემოს, საკანონმდებლო ბაზისა და სხვა ტიპის პრობლემებს ასახელებენ.

ამ დროისთვის, ჯერჯერობით, უცნობია გრძელვადიანი სტრატეგია, თუ როგორი ინდუსტრიული პოლიტიკა უნდა გატარდეს. ახალი პარლამენტის დაკომპლექტებასთან ერთად იგეგმება უფრო დეტალური მსჯელობის დაწყება და ინდუსტრიის განვითარების ხედვის გაწერა.

ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების მიმართულებით ამ ეტაპზე რამდენიმე სტრუქტურა მუშაობს: „საპარტნიორო ფონდი“, „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“, „ინდუსტრიული ჯგუფი“, „აწარმოე საქართველოში“, მაგრამ არ არსებობს ცენტრალური ინსტიტუცია, რომელიც უშუალოდ აიღებს ამ სფეროზე პასუხისმგებლობას. მათ შორის კოორდინირების ხარისხიც დაბალია. ინდუსტრიული ჯგუფი მხოლოდ ათი ადამიანითაა დაკომპლექტებული.

ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუციები ამ ეტაპზე ხელს ვერ უწყობს თვისობრივად ახალი პროდუქტის, ინოვაციების შექმნას, ახალი დარგების გაჩენას და ბაზრის დივერსიფიკაციას. გარდა ამისა, სახელმწიფოს გამოყოფილი 16 მილიონი ინდუსტრიული წარმოების გასავითარებლად არასაკმარისია.

„საქართველოს მთავრობას არ გააჩნია ინდუსტრიული განვითარების სტრატეგია და ხედვა. ეს წარმოშობს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ პრობლემას. კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან ინდუსტრიის განვითარების მიმართულებით ჩარევა არის ფრაგმენტული და არ ემსახურება რაიმე სახის კონკრეტულ მიზანს. არსებობს რამდენიმე სახელმწიფო უწყება, რომელიც მუშაობს ინდუსტრიული განვითარების კუთხით, თუმცა მათ შორის კოორდინაციის დონე საკმაოდ დაბალია, რაც, თავის მხრივ, აფერხებს სახელმწიფოს მიერ თანმიმდევრული ჩარევის შესაძლებლობას.“ – ნათქვამია ფრიდრიხ ებერტის ფონდის 2016 წლის კვლევაში, რომელიც ეხება საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის გამოწვევებს.

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარის, ბექა ნაცვლიშვილის თქმით, იგეგმება ინდუსტრიის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის შექმნა, საპარტნიორო ფონდის გარდაქმნა განვითარების ბანკად, დაფინანსების ზრდა, საკანონმდებლო ბაზის მომზადება და ერთიანი ფინანსური ინსტიტუტის შექმნა, რომელიც უშუალოდ ინდუსტრიის განვითარებაზე, ინოვაციების აღმოჩენასა და მათ ხელშეწყობაზე იმუშავებს:

„ჩვენ ორიენტირებულები ვართ განვითარების პოლიტიკაზე. ყველა პარტიის მთავარი ამოცანაა დასაქმება, მაგრამ მთავარია სახელმწიფოს როლი ამ პრობლემის გადაჭრაში. უნდა ჩაერიოს თუ არა სახელისუფლებო სტრუქტურები ამ პროცესებში. ჩვენ არ ვსაუბრობთ სახელმწიფოს მხოლოდ მარეგულირებელ ფუნქციაზე, არამედ სახელმწიფო, როგორც ინვესტორი, პასუხისმგებელი ადამიანების სრულფასოვანი განათლების მიღებაზე, ჯანმრთელობასა და, რაც მთავარია, დასაქმებაზე.“ – აცხადებს ისნის მაჟორიტარი, ბექა ნაცვლიშვილი.

მისივე თქმით, „ქართული ოცნება“ პირველი ხელისუფლებაა, რომელმაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გააცნობიერა განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში და გადადგა მეწარმეობის ხელშესაწყობად პირველი ნაბიჯები, როგორც სოფლის მეურნეობის სივრცეში ისე ურბანული მიმართულებით, თუმცა, პირველ რიგში, მთავარია ჯერ არსებულის ერთი ქოლგის ქვეშ შეკრება, ცენტრალიზება და მათი დაკავშირება საგანმანათლებლო სივრცესთან.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი სერგი კაპანაძე ამ კონცეფციას ფუნდამენტურად არამართებულს უწოდებს, რადგან სახელმწიფომ და ბიუროკრატიამ, მისი მოსაზრებით, არ იცის, რა შეიძლება იყოს ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო პრიორიტეტი და ამ კურსის განსაზღვრა ბიზნესის პრეროგატივაა:

„ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება ნაკლები ფული დახარჯოს ისეთი ინიციატივების წახალისებაზე, რომლებსაც შესაძლოა, არ ჰქონდეს ეკონომიკური ეფექტი. ფული გაიფლანგება და შედეგი არ იქნება. ამის ალბათობა ძალიან მაღალია. სახელმწიფოს ხელშეწყობა ისეთი დარგების, რომლებიც ექსპორტზეა ორიენტირებული, თეორიულად კარგია, მაგრამ, როგორც წესი, ეს ბიზნესის სფეროა. ბიზნესი უკეთესად იგებს, რაში ჩადოს ფული და სად დააბანდოს ინვესტიცია. ეს იქნება მორიგი ბიუროკრატიული მახე, ფულის ფუჭი ხარჯვა, რომელიც გადასახადების გადამხდელების რესურსს გაფლანგავს. ვფიქრობ, ბიუროკრატიამ ყველაზე ცუდად იცის ეს საკითხი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემურია ფინანსური სექტორიც, რომლის 93%-ს კომერციული ბანკები წარმოადგენენ და პერსპექტივაში განხორციელებადი პროექტები სწორედ ამ ბანკების თანამონაწილეობაზეა დამოკიდებული. ფრიდრიხ ებერტის კვლევაში აღნიშნულია, რომ ბანკების პრიორიტეტი კომერციული და ნაკლებად რისკიანი პროექტების დაფინანსებაა და თუნდაც ტექნოლოგიური გადაიარაღება, რაც ინდუსტრიის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ბანკების ინტერესებში შესაძლებელია საერთოდ არ შედიოდეს.

საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში გაწერილია, რომ მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქტის ტექნოლოგიური სირთულის ინდიკატორი 2020 წლისთვის უნდა გახდეს 9.5. კითხვის ნიშნებს აჩენს, ამდენად მაღალი დამატებითი ღირებულება და პროდუქტის ტექნოლოგიური სირთულე რამდენადაა თავსებადი აგრარულ და სერვისულ ეკონომიკასთან.

„ვერც ნავთობი და გაზი გვექნება ოდესმე, ვერც ტურიზმით აშენდება ეს ქვეყანა. სახელმწიფო არ უნდა შეუშინდეს სხვადასხვა პროგრამის დაფინანსებას. თუ სახელმწიფო შეშინდება – რადგან ეს გადასახადების გადამხდელების ფულით ხდება, – შედეგს ვერ მოიტანს. სახელმწიფოს მხრიდან ექსპერიმენტები არის ძალიან კარგი განვითარების ამ ეტაპზე, რადგან არ გვაქვს იდენტიფიცირებული ის მიმართულებები და რესურსები, რომლებიც მომავალში შეიძლება გახდეს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე," – აცხადებს ბექა ნაცვლიშვილი.

მისივე თქმით, განათლების სისტემასა და ეკონომიკას შორის ბმის არარსებობაა ქვეყნის მთავარი პრობლემა, რომლის გადაჭრისთვისაც საჭიროა შეიქმნას რაიმე ორგანო, დეპარტამენტი, საჯარო უწყება, რომელიც განათლებისა და ეკონომიკის კავშირს გაუწევს კოორდინირებას.

ებერტის ფონდის შეფასებით, რთულია, ბუნებრივი, მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, ტექნოლოგიის ამ საფეხურებზე საქართველოს წარმოდგენა.

ინდუსტრიული პოლიტიკის გატარების მთავარ პირობას კვლევის დაფინანსება წარმოადგენს. დღევანდელი საგანმანათლებლო სივრცე და საუნივერსიტეტო გარემო ეჭვქვეშ აყენებს განვითარების პერსპექტივებს. კითხვის ნიშნებს აჩენს ამ დროისთვის მიმდინარე კვლევითი პროცესების ხარისხის თვალსაზრისით შექმნილი ვითარებაც. რამდენად უზრუნველყოფს ეს მოცემულობა ინდუსტრიულ განვითარებას?

„ქართული ოცნების" ხედვით, მაქსიმალურად დიდი ინვესტიცია უნდა დაბანდდეს განათლებისა და კვლევის მიმართულებით, რათა მაღალ ტექნოლოგიებს ადამიანური რესურსი მომზადებული დახვდეს. „ჩვენს საზოგადოებას აქვს უნარი და ერთი ადამიანიც არ უნდა დარჩეს, რომლის პოტენციალიც არ იქნება გამოუყენებელი," – აცხადებს ბექა ნაცვლიშვილი.

„ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი, რომან გოცირიძე უარს ამბობს ამ სტრატეგიის სერიოზულად განხილვაზე:

„ეს იყო საარჩევნო ზღაპარი, ყველაფერი რაც ითქვა, არის ბლეფი. არასერიოზულია. ინდუსტრიალიზაცია კი არა, კიტრი ვერ მოუყვანიათ".

სერგი კაპანაძის თქმით, ქვეყნის ეკონომიკა არ უნდა იყოს სერვისული, ან ექსპორტის. ეს უნდა იყოს ყველაფერი მთლიანობაში:

„ამოსავალი წერტილი ისაა, რომ სახელმწიფომ რაც შეიძლება ცოტა ფული ხარჯოს და არ ფლანგოს მოქალაქეებისა და ბიზნესის რესურსი. ყველაზე მართებული მიდგომაა ისაა, რომელიც ამცირებს გადასახადებს, ხელს უწყობს მეწარმეების შემოსვლას ან ადგილობრივმა ადამიანებმა დაიწყონ წარმოება. ამას ბაზარი დაარეგულირებს, თუ რომელი სფერო იქნება წამყვანი და რა მიმართულებით განვითარდება ეკონომიკა. რაც ნაკლები იქნება სახელმწიფოს როლი ამ პროცესში, მით უკეთესი. იმის დაშვება, რომ ბიუროკრატმა უკეთ იცის, არის ყველაზე ცუდი. ამ დაშვების შედეგად ხდება არასწორი მიმართულებით ფულის ხარჯვა."

ბექა ნაცვლიშვილის თქმით, ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ტექნოლოგიების განვითარებას და ინოვაციებს, რადგან სერვისის ეკონომიკა პირდაპირაა დამოკიდებული გეოპოლიტიკურ გარემოზე. ტურიზმი მაგალითად, პირდაპირ კავშირშია ქვეყნის სტაბილურობასთან. გარდა ამისა, „ქართული ოცნების" ხედვით, სერვისის ეკონომიკა ყველაზე დაბალ დამატებით ღირებულებას ქმნის და გადამამუშავებელი მრეწველობა – ყველაზე მაღალს:

„ინფორმაციაზე წვდომა არაა თანაბრად გადანაწილებული, ფინანსებზე წვდომა დაბალია. ეს პირდაპირ მეტყველებს, რომ ბაზარი და უხილავი ხელი არ არის გარანტი. სახელმწიფო გვევლინება, როგორც მარეგულირებელი, როგორც მაორგანიზებელი ამ პროცესების. თუ გვინდა მდგრადი განვითარება, ისეთ სექტორებს უნდა შევუწყოთ ხელი, რომლებზეც კრიზისები და მეზობელი ქვეყნების პოლიტიკა ნაკლებ გავლენას მოახდენს. ტექნოლოგიურ საქონელზე მოთხოვნა ყოველთვის იქნება და ტურიზმის შემთხვევაში ეს მოთხოვნა შეიძლება გაქრეს პატარა ინციდენტის შედეგად. უფრო მოწყვლადია, ვიდრე რეალური ეკონომიკა," – ამბობს ბექა ნაცვლიშვილი.

მისი მტკიცებით, ყველა თანამედროვე ქვეყანა გან-

ვითარდა სახელმწიფოს აქტიური ჩარევით. თუ გავითვალისწინებთ ევროპულ, სკანდინავიურ, თუ სამხრეთ აზიურ გამოცდილებას.

„ქართულმა ოცნებამ" ასევე დაიწყო შრომის ბაზრის ფორმირებაზე საუბარი, რომელიც ინდუსტრიული პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა. პარტიის წევრების აზრით, მათ უნდა გადაწყვიტონ რა მიმართულებით სურთ ქვეყნის განვითარება და კონკურენტუნარიანი მომავლისთვის იდენტიფიცირებული მიმართულების მიხედვით დააგენერიროს სახელმწიფომ ადამიანური რესურსი.

„საქართველოს მთავრობის ხელში არსებული ინსტრუმენტები არ არის ორიენტირებული „ახალი ეკონომიკური აქტივობების წახალისებაზე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმით საპროექტო წინადადება ახალი ბიზნესის წამოწყებას უნდა გულისხმობდეს, იგი მაინც არ ახდენს საქართველოს ეკონომიკისთვის თვისობრივად ახალი აქტივობის (ახალი დარგის) წახალისებას. ვერც „საპარტნიორო ფონდი" უწყობს ხელს საქართველოს წარმოებული პროექტების დივერსიფიკაციას იქიდან გამომდინარე, რომ მისი მთავარი კრიტერიუმია საპროექტო იდეის კომერციულობა და არა ინოვაციურობა," – აღნიშნულია ფრიდრიხ ებერტის ფონდის კვლევაში.

აქვეა ნახსენები, რომ 90-იანი წლების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა ყველა მთავრობამ ცალ-ცალკე თავისი ეკონომიკური დოქტრინა წარმოადგინა, თუმცა ისინი შინაარსობრივად იდენტური იყო, ვინაიდან ყველა მათგანი სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩაურევლობას ურყევ პრინციპად იღებდა. „შედეგად მივიღეთ ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი დერეგულაცია და არსებული საზოგადოებრივი სიმდიდრის დაჩქარებული და ხშირ შემთხვევაში უკანონო პრივატიზაცია."

დღეს საქართველო ისევ რჩება ეკონომიკურად ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ქვეყნად რეგიონში. ჯინის ინდექსის მიხედვით, მოსახლეობის 10% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, შემოსავლების მხრივ კი საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე უთანასწორია.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ხედვა აქვთ პარტიებს. ვინ უნდა მისცეს ეკონომიკას მიმართულება სახელმწიფომ, თუ ბიზნესმა; როგორ გადაიჭრება ფინანსური სექტორის პრობლემა; რამდენად გაიზრდება კვლევებისა და ინდუსტრიის განვითარების დაფინანსება; როგორ მოხდება ბაზრის დივერსიფიკაცია და რა ფორმით შეიცვლება საკანონმდებლო ბაზა – ამ საკითხზე დისკუსია უკვე ახლად შეკრებილ პარლამენტში დაიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჩიეჩები პროფესიულ განათლებაში

ავტორი: სალომე გორგოძე
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

პროფესიული განათლება ქვეყანაში პოპულარული არ არის. კვლევებით დასტურდება, რომ სტუდენტები და მშობლები უმაღლეს განათლებას უფრო მიმზიდველ და სასურველ საგანმანათლებლო ალტერნატივად განიხილავენ, ვიდრე პროფესიულ განათლებას. სპეციალისტების შეფასებით, ამგვარი დამოკიდებულება პროფესიული განათლების სისტემაში არსებულმა უარყოფითმა განწყობამ და ბარიერებმა განაპირობა, – ე.წ. „ჩიხების პრობლემა“ პროფესიული კოლეჯების სტუდენტებისთვის, ვისაც მხოლოდ საბაზო განათლება აქვს მიღებული, უმაღლესი განათლების მიმართულებით სწავლის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში, ბარიერს ქმნის.

კანონის მოქმედი რეგულაციით, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის (ცხრა კლასის) კურსდამთავრებულს უფლება აქვს, სწავლა განაგრძოს პროფესიული განათლების მიმართულებით, მაგრამ პროფესიული განათლების კურსდამთავრებული, რომელსაც არ აქვს სრული ზოგადი განათლება (არ დაუსრულებია თორმეტი კლასი), სწავლას უმაღლესი განათლების მიმართულებით ვერ გააგრძელებს.

სპეციალისტების შეფასებით, აღნიშნული „ჩიხი“ დიდწილად ხელს უწყობს იმას, რომ პროფესიული განათლება საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის მიმზიდველი არ არის, – პროფესიული კოლეჯების სტუდენტები, უმეტესად 19-23 წლის ახალგაზრდები არიან, რომელთა უმეტესობას ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დასრულებული აქვს და ხშირ შემთხვევაში უმაღლესი განათლებაც აქვს მიღებული.

ბოლოდროინდელი კვლევები აჩვენებს, რომ საზოგადოების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ თანდათან პოზიტიურისკენ იცვლება, თუმცა სპეციალისტების შეფასებით, ეს საკმაოდ ნელი პროცესია; დღევანდელი ქართული პროფესიული განათლების სისტემა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, – უზრუნველყოს მაღალი ხარისხი, ხელმისაწვდომობა, მოამზადოს კვალიფიციური კადრები.

რატომ არ არის პოპულარული პროფესიული განათლება

შალვა ჩიტაძე 26 წლისაა. მაისში საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრის“ სტუდენტი გახდა და დურგლის პროფესიას ეუფლება. თბილისის ილია მართლის სახელობის გიმნაზიის დასრულების შემდგომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩააბარა, ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების მიმართულებით ისწავლა და ბაკალავრის დიპლომი აიღო. პროფესიულ კოლეჯში ჩაბარება მეგობარმა ურჩია. გადაწყვიტა, დურგლის პროფესია შეესწავლა, რადგან, როგორც ამბობს, ხეზე მუშაობა ბავშვობიდან განსაკუთრებულად უყვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო პერიოდში წარმოებული კვლევები აჩვენებს, რომ საზოგადოების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ თანდათან პოზიტიურისკენ იცვლება, თუმცა, სპეციალისტების შეფასებით, ეს საკმაოდ ნელი პროცესია; დღევანდელი ქართული პროფესიული განათლების სისტემა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას – უზრუნველყოს მაღალი ხარისხი, ხელმისაწვდომობა, მოამზადოს კვალიფიციური კადრები.

„პროგრამა რვა თვე გრძელდება, დამსაქმებლებთან ურთიერთობა უკვე გვაქვს, ამიტომ, დასაქმება არ უნდა გამიჭირდეს. ეს ჩემთვის ახალი შესაძლებლობაა, გავხდე იმ საქმის პროფესიონალი, რომლის კეთებაც მომწონს. ამ შესაძლებლობას სკოლის დამთავრებისას ვერ ვიაზრებდი, თითქოს პროფესიის მიღების მხოლოდ ერთი გზა არსებობდა – უმაღლესი განათლება“, – ამბობს შალვა ჩიტაძე. ახლა კურსელებთან ერთად ქართული ზღაპრის გმირების გამოსახულებით ხის სათამაშოებს ამზადებს. გეგმავენ, საქველმოქმედო გამოფენა მოაწყონ.

საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“ ერთ-ერთი დიდკონტინგენტიანი კოლეჯია თბილისში. მიღება წელიწადში ორჯერ ცხადდება, შემოდგომასა და გაზაფხულზე. კოლეჯში დაახლოებით 700-მდე სტუდენტი სწავლობს.

პროფესიულ კოლეჯებში სტუდენტები მიიღებიან გამოცდის საფუძველზე, რომელსაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს. ტესტი პროფესიული უნარებისა და საგნის/საგანთა ჯგუფის ნაწილისგან შედგება. დაფინანსების მოპოვების მიზნით, კონკურსანტმა ტესტირებაზე პროფესიული უნარებისა და საგნის ტესტის ჯამური მაქსიმალური ქულის 25%-ზე მეტი უნდა დააგროვოს. სწავლას სახელმწიფო სრულად აფინანსებს.

„ჩვენს საზოგადოებას ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული ის სიკეთეები და უპირატესობები, რასაც პროფესიული განათლება სთავაზობს ახალგაზრდებს. პროფესიული განათლება არის უმოკლესი გზა დასაქმებისკენ, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების გაზრდას, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ჩვენ დღეს გვყავს ძალიან ბევრი უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქე, რომლებსაც რეალურად პროფესია არ აქვთ, შესაბამისად, შრომის ბაზარზე ვერ საქმდებიან. ჩვენმა საზოგადოებამ უნდა გაიაზროს, რომ მთავარია, ღირსეულად დასაქმდე და შენი საქმის პროფესიონალი იყო. ამის მისაღწევად კი ერთადერთი გზა უმაღლესი განათლება არ არის. თუმცა, თუკი პროფესიული განათლების მქონე ადამიანი გადაწყვეტს, რომ უმაღლესი განათლება მიიღოს, მას ბარიერი არ უნდა ხვდებოდეს, ამგვარი ბარიერები სკეპტიკურად განაწყობს საზოგადოებას“, – ამბობს საზოგადოებრივი კოლეჯის, „სპექტრის“ ხელმძღვანელი მათე ტაკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთი ბარიერი, რომელზეც ის ყურადღებას ამახვილებს, სამხედრო სავალდებულო სამსახურს ეხება. თუკი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან თავისუფლდებიან, პროფესიული განათლების მიღებისას ასე არ ხდება.

მისი თქმით, ხშირად სტუდენტებს რამდენიმეთვიანი სწავლის შემდგომ სამხედრო სავალდებულო სამსახურში იწვევენ, – „სტუდენტს თვეობით შრომა და სწავლა წყალში ეყრება, რადგან უმეტეს შემთხვევაში, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სწავლას აღარ უბრუნდება. იკარგება სტუდენტის შრომაც და მათი სწავლისთვის გაღებული სახელმწიფო ფინანსებიც. ამგვარი ბარიერი, ცხადია, აფრთხობს სტუდენტს. ეს საკითხიც დასარეგულირებელია“.

მათე ტაკიძე ამბობს, რომ დღეს შრომის ბაზარზე გაცილებით მეტი სამუშაო ადგილია, ვიდრე დასაქმების მსურველი. კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსია. მისი თქმით, განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნა შრომის ბაზარზე მშენებლობის მიმართულებითაა, მაგრამ სწავლის მსურველი ცოტაა.

„მაგალითად, ძალიან მაღალია მოთხოვნა მებათქაშეებზე, მაგრამ ამ პროფესიის შესწავლა ძალიან ცოტას უნდა. აქაც მენტალობის პრობლემამდე მივდივართ. ეს პროფესია არ მიიჩნევა პრესტიჟულად, თუმცა ამ მიმართულებით დასაქმების მაჩვენებელი მაღალია. ჩვენი სტატისტიკის მიხედვით, სამშენებლო სექტორში ჩვენი კურსდამთავრებულების დაახლოებით 75% სწავლის დასრულებისთანავე საქმდება“, – ამბობს მათე ტაკიძე.

რა ცვლილებებს გულისხმობს პროფესიული განათლების რეფორმა

2013 წელს „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020“ და სამოქმედო გეგმა მომზადდა, რომელმაც რეფორმის ძირითადი მიმართულებები განსაზღვრა. პროფესიული განათლე-

როგორია სტატისტიკური მონაცემები

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, 2016 წლის მდგომარეობით, პროფესიული საგანმანათლებლო ქსელი საქართველოში აერთიანებს 126 საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელთა შორისაა:

88 პროფესიული კოლეჯი – 20 საჯარო და 68 კერძო.

29 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – 14 საჯარო და 15 კერძო.

9 ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლა.

აღნიშნული სასწავლებლებიდან 60 რეგიონშია, 66 – თბილისში.

სტუდენტების 56% სწავლობს რეგიონებში, 44% კი – თბილისში.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, 2014 წელს საჯარო პროფესიულ კოლეჯებში 9603 სტუდენტი ჩაირიცხა. 2015 წელს – 10405, 2016 წელს პირველი ჩარიცხვის მიხედვით – 3595 სტუდენტი.

რაც შეეხება სტუდენტების განაწილებას ასაკის მიხედვით, ყველაზე მეტი სტუდენტი 19-23 ასაკობრივ კატეგორიაშია.

ბის პოლიტიკის სპეციალისტი ანასტასია ქიტიაშვილი სტრატეგიის შემუშავებაში, ადგილობრივი ექსპერტის სტატუსით იყო ჩართული. მისი თქმით, სტრატეგიის შემუშავებას წინ უძღოდა კვლევა და სიტუაციური ანალიზი, რათა ცხადი გამხდარიყო სისტემაში არსებული პრობლემები და გამოწვევები.

ის ამბობს, რომ სტრატეგია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე შემუშავდა და ორიენტირებულია ისეთ საკითხებზე როგორებიცაა: პროფესიული განათლების მოქნილი ქსელის ჩამოყალიბება, სისტემაში არსებული ბარიერების შემცირება, კვალიფიკაციების ხარისხის გაუმჯობესება, მასწავლებელთა გადამზადება თანამედროვე მიდგომების შესაბამისად.

მისი თქმით, მნიშვნელოვანი პრობლემაა საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების შეცვლა, – „ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროინდელი ნეგატიური იმიჯი მოსდევს საზოგადოებას, როდესაც პროფესიული სასწავლებლები ნაკლებად წარმატებული მოსწავლეებისათვის სადამსჯელო დაწესებულებად აღიქმებოდა, სტერეოტიპების დაძლევა კი რთულია და დრო სჭირდება“.

პროფესიული განათლების რეფორმა 2013 წლიდან ქვეყანაში სწორედ აღნიშნულ სტრატეგიაზე დაყრდნობით დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს. რეფორმის ფარგლებში სხვა აქტივობებთან ერთად პროფესიულ კოლეჯებში მოდულური პროგრამებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა დაიწყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

■ პროფესიული განათლების რეფორმა 2013 წლიდან ქვეყანაში სწორედ აღნიშნულ სტრატეგიაზე დაყრდნობით დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს. რეფორმის ფარგლებში სხვა აქტივობებთან ერთად პროფესიულ კოლეჯებში მოდულური პროგრამებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა დაიწყო.



რას გულისხმობს მოდულური პროგრამები

2013 წელს განათლების სამინისტროს ინიციატივით, დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების მოდულარიზება, რომელსაც მეთოდოლოგიური დახმარება ევროკავშირმა გაუწია. 2015 წლიდან კი 45 მოდულური პროგრამის სწავლება დაიწყო.

მოდულური სწავლებისას საგნების ნაცვლად პროგრამა მოდულებისგან შედგება. მოდული კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად საჭირო ცოდნასა და უნარებს აერთიანებს. ის კონკრეტული კომპეტენციების გამომუშავებაზეა ორიენტირებული და შეიძლება ცალკე ერთეულის სახით დიფერენცირდეს პროგრამიდან, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, კონკრეტული მოდული ისწავლოს, ამის მიხედვით შეფასდეს და მიენიჭოს შესაბამისი კრედიტი.

მოდულური სწავლების 40%-ზე მეტი პრაქტიკაზე მოდის.

„ასეთი პროგრამები შრომის ბაზრის ცვლილებისადმი უფრო მოქნილია. შრომის ბაზრის ცვლილებისას მთელი პროგრამის ნაცვლად კონკრეტული მოდულის განახლებაა შესაძლებელი, გაადვილებულია სამუშაო ბაზარზე გასვლა და სწავლის გასაგრძელებლად საგანმანათლებლო სისტემაში ხელახლა დაბრუნება“, – ამბობს ანასტასია ქიტიაშვილი.

რას გულისხმობს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

2015 წელს გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, სამუშაოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანასტასია ქიტიაშვილი მასწავლებლების კვალიფიკაციაზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, რეფორმის განხორციელებისას, მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ მასწავლებლები, ვინაიდან სწორედ მათზეა დამოკიდებული სწავლებისა და შეფასების ხარისხი. როგორი სრულყოფილი პროგრამებიც არ უნდა არსებობდეს, გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ მასწავლებლებს ენიჭებათ, რადგან სწორედ ისინი არიან სწავლებაზე პასუხისმგებლები – აღნიშნავს ანასტასია ქიტიაშვილი და სისტემაში ახალგაზრდა კადრების ნაკლებობაზე მიუთითებს – მასწავლებელთა საშუალო ასაკი დაახლოებით 50 წელია. ახალგაზრდისთვის კი პროფესიული მასწავლებლის პროფესია არ არის მიმზიდველი, ვინაიდან დაბალია ანაზღაურება და პრესტიჟიც.

დაფუძნებული სწავლების კონცეფცია მომზადდა, 2016 წელს კი აღნიშნული მოდელის პროექტის პილოტირება საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) ერთად ორ სფეროში, მეხილეობასა და მეცხოველეობაში დაიწყო.

როგორც „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ პროფესიული განათლების ოფიცერი ნიკოლოზ მესხიშვილი განმარტავს, სამუშაოზე, კერძოდ კი, შეგირდობის პრინციპებზე დაფუძნებული სწავლება წარმოადგენს მსოფლიოს პროფესიული განათლების სისტემაში ერთ-ერთ საუკეთესო მიდგომას, რომელიც პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და სისტემაში ჩართული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერებას ითვალისწინებს.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება ეს არის სწავლა მუშაობის პროცესში. ამ დროს სტუდენტი რეალურ პროდუქტს ქმნის. დამსაქმებელი ჩართულია სწავლების პროცესში.

„შრომის ბაზარი გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს განათლების სისტემას, თუ როგორი კადრები სჭირდება მას. როგორც სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სიტუაციურმა ანალიზმა აჩვენა, დამსაქმებლები ხშირად არ არიან კმაყოფილები პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების უნარებით. სამუშაოზე დაფუძნებული განათლება კი სრულად აკმაყოფილებს დამსაქმებლების მოთხოვნას. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება აადვილებს სტუდენტების დასაქმებასაც უშუალოდ პრაქტიკის გავლის პროცესში. რაც, თავის მხრივ, უფრო მიმზიდველს ხდის პროფესიულ განათლებას ახალგაზრდებისთვის“, – ამბობს ანასტასია ქიტიაშვილი.

ანასტასია ქიტიაშვილი მასწავლებლების კვალიფიკაციაზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, რეფორმის განხორციელებისას, მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ მასწავლებლები, ვინაიდან სწორედ მათზეა დამოკიდებული სწავლებისა და შეფასების ხარისხი. როგორი სრულყოფილი პროგრამებიც არ უნდა არსებობდეს, გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ მასწავლებლებს ენიჭებათ, რადგან სწორედ ისინი არიან სწავლებაზე პასუხისმგებლები – აღნიშნავს ანასტასია ქიტიაშვილი და სისტემაში ახალგაზრდა კადრების ნაკლებობაზე მიუთითებს – მასწავლებელთა საშუალო ასაკი დაახლოებით 50 წელია. ახალგაზრდისთვის კი პროფესიული მასწავლებლის პროფესია არ არის მიმზიდველი, ვინაიდან დაბალია ანაზღაურება და პრესტიჟიც.

„მნიშვნელოვანია, როგორც პროფესიული მასწავლებლების, ასევე ინსტრუქტორების მომზადება-გადამზადება. საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორები პროფესიონალები არიან, მაგრამ ხშირად არ გააჩნიათ სწავლა/შეფასების გამოცდილება მაშინ, როდესაც პროფესიულის მასწავლებლებს სწავლა/შეფასების გამოცდილება აქვთ, მაგრამ ახალ ტექნოლოგიებში შეიძლება ნაკლებად ერკვეოდნენ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ატარებს მასწავლებლების ტრენინგებს, რაც მნიშვნელოვანია, რომ სამომავლოდაც გაგრძელდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია, პროფესიული მასწავლებლების მომზადება სისტემის დონეზეც ხდებოდეს“, – ამბობს ანასტაცია ქიტიაშვილი.

რას შეცვლის ახალი კანონი

პროფესიული განათლების შესახებ დღეს მოქმედი კანონი აღარ მიესადაგება იმ რეფორმებს, რომელიც აუცილებელია პროფესიული განათლების განვითარებისთვის, – ამბობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ირინა წეროძე და განმარტავს, რომ უკვე მომზადდა ახალი კანონის სამუშაო ვერსია, რომელიც სისტემაში არსებულ ბარიერებს გააქრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისივე თქმით, ახალი კანონის პარლამენტში შეტანა 2017 წლისთვისაა დაგეგმილი.

ირინა წეროძე ამბობს, რომ კანონის სამუშაო ვერსიაში დარეგულირებულია პროფესიული განათლების სივრცეში ზოგადი განათლების კომპონენტის შემოტანა, რაც არსებული „ჩიხის" პრობლემას მოაგვარებს.

„მეცხრეკლასელი, რომელიც გადაწყვეტს პროფესიული განათლების მიღებას, პროფესიის მიღებასთან ერთად უნდა შეეძლოს ზოგადი განათლების სრული საფეხურის გავლა. უფრო კონკრეტულად კი, ეს გულისხმობს იმას, რომ პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სტუდენტს უნდა შესთავაზოს X, XI , XII კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალა, იმისათვის, რომ მან პარალელურ რეჟიმში შეძლოს ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატის აღება. ამრიგად, აღარ იარსებებს „ჩიხი" იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც პროფესიული განათლების მიღების შემდგომ, უმაღლესი განათლების მიმართულებით მოინდომებენ სწავლის გაგრძელებას", – ამბობს ირინა წეროძე.

მისივე თქმით, სამინისტრომ უკვე ჩაატარა პროფესიულ განათლებაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში არსებულ საგნებთან მიმართებით. მზად არის საპილოტე პროგრამებიც, სადაც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების შინაარსი პროფესიულ მოდულებშია ინტეგრირებული, აღნიშნული პროგრამების სისტემური დანერგვა კი მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც საკანონმდებლო ცვლილება ძალაში შევა.

რაც შეეხება წვევამდელებთან დაკავშირებულ პრობლემას, ირინა წეროძის განმარტებით, სამინისტრო პრობლემის მოგვარების მიზნით, შესაბამის უწყებებთან მუშაობდა, თუმცა ჯერ კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

მისი თქმით, ახალი კანონი გზას გაუხსნის პროფესიული განათლების რეფორმის შესაბამისად განვითარებას, რაც პროფესიულ განათლებას უფრო მიმზიდველს გახდის და სისტემაში დღეს არსებულ პრობლემებს მოაგვარებს.

მარიხუანა, ჰობოს ნამალი

ნათია ამირანაშვილი

ნევროლოგიური პრობლემები, პოსტტრავმული სტრესი, ტკივილი სხვადასხვა დაავადების დროს, უძილობა, უმადობა, – სამედიცინო მარიხუანას ამერიკის 25 შტატსა და ვაშინგტონში, ასევე მსოფლიოს მინიმუმ 10 ქვეყანაში სხვადასხვა დაავადების სიმპტომების წინააღმდეგ იყენებენ. რატომ უნდა თქვას საქართველომ ამაზე უარი, თუ შესაძლებელია, რომ ადამიანებმა ტკივილისა და დისკომფორტისგან შვება იგრძნონ? საქართველოში ეშინიათ, რომ მედიკამენტს ბოროტად გამოიყენებენ. არიან ისეთებიც, ვისაც სამედიცინო მარიხუანის შეუცვლელი ეფექტის ჯერ ბოლომდე არ სჯერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშა ზამბახიძე ამერიკაში 13 წელია, ცხოვრობს. კინოს დამდგმელი მხატვარი ჰოლივუდში მოღვაწეობს და უკვე დიდ წარმატებასაც მიაღწია.

საქართველოდან ჩასულს ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემების გამო აწუხებდა თავის, წელისა და სახსრების ტკივილი. უჩიოდა უმადობასა და უძილობას, ჰქონდა ნევროზული ფონი და პრობლემები ღვიძლზეც. ამერიკაში, ლოს ანჯელესის სამედიცინო ცენტრში გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ რამდენიმე პრობლემა ერთდროულად იყო სამკურნალო, განსხვავებული ჯგუფის მედიკამენტებით. ექიმების აზრით, ეს ღვიძლს და საერთოდ ორგანიზმს დიდ ზიანს მიაყენებდა, ამიტომ ალტერნატიული მკურნალობის მეთოდით, სამედიცინო მარიხუანით მკურნალობა და „სამედიცინო მარიხუანის კვლევითი ცენტრისთვის“ მიმართვა ურჩიეს.

„თავიდან უკმაყოფილებისა და გაურკვევლობის შეგრძნება მქონდა. სამედიცინო ცენტრში მივედი და მარიხუანით მკურნალობა შემომთავაზეს. მაინც წავედი, რომ გამეგო, თუ რას მთავაზობდნენ. იქ თავიანთი კვლევების შედეგები გამაცნეს. მითხრეს, რომ პირველ ყოვლისა უნდა გამეცნობიერებინა, რომ საუბარი იყო მედიკამენტზე, რომელიც კანაფზეა დამზადებული და ისეთივე პასუხისმგებლობით უნდა მიმეღო, როგორც სხვა წამალი (ექიმის დანიშნულების მიხედვით, დოზირების დაცვით). მითხრეს, რომ ის წამლად გჭირდება და არა იმ განწყობით, რომ გაბრუების კარგი საშუალებაა. მხოლოდ ასეთი მიდგომით და წესების დაცვით იქნებოდა შესაძლებელი შედეგის მიღწევა. დამაჯერებლად ჩანდა და კვლევის შედეგებიც ნათელი იყო, მე დავთანხმდი. შემდეგ კი ჩემი მდგომარეობისა და ანალიზების პასუხებზე დაყრდნობით შეიმუშავეს მკურნალობის მეთოდი“, – ამბობს ზამბახიძე.

მისი თქმით, სამედიცინო მარიხუანის სწორი და მასზე მორგებული ფორმით მიღების შემდეგ მოუწესრიგდა ძილი, უმადობის პრობლემაც მოგვარდა. ტკივილიც აღარ აწუხებდა.

„სამედიცინო მარიხუანა მე საღამოს მქონდა დანიშნული, მგვრიდა მადას და მაძინებდა მშვიდი ძილით. დღის განმავლობაში კი ტკივილის გასაყუჩებლად ვიღებდი წვეთების სახით, CBD-ის ექსტრაქტის (კანაფში შემავალი ნივთიერება „კანაბიდიოლი“) ფორმით, რომელსაც გაბრუების/თრობის ეფექტი მოხსნილი აქვს. ორ-სამ წვეთს ვიღებდი, ტკივილის სიძლიერის მიხედვით. არსებობს მარიხუანაზე დამზადებული მედიკამენტის ბევრნაირი ფორმა. ის შეიძლება მიიღო, როგორც მოსაწევის ფორმით ასევე არის დრაჟეს და სპრეის სახით, მათთვის ვისაც კუჭი აწუხებს. აგრეთვე, ძალიან ბევრია სასმელისა და საკვების ფორმით, დღიური ლიმიტია დაწესებული, თუ რამდენის ყიდვის უფლება გაქვს. არის გარკვეული რაოდენობაც განსაზღვრული, თუკი სადმე მიდიხარ, ექიმის ნებართვის საფუძველზე, დამატებით რომ აიღო“, – ჰყვება ზამბახიძე.

რაც შეეხება მედიკამენტის ფასს, ლაშა ამბობს, რომ სამედიცინო მარიხუანა იაფი არაა, თუმცა ხელმისაწვდომია, მით უმეტეს იმ დოზის ფარგლებში, რაც ადამიანს სჭირდება. თუმცა თუ ონკოლოგიურ მკურნალობაზეა საუბარი, მაშინ დიდი დოზის კონცენტრატებია საჭირო და ფასიც შესაბამისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისივე თქმით, გაძლევენ სპეციალურ ნებართვასაც, თავად მოიყვანო მცენარე, რისთვისაც ცალკე რეგულაციები არსებობს.

„საგანმანათლებლო დაწესებულებიდან უნდა იყოს გარკვეული რადიუსით დაშორებული, იყოს დაცულ ოთახში, უნდა კონტროლდებოდეს გათბობა და ა.შ. მოდის ხოლმე ინსპექცია, ამოწმებენ, რამდენი ძირი მოგყავს და როგორ. მაინც მცენარეა, შეიძლება, დიდი გაიზარდოს ან პატარა. აქედან გამომდინარე, თუ ბევრი მოვიდა და დაგრჩა ნაშთი, შეგიძლია მიიტანო აფთიაქში და ჩააბარო, ამაში ფულს გადაგიხდიან", – ამბობს ზამბახიძე.

რა ხდება, როდესაც საქართველოში ჩამოდის – ამბობს, რომ იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მისი ავადმყოფობა იჩენს თავს (მაგალითად, ძლიერი თავის ტკივილი) წამალი ვერ ჩამოაქვს, არც არსებობს მისი შემცვლელი და იტანჯება გამოუვალი მდგომარეობით. მიაჩნია, რომ საქართველომ უნდა დაიწყოს ზრუნვა იმაზე, რომ მარიხუანის სამედიცინო დანიშნულებით გამოყენება შესაძლებელი გახდეს.

ამბობს, რომ ამ მხრივ გადაწყვეტილებები სამედიცინო სფერომ უნდა მიიღოს და არა სამართალდამცავმა სტრუქტურებმა, რომლებიც ფარმაკოლოგიაში არაკომპეტენტურები არიან. მისი თქმით, საჭიროა მხოლოდ პოლიტიკური ნება, რომ გვინდა ამ გზით წავიდეთ, შემდეგ კი შეიძლება არსებული მზა საერთაშორისო პრაქტიკის გადმოღება.

„რამდენი მეგობარი მყავს, რამდენი ახლობელი ადამიანი, რომელსაც შემიძლია დავეხმარო და ვერ ვეხმარები. ეს უფრო მკლავს, ვიდრე ის ადამიანი, რომელმაც იცოდა, რომ ნარკოტიკების ფლობის გამო დაიჭერდნენ და მაინც წავიდა ამაზე. რა თქმა უნდა, ცუდია და არანაირად არ მივესალმები ასეთ ფაქტს, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ კუთხით უფრო უარესი სურათია. ადამიანის სიცოცხლეზეა საუბარი და ვერ ვეხმარებით. ამაზე ხმას არავინ არ იღებს. ეს ინფორმაცია უნდა მივიდეს საზოგადოებამდე, რომ მედიკამენტი არსებობს და ამდენ ადამიანს შვება შეიძლება მივცეთ", – ამბობს ზამბახიძე „ლიბერალთან" საუბრისას.

■ რა ხდება, როდესაც საქართველოში ჩამოდის – ამბობს, რომ იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მისი ავადმყოფობა იჩენს თავს (მაგალითად, ძლიერი თავის ტკივილი) წამალი ვერ ჩამოაქვს, არც არსებობს მისი შემცვლელი და იტანჯება გამოუვალი მდგომარეობით. მიაჩნია, რომ საქართველომ უნდა დაიწყოს ზრუნვა იმაზე, რომ მარიხუანის სამედიცინო დანიშნულებით გამოყენება შესაძლებელი გახდეს.

სამედიცინო მარიხუანა – რა შემთხვევებშია ის ეფექტიანი

დამოკიდებულების კვლევითი ცენტრის „ალტერნატივა ჯორჯიას" ხელმძღვანელი დავით ოთიაშვილი ამბობს, რომ დღეისათვის სამედიცინო თემი მეტ-ნაკლებად შეთანხმებულია, რომ მარიხუანა გარკვეული დაავადებების დროს არსებულ სიმპტომებს შველის. მისი თქმით, ასევე მიმდინარეობს კვლევები, რომლითაც დაავადების განკურნების კუთხით მარიხუანის პროდუქტების პოტენციალს სწავლობენ.

„რაც შეეხება სიმპტომებს, რომლებიც სხვადასხვა დაავადების დროს შეიძლება არსებობდეს – მაგალითისთვის ტკივილი ართრიტის, გაფანტული სკლეროზის დროს, უმადობა, პირღებინება, რომელიც შეიძლება თან ახლდეს შიდსის მკურნალობას, სიმსივნურ დაავადებას. ასევე C ჰეპატიტის მკურნალობის დროს არსებული უარყოფითი სიმპტომები – დეპრესია, ტკივილი, უძილობა, უმადობა, პირღებინება. სპაზმური სიმპტომები სხვადასხვა დაავადებისას მაგ. ეპილეფსიის დროს. პარკინსონის დროს ტკივილსა და ტრემორის (ხელების კანკალს) ამცირებს, ქიმიოთერაპიის დროს – უძილობას, შფოთვას. ეფექტიანია პოსტტრავმული სტრესის შემთხვევაში", – ამბობს ოთიაშვილი.

რაც შეეხება თავად დაავადებების მკურნალობას, მისი თქმით, იმედის მომცემი შედეგები არსებობს, რომ მარიხუანა შეიძლება ამცირებდეს სიმსივნური დაავადების პროგრესს, ალცჰეიმერისა და ასევე გლაუკომის – თვალის შიდა წნევის სამკურნალოდ შეიძლება იყოს ეფექტიანი და ა.შ.

ოთიაშვილის თქმით, არის კვლევები, რომლებიც სამედიცინო მარიხუანის ეფექტიანობას ადასტურებს, თუმცა, ჯერჯერობით, საკმარისად დიდ პოპულაციებზე არაა შესწავლილი, რაც იქნება საკმარისი, რომ მთელი მსოფლიოს სამედიცინო საზოგადოებამ ეს მიიღოს და აღიაროს, როგორც უტყუარი ფაქტი. თუმცა, მისივე თქმით, ბევრი ქვეყნის მთავრობამ და ექიმებმა, მაგალითად ამერიკაში, მინიმუმ 25 შტატის კანონმდებელმა და სამედიცინო საზოგადოებამ მიიჩნია, რომ დღეისთვის არსებული შედეგები საკმარისია

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისათვის, რომ მათ მოქალაქეებს მიეცეს საშუალება, გამოიყენონ ეს პრეპარატები. ამიტომ ვინც ჯერდება იმაზე და ვისთვისაც არსებული კვლევების შედეგები საკმარისია, თავის ტერიტორიაზე ამ პრეპარატების გამოყენებას კანონმდებლობით უშვებს.

რაც შეეხება კითხვას, რამდენად მნიშვნელოვნად და საჭიროდ მიიჩნევს ის საქართველოში მარიხუანის სამედიცინო დანიშნულებით ლეგალიზებას, ექიმი-ნარკოლოგი ამბობს, რომ მისთვის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მარტივია:

„საქართველოშიც არიან ადამიანები, ვისაც სამედიცინო მარიხუანა დაეხმარება. თუ არის შესაძლებლობა, რომ ვილაცას მაინც შეიძლება უშველოს, ჩემთვის კითხვა არ დგას – ამის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს. ვიცით უამრავი ადამიანი, ვინც წვალობს და იტანჯება მკურნალობის გვერდითი სიმპტომების ან სხვადასხვა ტკივილის გამო. საქართველოში უნდა არსებობდეს ამის შესაძლებლობა, რადგან ეს ვილაცას ტანჯვას შეუმსუბუქებს", – ამბობს ოთიაშვილი.

ჩარლზის უნივერსიტეტის პროფესორი ტომაშ ზაბრანსკი „ლიბერალთან" საუბრისას ამბობს, რომ თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის ფარგლებში სამედიცინო მარიხუანა სიმპტომების სამკურნალოდ გამოიყენება. მისივე თქმით, მარიხუანის შემთხვევაში დადებითია ისიც, რომ გარკვეული სიმპტომისთვის დოზის გაზრდაა შესაძლებელი, რადგან მისი მომაკვდინებელი დოზა არ არსებობს. ამდენად, იგი, ძირითადად, ტკივილის წინააღმდეგ გამოიყენება და არის დაავადებები, რომელთა სიმპტომიც ტკივილია.

ზაბრანსკის თქმით, სამედიცინო მარიხუანა გამოიყენება ისეთი შემთხვევების დროს, როგორიცაა თავის ტკივილი, სკლეროზი, პარკინსონის დაავადება, ასევე – გულისრევის საწინააღმდეგოდ, რომელიც გარკვეული დაავადების აგრესიული მკურნალობის გვერდითი ეფექტია. ამავე მიზეზებით სამკურნალო მარიხუანას უწერენ ონკოლოგიური და შიდსის მქონე პაციენტებს; ეპილეფსიის, კანის დაავადებების დროს, როგორიც ეგზემაა.

„ახლა კიბოს შემთხვევას სწავლობენ. მარტივად რომ ვთქვათ, კიბო ის შემთხვევაა, როცა უჯრედი იწყებს ჯანმრთელი უჯრედების განადგურებას. თუ შევძლებთ, რომ დაავადებული უჯრედი მოვკლათ და არა ჯანმრთელი, შესაძლოა, წარმატებას მივაღწიოთ. თუკი გავიგებთ, როგორ მუშაობს ენდოკანაბინოიდის სისტემა და როგორ შეგვიძლია კანაბინოიდის სისტემით მისი დამარცხება, მაშინ მედიცინაში რევოლუციას უნდა ველოდოთ", – ამბობს ზაბრანსკი.

როგორი განწყობა აქვთ საქართველოში

ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის წარმომადგენელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ხათუნა თოდაძე მიიჩნევს, რომ საქართველო ამ ეტაპზე მზად არ არის სამედიცინო დანიშნულებით მარიხუანის ლეგალიზებისთვის. მისი თქმით, დღესდღეობით ამ მიმართულებით მტკიცებულებები საკმარისი არ არის.

„ამ ეტაპზე დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ მარიხუანის შემადგენელ სამკურნალო ხაზს აქვს შეუცვლელი ფასეულობა. არსებობს სხვა მედი-

კამენტები, რომლითაც შესაძლოა, ისინი შეიცვალოს. როგორც ექიმს, მიმაჩნია, რომ ძალიან მალე დაგროვდება მონაცემები, რომლებიც ან დაასაბუთებს ან უარყოფს მარიხუანის პრეროგატივას, სიკეთეს სხვა მედიკამენტებთან შედარებით. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საქართველომაც უნდა გაიზიაროს, მაგრამ ჯერ, როდესაც გაურკვეველია, რამდენად ღირებულია სხვა ნივთიერებებთან, ან სხვა უკვე აპრობირებულ და დანერგილ მედიკამენტებთან შედარებით, არ ვიცი, რატომ უნდა ვიჩქაროთ", – ამბობს თოდაძე.

ხათუნა თოდაძე ამბობს, რომ ამერიკაში მარიხუანა არ არის წამყვანი სამედიცინო უწყებების მიერ მოწოდებული, როგორც სამკურნალო საშუალება. მისი თქმით, FDA (Food and Drug Administration) ამერიკის ცენტრალურ უწყებას, რომელიც არეგისტრირებს მედიკამენტებს და „მწვანე შუქს" უნთებს მათ, როგორც სამკურნალო საშუალებებს და რომელსაც ძალიან დიდი ავტორიტეტი აქვს მთელ მსოფლიოში, მარიხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა, ჯერჯერობით, არ დაუმტკიცებია, როგორც მედიკამენტი.

„მარიხუანაში არის ბევრი სხვადასხვა ნივთიერება. აქედან ნაწილს აქვს ნარკოგენული მოქმედება, ეს ძირითადად არის ტეტრაჰიდროკანაბინოლის (THC) ჯგუფის ნივთიერებები. მათ აქვთ გარკვეული ზეგავლენა მთელ რიგ პროცესებზე, რომელიც მიმდინარეობს ადამიანის ორგანიზმში. აქვს გარკვეული ტკივილგამაყუჩებელი ზემოქმედება, ასევე – სედატიური (დამაწყნარებელი); გარკვეული ზემოქმედება შეუძლია კოორდინაციის უნარზე; ზემოქმედებს მეხსიერებაზე, დასწავლის უნარსა და ა.შ. მის მედიცინაში გამოყენებაზე ამჟამადაც უამრავი კვლევა მიმდინარეობს, თუმცა კანაფის მცენარეში შემავალი სხვა ნივთიერებები (მაგ. კანაბიდიოლი – CBD, რომელსაც არ აქვს ნარკოგენული ეფექტი და კანაფიდან ამოღებული სპეციფიკური ნივთიერებები) გამოიყენება სამკურნალოდ და გარკვეულ შემთხვევებში ძალიან კარგი ეფექტი აქვს“, – ამბობს თოდაძე.

როგორი დამოკიდებულება აქვს ამ საკითხისადმი მმართველი პარტიის საპარლამენტო გუნდს. „ლიბერალი“ ახალარჩეული პარლამენტის დეპუტატს „ქართული ოცნებიდან“, მარიამ ჯაშს ესაუბრა.

ჯაში მიიჩნევს, რომ პაციენტის მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლებელია, მარიხუანის ან მისი შემადგენელი აქტიური ნივთიერებებისგან შემუშავებული პრეპარატების სამკურნალო მიზნებით გამოყენება. მისი თქმით, ამ მიმართულებით ფიქრი შესაძლებელია ნარკოპოლიტიკის ერთიანი ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში, რომელზე მუშაობაც დაგეგმილი აქვს „ქართული ოცნების“ გუნდს, შესაბამის ექსპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად.

ჯაში მიიჩნევს, რომ პაციენტის მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლებელია, მარიხუანის ან მისი შემადგენელი აქტიური ნივთიერებებისგან შემუშავებული პრეპარატების სამკურნალო მიზნით გამოყენება. მისი თქმით, ამ მიმართულებით ფიქრი შესაძლებელია ნარკოპოლიტიკის ერთიანი ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში, რომელზე მუშაობაც დაგეგმილი აქვს „ქართული ოცნების“ გუნდს, შესაბამის ექსპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად.

მისივე თქმით, ნებისმიერი საშუალება – როგორც მტკიცებულებითი მედიცინით რეკომენდებული, ასევე ტრადიციული და ალტერნატიული სამკურნალო საშუალებები – რომელიც ტკივილს შეუმსუბუქებს პაციენტს, პირადად მისთვის მხოლოდ მისაღები და მისასალმებელია. თუმცა, აქვე დასძენს, რომ სამედიცინო მიზნით მარიხუანის გამოყენება მკაცრ რეგულირებასა და კონტროლს საჭიროებს, რომელზეც აუცილებელია მსჯელობა და შესაბამისი მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმების შემუშავება.

„ძირითადი რისკი, ბუნებრივია, უკავშირდება სამედიცინო დანიშნულებით მარიხუანას ან მისი შემადგენელი კანაბინოიდებისგან დამზადებული პრეპარატების არალეგალურ გაყიდვას. შესაბამისად, მსგავსი ინიციატივა საქართველოში შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული ადმინისტრირებისა და მკაცრი მონიტორინგის პირობებში. იმ ქვეყნებმა, რომლებმაც უკვე დაუშვეს მარიხუანის სამედიცინო მიზნით მოხმარება, უზრუნველყვეს კონტროლის შესაბამისი მექანიზმებიც. მაგალითად, კანადაში, ავსტრალიასა თუ ამერიკის 20-ზე მეტ შტატში უკვე დანერგილია მარიხუანის სამედიცინო მიზნით მოხმარების პრაქტიკა, თუმცა პარალელურად მოქმედებს მისი არალეგალურად მოხმარების მკაფიო და მკაცრი რეგულაციები“, – ამბობს ჯაში.

ჯაში ამბობს იმასაც, რომ აღნიშნულ ეტაპზე, განცალკევებულად სამედიცინო მიზნით მარიხუანის მოხმარების საკითხი მათ პოლიტიკურ გუნდს ჯერ არ განუხილავს.

ამავე გუნდის წევრი, ახალარჩეული პარლამენტის ახალი წევრი აკაკი ზოიძე საქართველოში სამედიცინო მარიხუანის ლეგალიზებას ნაადრევად მიიჩნევს.

როგორც ის ამბობს, მიუხედავად მარიხუანის გარკვეული დადებითი სამედიცინო ეფექტისა, აღნიშნული ვერ აჭარბებს იმ პოტენციურ რისკს, როგორიცაა მისი ბოროტად გამოყენება.

ზოიძე მიიჩნევს, რომ საქართველო უნდა დააკვირდეს თურქეთის მაგალითს, სადაც სამედიცინო მარიხუანის გამოყენება ცოტა ხნის წინ ლეგალური გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დღეს საქართველოში რეცეპტულ ინსტიტუტსაც ზოგჯერ ბოროტად იყენებენ. ფსიქოტროპულ აფთიაქებთან დაკავშირებითაც დიდი პრობლემები გვაქვს, ახალგაზრდების მიერ სხვადასხვა ფსიქოტროპული საშუალების გამოყენების მხრივ. რატომ დავუმატოთ ამ პრობლემას კიდევ ერთი საკითხი", – ამბობს ზოიძე.

ექიმი-ნარკოლოგი დავით ოთიაშვილი კი ამბობს, რომ ვერანაირ განსხვავებას ვერ ხედავს სამედიცინო და კანაფის პრეპარატების მენეჯმენტებს შორის. მხრივ, თუ ეს ადამიანს რაღაცაში მაინც ეხმარება, მოთხოვნილებას გრძნობს, მოსწონს, გასართობად თუ ა.შ. აქაც, სიმართლე გითხრათ, სერიოზულ პრობლემას ვერ ვხედავ, ვფიქრობ, მარიხუანა ისედაც ლეგალური უნდა იყოს, როგორც ალკოჰოლი", – ამბობს ოთიაშვილი.

როგორც ტომაშ ზაბრანსკი ამბობს, რატომ უნდა გაიღოს ვინმემ ძალისხმევა სამედიცინო მარიხუანის უკანონოდ მოპოვებისთვის, როცა ქუჩაში მარიხუანის შოვნა გაცილებით ადვილია?!

მისივე თქმით, სახელმწიფოს თუ შეუძლია, რომ სიმსივნით დაავადებულებისთვის მორფისა და სხვა ნარკოტიკული ტკივილგამაყუჩებლების ადმინისტრირების მენეჯმენტი განახორციელოს, თუ ოპიოიდებზე დამოკიდებული ადამიანებისთვის მეტადონისა და ბუპრენორფინის ადმინისტრების მენეჯმენტს ახერხებენ, რატომ უნდა გახდეს კანაფის პრეპარატების ადმინისტრირება პრობლემური.

„სიმულირებისა და არალეგალურად მიღების საშიშროება, რა თქმა უნდა, არსებობს. აქ, ერთი მხრივ, უნდა ენდო იმ ექიმის პროფესიონალიზმს, რომელმაც სათანადოდ უნდა შეაფასოს პაციენტის მდგომარეობა და ამ პრეპარატის დანიშვნის საჭიროება. მეორე

მისი თქმით, იმ მკაცრი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც სამედიცინო კანაფის ქიმიური შემადგენლობის შექმნას სჭირდება, სამედიცინო კანაფი რამდენჯერმე უფრო ძვირია, ვიდრე რეკრეაციული მარიხუანა.

„ყოველთვის მაინტერესებდა, რატომ უშვებდნენ ქვეყნები მაგალითად მორფინის და სხვა ოპიატების, (რომლებსაც ძლიერი ფსიქოტროპული გვერდითი ეფექტები აქვთ) გამოყენებას მძიმე დაავადებების სამკურნალოდ, თუმცა არ ესმით, რომ იმავეს გაკეთება შეიძლება სამედიცინო კანაფისა და მასზე დაფუძნებული პროდუქტების შემთხვევაში", – ამბობს ტომაშ ზაბრანსკი.

მოხის საჯილდაო ქვები

ავტორი, ფოტო: დათო ფარეულავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ მოხეში 60-მდე ოჯახი ცხოვრობს, რომელთაგან 40 მუსლიმი, 20 კი ქრისტიანია. მუსლიმები ჰყვებიან, რომ მათი წინაპრები სოფელში ჯერ კიდევ 1970-იან წლებში ჩაასახლეს, რაც ეკომიგრაციულ პროცესებთან იყო დაკავშირებული, თუმცა ადიგენის მუნიციპალიტეტში მუსლიმი მესხები მანამდეც ცხოვრობდნენ და მეჩეთი, რომელიც დღეს სადავო ნაგებობის სახელითაა ცნობილი, 1920-1930-იან წლებში სწორედ მათ ააშენეს.

როგორი გრძნობა გიჩნდებათ, როცა ხედავთ, რომ თქვენი მეზობლები ტალახში ლოცულობენ? – შეკითხვა, რომელსაც, ალბათ, ემპათია უნდა გამოეწვია, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მცხოვრებ ქრისტიან მოსახლეობაში დღეს მხოლოდ აგრესიას იწვევს. კეთილმეზობლური თანაცხოვრება, რომელიც მოხელ მუსლიმებსა და ქრისტიანებს ათწლეულების განმავლობაში ჰქონდათ, ერთი სადავო ნაგებობად წოდებული შენობის გამო შეიცვალა.

თითქმის ორი წელი ელოდა მოხის მოსახლეობა კომისიის დასკვნას, რომელსაც უნდა დაედგინა, არის თუ არა სადავო ნაგებობა ისტორიულად მეჩეთი; ან არის თუ არა იგი ეკლესიის ქვებით ნაგები, როგორც ამას ადგილობრივი ქრისტიანები მიიჩნევენ. თუმცა მოლოდინი ამაო აღმოჩნდა. ალბათ, ძნელად თუ წარმოიდგენდნენ მოხელი მუსლიმები, რომ 2014 წლის 22 ოქტომბრის ძალადობრივი მოვლენების შემდეგ ლოცვა დღესაც მეჩეთს გარეთ მოუწევდათ. კომისიამ არათუ დასკვნა ვერ გამოიტანა, ნაგებობის წარმომავლობის შესწავლაც არ დაუწყია და როგორც გაირკვა, ამ ეტაპზე ამას არც აპირებს.

ნაგებობას დღეს პოლიციის ყვითელი ლენტი აქვს შემოვლებული. კარი და ფანჯრები აჭედილია. პარასკევის ლოცვის, ჯუმას აღსავლენად შეკრებილ მუსლიმებს ნაგებობასთან პოლიციის მანქანა ხვდებათ. მას შემდეგ, რაც ორწლიანი ლოდინით დაღლილმა მუსლიმებმა ჯუმა შენობაში აღავლინეს, პოლიციამ შესასვლელი გაურკვეველი სამართლებრივი საფუძვლებით ჩახერგა. მუსლიმები შენობის წინ, ატალახებულ მიწაზე შლიან ტენტის ნაჭრებს. აქ ლოცვა ერთგვარი პროტესტიც არის, რადგან სამართალდამცავები სალოცავში არ უშვებენ. ორი წლის წინ მომხდარი დაპირისპირება პოლიციის მიერ მუსლიმებზე ძალადობით დასრულდა, რაც დღემდე გამოუძიებელ საქმედ რჩება.

განსხვავებული ისტორიული მეხსიერება

სოფელ მოხეში 60-მდე ოჯახი ცხოვრობს, რომელთაგან 40 მუსლიმი, 20 კი ქრისტიანია. მუსლიმები ჰყვებიან, რომ მათი წინაპრები სოფელში ჯერ კიდევ 1970-იან წლებში ჩაასახლეს, რაც ეკომიგრაციულ პროცესებთან იყო დაკავშირებული, თუმცა ადიგენის მუნიციპალიტეტში მუსლიმი მესხები მანამდეც ცხოვრობდნენ და მეჩეთი, რომელიც დღეს სადავო ნაგებობის სახელითაა ცნობილი, 1920-1930-იან წლებში სწორედ მათ ააშენეს.

ქრისტიანი მოსახლეობა არ გამორიცხავს, რომ აქ შესაძლოა, მართლაც მეჩეთი ყოფილიყო, თუმცა ღრმად არის დარწმუნებული, რომ ნაგებობა ეკლესიის ქვებით აშენდა. ორი წლის წინ, როცა შენობის კლუბად ან ბიბლიოთეკად გადაკეთება განიხილებოდა, ქრისტიან მოსახლეობას პროტესტი არ გამოუთქვამს. ამის წინააღმდეგ მუსლიმი მოსახლეობა გამოვიდა და ორ რელიგიურ თემს შორის ურთიერთობაც სწორედ მაშინ დაიძაბა.

მუსლიმები დღესაც ელოდებიან, რომ კომისია დასკვნას გამოიტანს. მოხის მცხოვრები თამაზ ბერიძე ამბობს, რომ მათ პრეტენზია აღარ ექნებათ ნაგებობაზე, თუკი კომისია დაასკვნის, რომ იგი ისტორიულად ეკლესია იყო.

„თუ სახელმწიფო და ექსპერტები დაადგენენ, რომ ეს ეკლესიაა, მაშინ ვინ ვარ მე, ერთი მოხელი გლეხი, სახელმწიფოს რომ ვეჭიდავო? თუმცა, თუკი შესწავლის გარეშე გადაწყვეტენ, რომ არავის გადასცენ, ამაში ვერ დავეთანხმები. თუ ეკლესიაა, არ გვაქვს პრეტენზია, იყოს ეკლესია, თუმცა რატომ სთანხმდებიან ქრისტიანები მის კლუბად გადაკეთებას, თუკი ეკლესიაა?!“ – ამბობს ბერიძე.

ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ მოხელმა მუსლიმებმა „ბართლომეს ღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხელი მუსლიმები ჯუმას ე.წ. სადავო ნაგებობის წინ, ატალახებულ მიწაზე აღავლენენ

„ეს იგივეა, ქრისტიანებს ებრაელები ეძახო. მეზობლებმა მითხრეს, ეს შენობა ჩვენი მტრის აშენებულიაო. თურქეთი დღეს საქართველოს მეგობარი ქვეყანაა. მე რატომ ვარ მტერი? ძალიან შეურაცხმყოფელია, როცა მეორეხარისხოვნად მიგიჩნევენ. მე კი არ ვარ პრობლემა სახელმწიფოსთვის, ჩემი რელიგიაა“ – ამბობს მიქელაძე, რომლის შვილსაც 22 ოქტომბრის ღამეს სცემეს სამართალდამცავებმა.

მედ“ შეაფასეს 22 ოქტომბრის მოვლენები. ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენლები სამართალდამცავების თანხლებით გამოჩნდნენ – კომპანიას ნაგებობა ბიბლიოთეკად უნდა გადაეკეთებინა.

„ხალხი მივიდა, არ აძლევდა მუშაობის საშუალებას. უცბად პოლიცია გამოჩნდა – ძალიან ბევრი პოლიციელი, არამარტო ჩვენი რეგიონიდან. დაერივნენ ხალხს და ბართლომეს ღამე დაიწყო. საშინელება მოხდა. ხალხს სცემეს. დააპატიმრეს. თავი დაარტყმევინეს. ერთ ბიჭს კისერზე ფეხი დაადგეს. გამგეობიდან გაათავისუფლეს 4 შვილის მამა იმის გამო, რომ მუსლიმი იყო“, – ამბობდა 76 წლის ონისე ვანაძე „ლიბერალთან“ საუბარში.

ოთარ მიქელაძე 30 წელზე მეტია, მოხეში ცხოვრობს. მეზობლად მდებარე სოფელ დერცელში დაიბადა, სკოლა კი მოხეში დაამთავრა. რაც დაოჯახდა, მას შემდეგ მოხეში ცხოვრობს. იხსენებს, რომ სანამ სადავო ნაგებობის გამო დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, ქრისტიან მეზობლებთან ძალიან ახლო და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

„მე ამ საზოგადოებაში გავიზარდე. შეხმატკბილებული ცხოვრება და მჭიდრო კავშირები გვქონდა. ძალიან ახლოს ვიყავით კარის მეზობელთან, სანამ ეს დარბევა მოხდებოდა. ახალგაზრდა გოგოა, ჩვენს სკოლაში ასწავლის. ჟურნალისტმა ჰკითხა, რა აზრის ხართ ამ მოვლენებზეო, მან კი უპასუხა, რომ ყველაფერი ჩვენი გაუნათლებლობის ბრალი იყო. ტყვია რომ ესროლათ, ის არ მეტკინებოდა ასე ძალიან. დედამისმა თქვა, აქაური მუსლიმებისგან დაცვას ვთხოვთ სახელმწიფოსო. არადა, 36 წელია, ერთად ვცხოვრობთ და ერთი ხმამაღალი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. მას შემდეგ გამარჯობა დამთავრდა ჩვენში“ – ამბობს ოთარ მიქელაძე.

ოთარ მიქელაძე 30 წელზე მეტია, მოხეში ცხოვრობს. მისი თქმით, სანამ ნაგებობა სადავო გახდებოდა, ქრისტიანები და მუსლიმები სოფელში მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ

მისი თქმით, ქრისტიანი მოსახლეობა რწმენას ეროვნებასთან აიგივებს, რის გამოც მუსლიმებს ხან თურქებს, ხანაც არაბებს უწოდებენ.

„ეს იგივეა, ქრისტიანებს ებრაელები ეძახო. მეზობლებმა მითხრეს, ეს შენობა ჩვენი მტრის აშენებულიაო. თურქეთი დღეს საქართველოს მეგობარი ქვეყანაა. მე რატომ ვარ მტერი? ძალიან შეურაცხმყოფელია, როცა მეორეხარისხოვნად მიგიჩნევენ. მე კი არ ვარ პრობლემა სახელმწიფოსთვის, ჩემი რელიგიაა“ – ამბობს მიქელაძე, რომლის შვილსაც 22 ოქტომბრის ღამეს სცემეს სამართალდამცავებმა.

ნათელა ნარიმანიშვილი მოხის სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. ახსოვს, რომ ადრე აქ საწყობი იყო, თუმცა დარწმუნებულია, რომ იგი ეკლესიის ქვებით არის ნაგები, ამიტომ მიიჩნევს, რომ შენობა არსებული სახით უნდა შენარჩუნდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის შემადგენლობას მოხელი მუსლიმები თავიდანვე უნდობლობას უცხადებდნენ. იმ კანდიდატების კომისიის შემადგენლობაში შეყვანაზე, რომელთაც მოხელი მუსლიმები ენდობოდნენ, რელიგიის სააგენტომ უარი განაცხადა. სამაგიეროდ, კომისიის წევრი გახდა სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს რამდენიმე წარმომადგენელი, მათ შორის, სრულიად საქართველოს მუფთი ბეგლარ ქამაშიძე, მისი მოადგილე ადამ შანთაძე და სამცხე-ჯავახეთის მუფთი მამუკა ვაშაყმაძე.

„ეს მეჩეთი ქართული ეკლესიის ქვებით არის აშენებული. რომ გვდომოდა, ეკლესიას გავაკეთებდით, მაგრამ უთანხმოებას მოვერიდეთ და ცალკე ეკლესია ავაშენეთ. თუ მუსლიმები არ თმობენ, არც ჩვენ დავთმობთ. მაშინ ჩვენც მეორე ეკლესიას ავაშენებთ“ – ამბობს ნათელა ნარიმანიშვილი.

მისი თქმით, კეხოვანში დიდი ეკლესია იყო და ნაგებობა სწორედ მისი ქვებით აშენდა.

„აქ ადრე საწყობი იყო. ხორბალი, სიმინდი, ლობიო ინახებოდა... შემდეგ კლუბად გადააკეთეს, კინოს აჩვენებდნენ, კონცერტები ტარდებოდა. კეხოვანში დიდი ეკლესია იყო და სწორედ იმ ქვებით არის აშენებული. სოფლებში, სადაც არ უნდა შეხვიდეთ, ქვები აღარ არის. ყველა აქ არის მოტანილი. რადგან შენობა სადავოა, ამიტომ გვინდა, რომ კულტურულ ძეგლად იქცეს და ასეთი სახით შენარჩუნდეს“ – ამბობს ნარიმანიშვილი.

„მაგათ როგორი გრძნობა უჩნდებოდათ, როცა კომუნისტების ქვეყანა დაიქცა და გარეთ, ცის ქვეშ ვლოცულობდით? ყველგან ჰქონდათ მეჩეთები, როცა ჩვენ ერთი ეკლესიაც არ გვქონდა“ – მპასუხობს სკოლის მასწავლებელი შეკითხვაზე, თუ როგორი გრძნობა ეუფლება, როცა ხედავს, რომ მისი თანასოფლელი მუსლიმები ტალახიან მიწაზე დაფენილ ნაჭრებზე ლოცულობენ.

ნარიმანიშვილს კოლეგებიც ეთანხმებიან. თინათინ ჩაგელიშვილი და მანანა ჩხეიძე დარწმუნებულები არიან, რომ მუსლიმებს სალოცავის პრობლემა არ აქვთ და სოფლის მედრესეზე მიმანიშნებენ.

„ამათ აქ არავინ შეუშვებს, თავს გავწირავთ. აქ ჩვენ ვართ უმცირესობა და კიდევ ამათ აქვთ დიდი გული“ – ამბობს მანანა ჩხეიძე.

„მუსლიმი ხარ თუ ქართველი“ – მეკითხებიან მოხის მცხოვრები ქრისტიანი მამაკაცები. ვინაობის გამხელა არ სურთ, თუმცა სათქმელი მათაც აქვთ: თუკი მუსლიმებს „ომი და ჩხუბი“ არ უნდათ, ნაგებობა უნდა დათმონ.

ორწლიანი მოლოდინი შედეგის გარეშე

მოხის სადავო ნაგებობის წარმომავლობის დადგენის მიზნით რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ფარგლებში კომისია 2014 წელს შეიქმნა. კომისია რამდენჯერმე შეიკრიბა, თუმცა მოხის მოსახლეობის მოლოდინი, რომ იგი ნაგებობის წარმომავლობას დაადგენდა, ამაო აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, კომისიამ შენობა მხოლოდ დაათვალიერა, მისი სამეცნიერო კვლევა კი არც დაუწყია. რელიგიის სააგენტოში ამბობენ, რომ ამ ეტაპზე ნაგებობის წარმომავლობის დადგენის საკითხი არ განიხილება, თუმცა კომისიის ერთ-ერთი წევრი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ანთიძე დაუფარავად ამბობს, რომ ნაგებობა არც ერთ მხარეს არ გადაეცემა და იგი ნაეკლესიარია თუ მეჩეთი, კომისია ამაზე მსჯელობას აღარ აპირებს. მუსლიმებს ალტერნატივად ძველი სამლოცველოს გამოსყიდვა ან სახელმწიფოს სახსრებით ახალი მეჩეთის აშენება შესთავაზეს, ე.წ. სადავო ნაგებობის სამომავლო ფუნქციის დადგენა კი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიანდეს. სააგენტოში ნაგებობისთვის რელიგიური დატვირთვის ფუნქციის მინიჭებას გამორიცხავენ და ამბობენ, რომ სავარაუდოდ, იგი კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციას შეითავსებს.

კომისიის შემადგენლობას მოხელი მუსლიმები თავიდანვე უნდობლობას უცხადებდნენ. იმ კანდიდატების კომისიის შემადგენლობაში შეყვანაზე, რომელთაც მოხელი მუსლიმები ენდობოდნენ, რელიგიის სააგენტომ უარი განაცხადა. სამაგიეროდ, კომისიის წევრი გახდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს რამდენიმე წარმომადგენელი, მათ შორის, სრულიად საქართველოს მუფთი ბეგლარ ქამაშიძე, მისი მოადგილე ადამ შანთაძე და სამცხე-ჯავახეთის მუფთი მამუკა ვაშაყმაძე.

მუსლიმთა სამმართველო სახელმწიფოს მიმართ ყოველთვის ლოიალური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. ჯგუფი, რომელიც მუსლიმთა სახელით საუბრობს და სახელმწიფოსგან ფინანსდება, მოსახლეობის ნაწილის აზრით, მუსლიმი თემის ინტერესებს არ გამოხატავს და სახელმწიფოსთან არის აფილირებული.

გამონაკლისი არც მოხის ნაგებობის შემთხვევაა. მამუკა ვაშაყმაძე ამბობს, რომ „სახელმწიფო ყოველთვის მიზანმიმართული და ობიექტურია, იგი ყოველთვის მსჯელობს და ვერავინ გახდება იმის გარანტი, რომ ნაგებობის წარმომავლობაზე მსჯელობას კომისია აღარ გააგრძელებს“.

მისი თქმით, ნაგებობის ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა და კომისია 1 დეკემბერს ისევ შეიკრიბება.

შეკითხვაზე, დააყენეს თუ არა სამუფთოს წარმომადგენელმა კომისიის წევრებმა ნაგებობის წარმომავლობის საკითხი დღის წესრიგში, ვაშაყმაძე პასუხობს, რომ „მთავარია, უპირველესად მუსლიმთა ლოცვის პრობლემა მოგვარდეს, ნაგებობის წარმომავლობის შესასწავლად კი დრო ჯერ წინ არის“.

მამუკა ვაშაყმაძე არ მალავს, რომ ამ ხნის განმავლობაში ნაგებობის წარმომავლობის შესწავლა არ დაწყებულა, თუმცა მას არ აქვს პასუხი შეკითხვაზე – რატომ?

ჭელის მეჩეთის იმამი ჯამბულ აბულაძე ამბობს, რომ მუსლიმთა სამმართველო სახელმწიფოს მიმართ კრიტიკული ვერ იქნება, რადგან მის მიერ არის შექმნილი და დღეს იგი ხელისუფლების საყრდენია.

„ვფიქრობ, რომ სამუფთოს ოკუპაცია მოახდინა სახელმწიფომ. ისინი კრიტიკულს ვერაფერს იტყვიან, რადგან სახელმწიფოზე არიან დამოკიდებულები. სამმართველო ვერ იქნება მოხელი მუსლიმების უფლებების დამცველი კომისიაში, რადგან შუამავლის როლს ასრულებს. კომისიაში არ შეიყვანეს მოხელი მუსლიმების ნდობით აღჭურვილი პირები, მათ შორის მე“ – ამბობს აბულაძე.

თუკი მუსლიმთა სამმართველო ახლაც ისევე ვერ დაიცავს მუსლიმი თემის ინტერესებს, როგორც ეს ბათუმში ახალი მეჩეთის ასაშენებლად მიწის გამოყოფის შემთხვევაში მოხდა, გამოდის, რომ მოხელი მუსლიმების ბედი გარეშე პირების ხელში რჩება. კომისიის შემადგენლობაში შედიან: სამუფთო სამმართველოს 4 და ქრისტიანი თემის 3 წარმომადგენელი, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი და ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს 2 წარმომადგენელი.

სახელმწიფოს გულგრილი პოლიტიკა მუსლიმი თემის პრობლემების მიმართ

თუკი პრობლემას არ აღიარებ, ბუნებრივია, მის მოსაგვარებლად არაფერს გააკეთებ. საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის პრობლემებს სახელმწიფო რომ სირაქლემის პოზიციიდან აკვირდება, უამრავი შემთხვევა მოწმობს. ეს პრობლემა ბევრად მასშტაბურია და მოხის ნაგებობის საკითხს სცდება.

რაც, თითქმის ორწლიანი მოლოდინის შემდეგ მუსლიმებმა მოხის ნაგებობაში ლოცვა აღავლინეს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელმა, ზაზა ვაშაყმაძემ ბრიფინგი გამართა.

როგორც გაირკვა, სააგენტო სულაც არ მიიჩნევს, რომ 2 წელი კომისიის მუშაობისთვის დიდი დროა. იგი არც იმას გამორიცხავდა, რომ ნაგებობის წარმომავლობის დადგენის პროცესი 3 წელი გაგრძელებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხის ე.წ. სადავო ნაგებობის წარმომავლობის დამდგენი კომისია მომდევნო შეკრებას 1 დეკემბერს გამართავს. ცხადია, რომ ამ დღეს კომისიის დასკვნას არ უნდა ველოდოთ. ის, რაც თითქმის 2 წლის განმავლობაში ვერ დადგინდა, შეუძლებელია, კომისიამ ერთ კვირაში გაარკვიოს. თუმცა, ალბათ, სწორედ ამ დღეს გაირკვევა, რამდენად თანასწორუფლებიანია სახელმწიფოსთვის საქართველოს მუსლიმი და ქრისტიანი მოქალაქე.

საგულისხმოა, რომ კომისიის შემადგენლობაში არ არიან ადამიანები, რომელთაც ნაგებობის წარმომავლობის დადგენის კომპეტენცია აქვთ. კომისიის დასკვნას არც რაიმე იურიდიული ძალა აქვს. ბრიფინგზე ზაზა ვაშაყმაძემ ყურადღება იმაზე გაამახვილა, თუ რა ძვირი დაჯდებოდა ნაგებობის ექსპერტების ჩართვით გამოკვლევა.

მისი თქმით, შენობის საძირკვლის შესწავლა დაახლოებით 80 000 აშშ დოლარი ჯდება, მთლიან გამოკვლევას კი, საბოლოო ჯამში, 200 000 დოლარი მაინც დასჭირდება, ამიტომ, კომისიამ საკითხის კონსენსუსის გზით მოგვარება გადაწყვიტა, რაც კომისიის შექმნის მიზანს – დაედგინა შენობის წარმომავლობა, იმთავითვე ეწინააღმდეგება. ვაშაყმაძემ კომისიის 2-წლიანი მუშაობის უდიდეს მიღწევად „დიალოგის აღდგენა“ მიიჩნია.

„იმის თქმა, რომ მუსლიმი თემი არის დისკრიმინირებულ მდგომარეობაში, ტყუილი და არასწორია" – ასე აფასებს ზაზა ვაშაყმაძე მუსლიმთა უფლებრივ მდგომარეობას. მისი აზრით, სწორედ ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ „2014 წელს საბჭოთა პერიოდში მიღებული ზიანის ანაზღაურებისთვის მუსლიმმა თემმა 1 100 000 ლარი, 2015 წელს კი 2 200 000 ლარი მიიღო სახელმწიფოსგან“.

ალბათ, არ არის ძნელი მისახვედრი, თუ რამდენად ეფექტიანია სახელმწიფოს მიერ „რელიგიურ ნიადაგზე შესაძლო კონფლიქტის რისკების თავიდან ასაცილებლად“ შექმნილი უწყება, რომელსაც მუსლიმი თემის უფლებების დაცულობის ერთადერთ არგუმენტად მისთვის დარიცხული ფულადი სახსრები და დროებით სარგებლობაში გადაცემული საკულტო ნაგებობები მოჰყავს.

ვაშაყმაძეს არ უსაუბრია იმ ძალადობრივი ფაქტების გამოუძიებლობაზე, რომელთა წინაშეც მოხელი მუსლიმები ორი წლის წინათ აღმოჩნდნენ. 2014 წლის 22 ოქტომბერს, როცა მათ ნაგებობის კლუბად გადაკეთებას შეუშალეს ხელი, ოთარ მიქელაძესა და მის შვილს, თეიმურაზ მიქელაძეს სამართალდამცავებმა სცემეს. გამოძიება დღემდე უშედეგოდ გრძელდება და საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოშია შეტანილი.

სახელმწიფო რომ მუსლიმი თემის უფლებების შეზღუდვას არ აღიარებს, ამას სხვა ფაქტებიც ადასტურებს. მაგალითად, 2016 წლის 6 მაისის ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლებმა მუსლიმი თემის დისკრიმინაციაზე საუბარს „ქვეყანაში ტერორისტების მოწვევა“ უწოდეს.

„მიზანმიმართულად საუბრობენ იმაზე, რომ სახელმწიფო მართლმადიდებელ თემთან ერთად მუსლიმ თემს ჩაგრავს. რეგიონში არსებული საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, ასეთი განცხადება პრაქტიკულად ტერორისტული და რადიკალური ძალების საქართველოში მოწვევაა, მუსლიმთა უფლებების დასაცავად, იმ ძალებისა, რომლებიც ბოლო პერიოდში რეგიონში გააქტიურდნენ“ – სწორედ ამ სიტყვებით მიმართეს რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლებმა „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს“. მათი თქმით, საუბარი იმაზე, რომ სახელმწიფო მუსლიმებს ჩაგრავს საზოგადოებრივი კეთილდღეობისკენ არ არის მიმართული.

მუსლიმთა პრობლემების მიმართ სახელმწიფოს ზერელე დამოკიდებულებაზე მიუთითებს ბათუმში ახალი მეჩეთის ასაშენებლად მიწის მოთხოვნის შემთხვევაც. ეს საკითხი აჭარელმა მუსლიმებმა დღის წესრიგში ჯერ კიდევ 10 წლის წინ დააყენეს. ორთა ჯამე, მლოცველთა სიმრავლის გამო, მრევლს ვერ იტევს, ამიტომ, მუსლიმები იძულებულნი არიან, მეჩეთის გარეთ აღავლინონ ლოცვა.

წინასაარჩევნო პერიოდში სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხის ე.წ. სადავო ნაგებობა პოლიციის ლენტით არის გარშემორტმული, მუსლიმები იძულებულნი არიან, ნაგებობის გარეთ ილოცონ

მწიფომ მათ მიწის ნაკვეთი მას შემდეგ შესთავაზა, რაც მუსლიმებმა მიწა პირადი სახსრებით, დამოუკიდებლად შეიძინეს.

სახელმწიფომ მუსლიმი თემის პრობლემებისადმი მგრძნობელობის უქონლობა ყველაზე უკეთ, ალბათ, მაშინ გამოამჟღავნა, როცა ახალციხე-ადიგენის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარ კანდიდატად გიორგი კოპაძე წარადგინა.

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სოფელ ჭელაში გიორგი კოპაძე მინარეთის დაბრუნებას აპროტესტებდა. ამჟამად ახალციხე-ადიგენის მაჟორიტარი თანამოაზრეებთან ერთად რეფერენდუმსაც მოითხოვდა, რომლითაც მოსახლეობას უნდა გადაეწყვიტა, უნდა იყოს თუ არა საქართველოში მინარეთები. ახალციხე-ადიგენის ოლქში კოპაძის წარდგენა მუსლიმმა თემმა მმართველი გუნდის მხრიდან შეურაცხმყოფელად შეაფასა. ალბათ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დეპუტატი ისლამოფობიის დაძლევას ასეთ მოკლე ვადებში შეძლებს და პარლამენტში მუსლიმი უმცირესობის ხმა იქნება.

მოხის ე.წ. სადავო ნაგებობის წარმომავლობის დამდგენი კომისია მომდევნო შეკრებას 1 დეკემბერს გამართავს. ცხადია, რომ ამ დღეს კომისიის დასკვნას არ უნდა ველოდოთ. ის, რაც თითქმის 2 წლის განმავლობაში ვერ დადგინდა, შეუძლებელია, კომისიამ ერთ კვირაში გაარკვიოს. თუმცა, ალბათ, სწორედ ამ დღეს გაირკვევა, რამდენად თანასწორუფლებიანია სახელმწიფოსთვის საქართველოს მუსლიმი და ქრისტიანი მოქალაქე.

საინტერესოა, ვის გადასცემდა სახელმწიფო ნაგებობას, საქმე მეჩეთის ქვებით ნაგებ ეკლესიასთან რომ გვქონდეს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფთა ჰაერის უფროსები

ავტორი, ფოტო: სოფო აფციაური

წყალტუბოში საბჭოთა არქიტექტურისა და გამწვანებული სივრცეების შერწყმა, ერთი შეხედვით, ეგზოტიკურ გარემოს ქმნის. ხეებში ჩაფლული სკვერები და შემოდგომის ფერები ქუჩებში ამ ქალაქში პირველად ჩასულ ადამიანს რომანტიკულ ემოციებს უღვიძებს. ქუჩებში ხალხი თითქმის არ დადის, ირგვლივ მხოლოდ კანტი-კუნტად მოსიარულე მანქანების ხმაური ისმის. სტალინის დროს აშენებული ერთ-ერთი სანატორიუმიდან პეგასის თეთრი ქანდაკება გაქვავებული სიმბოლოსავითაა წამოჭიმული. სიმბოლო გაქვავებული ქალაქისა და იმ დევნილების ცხოვრებისა, რომლებიც 24-ე წელია აქ, სხვადასხვა სანატორიუმში მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში იმყოფებიან. ქალაქში სეირნობისა და მათთან შეხვედრის შემდეგ ხვდები, რომ დევნილებს სულაც არ აკავშირებთ სენტიმენტები იმ გარემოსთან, რომელშიც წლების წინ საკუთარი სურვილის გარეშე აღმოჩნდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაყად აღმართული ქანდაკებები, გიგანტური სვეტები და ჭაღები – ამ დეტალებში კარგად ჩანს წყალტუბოს ყოფილ სანატორიუმებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინისტური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი პარადული მონუმენტალიზმის, პატრიოტული ხელოვნების დეკორაციებისა და ტრადიციული მოტივების კომბინაცია.

19 სანატორიუმი რუსეთიდან ჩამოსული დამსვენებლებისთვის, ძირითადად, 50-იან წლებში აშენდა, როცა ქალაქს სტატუსი ოფიციალურად მიენიჭა. მეშახტეების დასასვენებლად განკუთვნილ სანატორიუმს „მეშახტე" დაარქვეს. მეტალურგებს „მეტალურგი" ემსახურებოდა. 80-იან წლებში მთელ საბჭოთა კავშირში ქალაქი ერთ-ერთ პოპულარულ ტურისტულ ადგილად იქცა. მოსკოვი-წყალტუბოს მიმართულებით მატარებელიც კი დადიოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შენობები დაცარიელდა და დროებით უფუნქციოდ დარჩა, თუმცა – მხოლოდ დროებით. აფხაზეთის კონფლიქტმა სანატორიუმებს მალევე შესძინა საცხოვრებელი ფუნქცია. დევნილი ოჯახები მოქმედმა მთავრობამ 15 სანატორიუმში გადაანაწილა. მაშინ დევნილებს ეგონათ, რომ საცხოვრებლად არც ისე მოსახერხებელი შენობები მხოლოდ დროებითი თავშესაფარი იყო. თუმცა, ეს დროებითობა მათი უმრავლესობისთვის 24-ე წელია, გრძელდება.

ამჟამად წყალტუბოში დაახლოებით 1400 დევნილი ოჯახი ცხოვრობს. მათგან 1000 ოჯახი 15 სანატორიუმშია გადანაწილებული.

2011-13 წლებში დაახლოებით 1400 ოჯახი სანატორიუმებიდან ახალ საცხოვრებლებში განსახლდა. მათ შორის: 380 ოჯახი – წყალტუბოს შესასვლელში აშენებულ ბინებში, 600 ოჯახი – ბათუმში; 420 ოჯახი კი – ფოთში.

...

ბალახითა და ხავსით დაფარული ძველი კიბეებით „მეტალურგიული სანატორიუმის" უკანა ეზოში ავდივარ. მდუმარედ გადმომზირალ შენობას წრეს ვარტყამ იმის იმედით, რომ ირგვლივ ადამიანებს ვიპოვნი. სანატორიუმის პირველ სართულზე აზიდულ სვეტებს შორის მეორე სართულიდან ჩამოწოლილი რკინის დიდი ჭაღი მოჩანს – უკვე დაჟანგული, მაგრამ მაინც საოცრად შთამბეჭდავი. ხმაურზე შუახნის მამაკაცი გამოდის თავისი ოთახიდან: „ახლავე, ლალის დავუძახებ. ყველაზე კარგად მან იცის, როგორ ვცხოვრობთ".

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შენობები დაცარიელდა და დროებით უფუნქციოდ დარჩა, თუმცა – მხოლოდ დროებით. აფხაზეთის კონფლიქტმა სანატორიუმებს მალევე შესძინა საცხოვრებელი ფუნქცია. დევნილი ოჯახები მოქმედმა მთავრობამ 15 სანატორიუმში გადაანაწილა. მაშინ დევნილებს ეგონათ, რომ საცხოვრებლად არც ისე მოსახერხებელი შენობები მხოლოდ დროებითი თავშესაფარი იყო, თუმცა ეს დროებითობა მათი უმრავლესობისთვის 24-ე წელია, გრძელდება.

ლალი 50 წელს გადაცილებული, საშუალო ტანის ქალია. სანატორიუმის ორ ოთახში მოხუცებულ მამამთილსა და ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს. აფხაზეთიდან დევნილები არიან. მათ გარდა ამ სანატორიუმში 70-მდე ოჯახია.

ისევე, როგორც სხვა სანატორიუმებში მცხოვრები დევნილებისა, „მეტალურგის" ბინადრებსაც მძიმე საყოფაცხოვრებო პრობლემები აქვთ. შენობებში არ არის, ბუნებრივი აირი, რის გამოც, გათბობის საშუალებად ან შეშის ღუმლების, ან ელექტროგამათბობლების გამოყენება უწევთ.

ლალი ჰყვება, რომ ორივე შემთხვევაში, ზამთარში ამ ხარჯს დიდი გაჭირვებით ფარავენ. მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა დენზე ადრე არსებული 200-ლარიანი ვაუჩერიზაციის სისტემა გაუქმდა. 2013-2014 წლებში დევნილებს მანამდე დაგროვილი კომუნალური დავალიანებები გაუნულდათ და ყველა ჩასახლება ინდივიდუალურად გამრიცხველიანდა. დევნილების ყოველთვიური შემწეობა 22 ლარიდან 45 ლარამდე გაიზარდა, თუმცა მასობრივი უმუშევრობის ფონზე, დევნილები ამბობენ, რომ ეს ძალიან მცირე თანხაა და არაფერში ჰყოფნით:

„ნივის მარკის მანქანით რომ მოვიტანოთ შეშა, რომელიც დაახლოებით 2 კვირის სამყოფია, 70 ლარი მაინც გვჭირდება. დენის გამათბობლის შემთხვევაში 80 ლარი მოგვდის თვეში გადასახადი. მე არ ვმუშაობ, ჩემი ქალიშვილი არ მუშაობს. ორივეს დევნილის 45-ლარიანი პენსია გვაქვს და პლუს, მამამთილის ხანდაზმულობის პენსია".

ოთხსართულიან სანატორიუმს ახალი სახურავი 2 წლის წინ გადახურეს. წლების განმავლობაში ნადენი წვიმის შედეგად, კედლები ახლაც ნესტიანია, თუმცა ნესტის მიზეზი მხოლოდ ზემოდან ჩასული წყალი არაა.

2014 წელს „მეტალურგში" სახალხო დამცველი იმყოფებოდა. მაშინ დევნილებმა ომბუდსმენს შენობის შესასწავლად ექსპერტიზის დაქირავება სთხოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეტალურგიული სანატორიუმის“ სვეტებს შორის მეორე სართულიდან ჩამონოლილი ქაღი დაახლოებით 70 წლისაა.

დადგინდა, რომ სანატორიუმს საძირკველში წყალი აქვს შემდგარი და შენობა ნელ-ნელა ქვემოთ მიიწევს:

„ექსპერტმა გვითხრა, ძალიან მყარი შენობაა, არქიტექტურულადაც ისეა მოწყობილი, სვეტის არც ერთი ფრთა მეორეს შენობის დანგრევის საშუალებას არ მისცემსო, მაგრამ საცხოვრებლად მაინც საშიშიაო. გაგვაფრთხილა, მაგალითად, ორნამენტების ქვემოთ დადგომას მოვერიდოთ, ნებისმიერ დროს შეიძლება ჩამოიშალოსო. ასევე, შენობის ავარიულობას ოთახების კარებსა და ფანჯრების დეფორმირებაზეც ვატყობთ. ჩემი ოთახის კარს ძლივს ვკეტავ უკვე“, – ჰყვება ლალი და შენობის შუაში, დიდ დერეფანში გასვლას მთხოვს.

მრგვალი რიკულებიანი მოაჯირის უკან ორნამენტებიანი ხის კარის ზემოთ ელექტროკაბელები ერთ ადგილზეა შექუჩებული. აქედან კი ოთახებში კედლის გაყოლებაზე დენი გადის.

მერი კალანდია ამბობს, რომ ოთახებიდან ბავშვებს მარტო არ უშვებენ: „შენობის ავარიულობის პარალელურად, ამ ელექტროგაყვანილობების მუდმივად გვეშინია. ყოველ წამს შეიძლება, ხანძარი გაჩნდეს“.

არანაკლებ ცუდია სანატორიუმების სველი წერტილების მდგომარეობა. „მეტალურგში“ აბაზანები ოთახებშივე აქვთ მოწყობილი. ტუალეტები კი საერთოა, როგორც საბჭოთა პერიოდში აშენებულ, დასასვენებელ კომპლექსებს ახასიათებდა. იქიდან გამოსული მძიმე სუნი მთელ შენობას ედება, რადგან საერთო მოხმარების ტუალეტებში სიძველისგან ყველაფერი მწყობრიდანაა გამოსული და წყალი ჟონავს.

ლალის შენობის ბოლო სართულზე, აივანზე გავყავარ. აივნის კუთხეში ხის ფიცრულით პატარა შემოღობილი კონსტრუქცია დგას: „ეს ჩვენი საზაფხულო აბაზანაა. დევნილთა სამინისტროს წარმომადგენელს ვაჩვენე კიდევაც და ვთხოვე, იქნებ, შენობაში სველი წერტილები მაინც მოეწესრიგებინათ“.

მეორე სანატორიუმი, სადაც 35-მდე დევნილი ოჯახი ცხოვრობს, „რკინიგზის სანატორიუმია“. კვირა დღეა, ამიტომ მზიანი ამინდის გამო, აქ მცხოვრებლები ეზოში არიან შეკრებილები. მადონა კალანდია ქმართან ერთად ცხოვრობს. შვილები წლების წინ წავიდნენ სხვა ქალაქებში. ქმარი ხელოსანია, ორი წლის წინ ინსულტი გადაიტანა. ამბობს, რომ მკურნალობისთვის ფული არ ჰქონდათ, შვილის სახელზე კრედიტი გამოიტანეს. მა-

რეპორტაჟი



ლალი სანატორიუმის აივანზე პატარა ნის კონსტრუქციის სანახავად მთხრეს გასვლას – ეს ფიცრული ჩვენი საზაფხულო აბაზანაა.

დონა სეზონურად მუშაობს, ზაფხულობით ურეკში ხან მწვანილს ყიდდა, შარშან ხაჭაპურის ცხობა დაიწყო. საპენსიო ასაკი ჯერ არ აქვს, სოციალური დახმარებითა და დევნილების პენსიით სარგებლობენ:

„შვილებს თავიანთი ცხოვრება აქვთ. ყველას უჭირს, მათაც. ასე რომ, მათ ვერ ვთხოვ, მშია, წამლისთვის მამას ფული სჭირდება და გამომიგზავნე-მეთქი. თვიდან თვემდე ვცხოვრობთ იმაზე ფიქრით, როგორ ვიმყოფინოთ კაპიკები“.

„რკინიგზის სანატორიუმში“ მცხოვრებთა მთავარი პრობლემებიც, ძირითადად, უმუშევრობასა და მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურულ გარემოში ცხოვრებას უკავშირდება. 86 წლის სულოს საპირფარეშოს კედელზე, რომელიც დერეფანს უკავშირდება, ნაჭრის სქელი ფარდაგი აქვს ჩამოფარებული:

„კედელი ჩამონგრეულია და ამით მაქვს დამალული“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესი, კაცები თავიანთ პრობლემებზე საუბარს ერიდებიან. ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც სახელისა და გვარის გამოყენების წინააღმდეგია, ამბობს, რომ მძიმე სოციალური ფონი დევნილების მასობრივი უმუშევრობის ბრალია:

„პარასკევია დღეს, შუადღე. რატომ ვართ ყველანი სახლებში? ჩამოიარეთ სანატორიუმი და იკითხეთ, ოჯახში ვინ მუშაობს, რას აკეთებს? არაფერს. ეს პრობლემა დღეს არ დამდგარა ჩვენს ცხოვრებაში. 24 წელია, მას შემდეგ, რაც აქ გადმოვსახლდით, წყალტუბოში სამსახურის მოძებნა პრობლემაა. მე პერიოდულად გავდივარ ბაზარში და ხან მუშად ხან გადამზიდავად ვმუშაობ, მაგრამ თვეში მაქსიმუმ 80 ლარს შემოსავალი დავარქვა?“.

2011-2013 წლებში წყალტუბოდან დევნილების სხვა ქალაქებში გადასახლების დროს, რამდენიმე ოჯახმა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მიუხედავად, გადასვლაზე უარი თქვა. მიზეზი ახალ საცხოვრებელ გარემოსთან ადაპტაციის შიში იყო. ზოგს კი მიცვალებულის დატოვება გაუჭირდა წყალტუბოში და ფოთში, ახალ ბინაზე უარი თქვა.

„დევნილთა სამინისტრო, წლებია, გვპირდება, რომ მალე ახალ ბინებში, აქვე წყალტუბოში გადაგვიყვანენ. რაღა დაგვრჩენია, ველოდებით“, – მეუბნება მადონა კალანდია.

...

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ობიექტები – ასეთი ქვესათაურით შევიდა სახალხო დამცველის 2015 წლის სპეციალურ ანგარიშში წყალტუბოს რამდენიმე სანატორიუმი, მათ შორისაა სანატორიუმები: „ინტურისტი“, „იმერეთი“ „ფილიალი“.

„შენობების ნაწილი ამორტიზებულია და სერიოზულ გამაგრებას საჭიროებს. ყოფილა დაზიანებული ჭერის შენობის მეორე სართულზე, დენის ინდივიდუალურ მრიცხველებზე, ერთ-ერთი გვარის გასწვრივ პატარა ფურცელზე წარწერაა დატოვებული: „არ ჩაჭრათ, გადავიხდი მალე“. მადონა მიხსნის, რომ ეს მიღებული პრაქტიკაა სანატორიუმში.

ორივე სანატორიუმში, როგორც ჩამონგრევის შემთხვევებიც, რაც სიცოცხლისთვის – საფრთხის – შემცველია; ფაქტობრივად, არ მოქმედებს კანალიზაციის სისტემა. სარდაფებში დგას წყალი. რთულია ჰიგიენური პირობების დაცვა. არ მიეწოდება ბუნებრივი აირი, ხოლო მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური იმდენად მაღალია, რომ დევნილები ვერ ახერხებენ დავალიანების დაფარვას. ჩასახლებებში შექმნილი ვითარება, მართლაც, საგანგაშოა იმის გათვალისწინებითაც, რომ არ არის სათანადოდ დაცული მცირეწლოვანი ბავშვების ინტერესები და გარემო, რომელშიც ისინი იზრდებიან – არაკეთილსაიმედოა“, – წერია ომბუდსმენის ანგარიშში.

ერთი წლით ადრე, 2014 წელს ომბუდსმენი წყალტუბოს რამდენიმე სანატორიუმში იმყოფებოდა. მაშინ მან დევნილთა სამინისტროს განცხადებით მიმართა და სთხოვა, სანატორიუმებში სარეაბილიტაციო სამუშაოების მიზნით მეტი აქტივობა გამოეჩინა, სანამ მათთვის ალტერნატიულ ფართების მშენებლობას დაიწყებდნენ.

დევნილთა სამინისტროს ინფორმაციით, 2012 წლიდან დღემდე სამინისტრო ცდილობს, ოჯახების იმ საჭიროებებით უზრუნველყოფას, რაც აწუხებთ – წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, სახურავების გადახურვა, ელექტროგაყვანილობის მოწესრიგება, სანატორიუმების სრული გამრიცხველიანება.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, მერი კოჭლამაზაშვილი ამბობს, რომ 2015 წლის მონიტორინგის დროს, ობიექტებზე გარკვეული პრობლემები მოგვარებული იყო, მაგალითად, გადააფარეს სახურავები, მოწესრიგდა რამდენიმე საკანალიზაციო სისტემის მილები, თუმცა ამან ზოგადი ფონი ვერ შეცვალა და დევნილები ისევ საშიშ პირობებში არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სად მუშაობო, რომ მეკითხებიან ხოლმე, ვხუმრობ, სუფთა ჰაერის უფროსი ვარ-მეთქი. ამ ავარიულ შენობებს თუ თავს დავაღწევთ, კარგი იქნება, მაგრამ არ მგონია, ბინის შეცვლამ ბევრი რამ შეცვალოს იქამდე, სანამ უმუშევრობის პრობლემა გვექნება, დავრჩებით ისევ წყალტუბოს სუფთა ჰაერის უფროსებად“.

სუფთა ჰაერის უფროსები ვართ – ასე ხუმრობენ ხშირად წყალტუბოში დევნილები. უმუშევრობა მათთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა.

დევნილების უფლებებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“ განსაზღვრავს. დოკუმენტში წერია, რომ ხელისუფლების ვალდებულებაა, დევნილები უზრუნველყოს შესაბამისი დაცვითა და ჰუმანიტარული დახმარებით. მათ ხელი უნდა მიუწვდებოდეთ აუცილებელ საკვებსა და სასმელ წყალზე, თავშესაფარსა და საცხოვრებელზე, შესაბამის ტანისამოსზე, გადაუდებელ დახმარებასა და სანიტარულ მომსახურებაზე.

„სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ“ პაქტის მე-11 მუხლი სათანადო საცხოვრებელს ეხება. მნიშვნელოვანია, რომ ეს პაქტი ხაზს უსვამს ადამიანების არა მხოლოდ თავშესაფრით და ჭერით, არამედ სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფას. შენობა უნდა იყოს საცხოვრებლად ვარგისი, ანუ მოსახლე დაცული უნდა იყოს სიცივისგან, ნესტისგან, ჯანმრთელობისთვის მავნე ზემოქმედებისა და სხვა საშიში ფაქტორებისგან. იმავეს ავალდებულებს მთავრობას ადგილობრივი კანონიც „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“.

სახალხო დამცველის ანგარიშში ასევე საუბარი იყო დევნილთა განსახლების გაჭიანურებულ პროცესებზეც, განსაკუთრებით ისეთი ავარიული შენობებიდან, როგორიც წყალტუბოს ყოფილი სანატორიუმებია.

მინისტრის 2013 წლის 320-ე ბრძანების მე-4 მუხლი სწორედ განსახლების დროს პრიორიტეტების მინიჭებას უსვამს ხაზს და წერია, რომ კომისიამ, რომელიც გრძელვადიანი განსახლების პროცესებზე მუშაობს, პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს იმ დევნილებს, ვინც ავარიულ, სიცოცხლისთვის საშიშ გარემოში ცხოვრობს, ან დროებით გამოუყოს მათ ქირის ფული.

დევნილთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, წყალტუბოში 560 დევნილი ოჯახისთვის უკვე დაიწყო 8 ათსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. საწყის ეტაპზე მიმდინარეობს ორი კორპუსისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა 140 ოჯახზე. აგრეთვე, სურვილის შემთხვევაში, სანატორიუმში მცხოვრებ დევნილებს შეუძლიათ, ისარგებლონ სამინისტროში მოქმედი „სოფლად სახლის“ პროგრამით.

„სოფლად სახლის“ პროგრამის ფარგლებში შემოტანილ განაცხადებს, სამინისტრო, კრიტერიუმების შესაბამისად განიხილავს და დადებითი პასუხის შემთხვევაში, დევნილი ოჯახისთვის სახლს შეისყიდის. სამინისტროს ინფორმაციით, მნიშვნელოვანია, რომ საცხოვრებელ სახლსა და ადგილს დევნილი ოჯახები თავიანთი სურვილის მიხედვით არჩევენ. უმეტეს შემთხვევაში, „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში შესყიდულ სახლებს თან ახლავს მიწის ნაკვეთები, რაც დევნილ ოჯახებს დამატებითი შემოსავლის წყაროს გაჩენის შესაძლებლობას აძლევს“, – აცხადებენ სამინისტროში.

...

ბინით უზრუნველყოფა აგვარებს თუ არა დევნილთა პრობლემებს?

წყალტუბოში, ყოფილ სანატორიუმებში მცხოვრები დევნილებისთვის ალტერნატიული საცხოვრებლების საკითხი ყველაზე სენსიტიურია. მძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპირფარეშოებიდან გამოსული მძიმე სუნი მთელ შენობას ედება. სიძველისგან ყველაფერი მწყობრიდანაა გამოსული და წყალი ჟონავს.

მე საყოფაცხოვრებო პირობებიდან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად „ამ შენობებიდან გადასვლას“ ასახელებენ. თუმცა დევნილები კარგად ხვდებიან, რომ ახალი ბინები მათ მძიმე სოციალურ ფონსა და უმუშევრობის პრობლემას ასე მარტივად ვერ მოაგვარებს.

ამიტომ, არის შემთხვევები, როცა დევნილები ალტერნატიულ ფართებზე უარს ამბობენ და ისევ ძველ საცხოვრებელში, მიჩვეულ გარემოში დარჩენას ამჯობინებენ. ზოგი კი ახალ გარემოში მოხვედრის შემდეგ სხვა პრობლემებთან გამკლავებას იწყებს.

2015 წელს სახალხო დამცველის აპარატმა ალტერნატიულ საცხოვრებელ ბინებში განსახლებული დევნილების მდგომარეობა შეისწავლა. 2012-2013 წლის მასობრივი განსახლებების შემდეგ, ანგარიშის მიხედვით, დევნილების მდგომარეობა საარსებო წყაროებსა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის მხრივ არ გაუმჯობესებულა. სახელმწიფოს ისევ არ აქვს მათთვის დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა არ იძლევა დევნილების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. რეგიონებში განსახლებული დევნილების უმრავლესობის შესავლის მთავარი წყარო ისევ სოციალური შემწეობაა.

შეკითხვაზე, რამდენად გააუმჯობესებს დევნილების მდგომარეობას ახალ სახლებში გადასვლა, ან ექნებათ თუ არა მიწები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის, დევნილთა სამინისტროს პასუხია, რომ ის ადგილი, სადაც იწყება რვა ათასართულიანი საცხოვრებლის მშენებლობა, იქვე არსებული ადგილობრივი უბნის განაშენიანების გაგრძელებაა. „შესაბამისად, ახლად აშენებულ კორპუსებში მცხოვრებ დევნილებს ექნებათ საშუალება, ისარგებლონ ყველა იმ მომსახურებით და სიკეთით, რითაც სარგებლობს მეზობლად მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა“.

იმავე შეკითხვაზე „თბილისის“ საინატორიუმის წინ მდგარ რამდენიმე კაცს ელიმება:

„სად მუშაობო, რომ მეკითხებიან ხოლმე, ვხუმრობ, სუფთა ჰაერის უფროსი ვარ-მეთქი. ამ ავარიულ შენობებს თუ თავს დავაღწევთ, კარგი იქნება, მაგრამ არ მგონია, ბინის შეცვლამ ბევრი რამ შეცვალოს იქამდე, სანამ უმუშევრობის პრობლემა გვექნება, დავრჩებით ისევ წყალტუბოს სუფთა ჰაერის უფროსებად“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქი, რომელმაც მდინარე დაჭარა

ავტორი: ეკა მაღალდაძე
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

მდინარე, რომლის გარშემოც საუკუნეების განმავლობაში ქალაქი შენდებოდა და ვითარდებოდა, დღეს ამავე ქალაქს მთლიანად მოწყვეტილია.

ჯებირებითა და მუდამ დატვირთული ავტომაგისტრალებით გამოყოფილი მტკვარი ქალაქის მცხოვრებლებისთვის მიუდგომელია, ერთიდან მეორე სანაპიროზე გადასასვლელად – მოუხერხებელი, სარეკრეაციო ფუნქციით – გამოუყენებელი, დაბინძურებული და ტურისტებისთვისაც არც ისე მიმზიდველი. მდინარე, რომელიც შეიძლება დიდი ურბანული დასახლებისთვის მთავარ სასიცოცხლო არტერიად იყოს გამოყენებული, დღეს მხოლოდ გამდინარე წყალია.

მდინარე ჩანგეჩეონი და მის ირგვლივ მდებარე სარეკრიაციო სივრცე. სეული, სამხრეთ კორეა.

2003 წელს ქალაქ სეულის მერი ლი მიუნგ ბაკი ახალი ინიციატივით გამოვიდა. მისი იდეა ქალაქის ცენტრში გამავალი მაგისტრალისა და ესტაკადის, მთლიანობაში რამდენიმესართულიანი საავტომობილო ინფრასტრუქტურის მოშლას და მის ქვემოთ, გვირაბში მოქცეული მდინარის გათავისუფლებას, მის ირგვლივ კი სარეკრეაციო ზონის მოწყობას გულისხმობდა. ჩანგეს-თრიმი ქალაქის ურბანული განვითარების ადრეულ პერიოდში მოექცა გვირაბში, მის თავზე კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო მაგისტრალი აშენდა. მაგისტრალის ირგვლივ ტერიტორიები განსხვავებული ფუნქციით დაიტვირთა: ბაზრობები, მცირე საწარმოები. სეულის მერიის იდეას მკაცრი კრიტიკა და ხანგრძლივი პროტესტი მოჰყვა. ერთი მხრივ, ტრანსპორტის ბედით შეწუხებული ადამიანების, მეორე მხრივ კი, მაგისტრალის ირგვლივ არსებული განაშენიანების მფლობელების. თუმცა მერის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრები სხვადასხვა მიმართულებით ცალ-ცალკე მუშაობდნენ – მდინარის ირგვლივ ტერიტორიების ნაწილი გამოისყიდეს, ტრანსპორტის რეგულირების ახალი სქემა შექმნეს, ისტორიული ხიდებისა და უბნების აღდგენის გეგმა შეიმუშავეს. შედეგად კი 2005 წელს სეულის ათმა მილიონმა მცხოვრებმა 10.9 კმ სიგრძის მულტიფუნქციური სარეკრეაციო სივრცე მიიღო, რომელსაც დღეში 60 000 ადამიანი სტუმრობს. ჩანგესთრიმის პროექტი დღეს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ურბანულ გადაწყვეტილებად მიიჩნევა.

თუკი წლებისა და საუკუნეების განმავლობაში მტკვრის კულტურულ-სოციალური ფუნქცია დედაქალაქის განვითარებაში განუზომლად დიდი იყო, დღეს ის ქალაქის ინფრასტრუქტურის ნაწილიც აღარაა. ბეტონის ჯებირებში მოქცეული მდინარის ორივე მხარეს ავტომაგისტრალებია მოწყობილი. მდინარე ქალაქს, ქალაქი კი მდინარეს დაშორდა.

„მრავალი საუკუნის განმავლობაში მტკვარი იყო თბილისის, მისი ყოფისა და კულტურის ნაწილი, სასიცოცხლო ძარღვი. მტკვრის წყლით იკლავდნენ წყურვილს, რწყავდნენ თბილისის სახელგანთქმულ ბაღებს; მტკვარში იჭერდნენ თევზს, გრილდებოდნენ ზაფხულის ხვატში; მტკვარი და მისი ორივე ნაპირი შეუცვლელი ადგილი იყო ქეიფისა და დროსტარებისათვის, ანუ, როგორც გრ.ორბელიანი იტყოდა, „ლაზათიანი ჩასხდომისათვის“. გარდა ამისა, მტკვარზე გამართული წისქვილებით ფქვავდნენ ხორბალსა და სხვა მარცვლეულს; მტკვრის კალაპოტში მოპოვებული რიყის ქვით იკირწყლებოდა ქუჩები და შენდებოდა სახლები; მტკვრის საშუალებით გადაჰქონდათ ტვირთი და მტკვარზე (როგორც ქართველთა იორდანეზე) სრულდებოდა მნიშვნელოვანი რელიგიური რიტუალები, თუმცა ასეთი ვითარება იყო მანამ, ვიდრე კომუნისტებმა მტკვარი „გრანიტის აკვანში“ არ ჩააწვინეს და საავტომობილო მაგისტრალებით არ ჩახერგეს მდინარემდე მისასვლელი გზები. შედეგად, მტკვარი დაიკარგა, გაქრა თბილისელთა ყოფიდან, რასაც ხელი შეუწყო წყლის დაბინძურებამ მასში ჩაღვრილი საწარმოო თუ საყოფაცხოვრებო ნარჩენებით“, – ამბობს ჟურნალისტი და მწერალი ჯიმშერ რეხვიაშვილი „დედა მდინარეზე“ საუბრისას. მტკვრის შესახებ არაერთი კვლევა ჩატარებულა სხვადასხვა მიზნით, თუმცა მის ფუნქციაზე, როლსა და მნიშვნელობას ქალაქის ისტორიაში, მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სწორედ რეხვიაშვილი წერს.

ქალაქმგეგმარებელი ზურაბ ბაქრაძე ამბობს, რომ ის, რაც მტკვარს „დაემართა“, მთელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესის ნაწილი იყო. ურბანისტის თქმით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი მთელ მსოფლიოში, მათ შორის საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც, ავტომობილებზე ორიენტირებული ქალაქების შექმნით დაგვამახსოვრდა. 50-60-იან წლებში ძალიან ბევრ ქალაქში მდინარის სანაპიროები და მდინარეებთან მისასვლელები ავტომაგისტრალებმა შეიწირა. თუმცა, „გონს მოსვლა“ ყველაზე ადრე, 70-80-იან წლებში, გერმანიამ, შემდეგ კი სხვა ევროპულმა თუ აზიურმა სახელმწიფოებმაც დაიწყეს.

„მაშინ დაინახეს ქალაქი, როგორც კულტურული ფენომენი. დაიწყეს ფიქრი, როგორ მოშორებოდნენ ტექნოკრატიულ შეხედულებებს ქალაქგანვითარებაში, როგორ გაეაზრებინათ ქალაქი, როგორც მემკვიდრეობა და 90-იან წლების ბოლოს განსაკუთრებით გაძლიერდა და თანამედროვე მოვლენად იქცა მდინარეების გათავისუფლება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ურბანულ სისტემებში ჩართვა". – ამბობს ბაქრაძე.

ქალაქმგეგმარებელი განმარტავს, რომ დღეს მდინარის სწორად გამოყენების მთავარი ბარიერი სწორედ სანაპიროს სატრანსპორტო ფუნქციით გამოყენებაა. თუმცა მისი აზრით, ქალაქისა და მობილობის ახლებური გააზრება, ამ პრობლემის მოგვარებას არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც შესაძლებლად აქცევს:

„თუ გამოვალთ შეპყრობილობიდან, რომ ქალაქი მანქანაზე ორიენტირებული უნდა იყოს, თუკი მთავარი კითხვა აღარ იქნება: აბა ამდენი მანქანა სად გავატაროთო, მტკვრის ნაპირების გათავისუფლება შესაძლებელი იქნება, თუმცა მხოლოდ კომპლექსური ღონისძიებების გატარებით: ახლებურად თუ შევხედავთ მობილობის პრობლემას, ქალაქს დავინახავთ კულტურულ ფენომენად, დიდი მემკვიდრეობით, სოციალური კეთილდღეობის შექმნის დიდი რესურსით, მაშინ რეკრეაციას ძალიან დიდი წილი დაეთმობა და შესაძლებელი იქნება ტრანსპორტის პრობლემის სხვაგვარი გადაწყვეტა: ინდივიდუალური ტრანსპორტის შეზღუდვა ზოგიერთ რაიონში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მაქსიმალური განვითარება, ამ ორ მაგისტრალზე არსებული ნაკადების გადანაწილება. ახალი სატრანსპორტო სქემითა და ქალაქის ახლებურად დანახვით, დავიჯერებთ, რომ ამ მაგისტრალების გარეშე ცხოვრება შესაძლებელია."

ქალაქმგეგმარებელი ამბობს, რომ წარმოუდგენელია ისეთი მდინარე, როგორიც მტკვარია, საერთოდ არანაირი სიკეთის მომტანი აღარ იყოს ქალაქისთვის. მის სიახლოვეს უძრავი ქონება ძვირი და პრესტიჟული არ იყოს, ნაპირები რეკრეაციულ-ტურისტული ფუნქციით არ იყოს დატვირთული და მთლიანად იყოს მოწყვეტილი ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას.

„დღეს მტკვარი მხოლოდ არხია. მან თავისი მიმზიდველობა უნდა დაიბრუნოს. ამას ქალაქგანვითარების ახალი პოლიტიკის შემუშავება სჭირდება, რომელიც დაინახავს ქალაქს, როგორც ადამიანთა საცხოვრებელ ადგილს, რომელიც მოწოდებულია იმისთვის, რომ ჯანსაღ სოციალურ ცხოვრებას შეუწყოს ხელი, თავისი ყველა

■ წარმოიდგინეთ, ავჭალიდან ფონიჭალაში ველოდიპედით რომ შეგეძლოთ ჩასვლა, სანაპიროს გაყოლებაზე, ანდა წყლის ტრანსპორტის გამოყენება. მტკვრისა და მისი ნაპირების სარეკრეაციო ფუნქციის განვითარებით ამოისუნთქებდა ქალაქიც" – განმარტავს ზურაბ ბაქრაძე.

ასპექტით; აღმოაჩენს მტკვრის უზარმაზარ შესაძლებლობას. წარმოიდგინეთ, ავჭალიდან ფონიჭალაში ველოდიპედით რომ შეგეძლოთ ჩასვლა, სანაპიროს გაყოლებაზე, ანდა წყლის ტრანსპორტის გამოყენება. მტკვრისა და მისი ნაპირების სარეკრეაციო ფუნქციის განვითარებით ამოისუნთქებდა ქალაქიც" – განმარტავს ზურაბ ბაქრაძე.

ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნინო გვენცაძეც ამბობს, რომ მდინარეების რესურსი ქალაქგანვითარებაში განუზომლად დიდია. სწორედ ამიტომ ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ „მდინარეების რეაბილიტაცია" და მათი საქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირება დაიწყო.

„სამწუხაროდ, დღეს თბილისი ზურგშექცეულია მდინარეების მიმართ. იმის ნაცვლად, რომ მიგვეღო ისინი, მოვლენები პირიქით განვითარდა. მტკვარი ჯებირებში მოექცა. ადამიანი მტკვრის პირას ველარ მიდის, ავტომაგისტრალებმა კი სრულად მოწყვიტა ქალაქი მდინარეს", – ამბობს გვენცაძე და იხსენებს, რომ რამდენიმე წლის წინ სადისერტაციო კვლევის ფარგლებში მან სწორედ თბილისის მდინარეები და მათი ურბანული პოტენციალი შეისწავლა.

კვლევის ფარგლებში გაირკვა, რომ თბილისში სხვადასხვა ზომის 60-მდე მდინარეა, რომელთა შესახებაც ბევრმა ურბანისტმაც არაფერი იცოდა და, რომლებიც არც ერთ რუკასა თუ დოკუმენტში აღწერილი არ იყო.

„არის ძალიან ლამაზი მდინარები, რომლებიც მიედინება განაშენიანებაში, მერე იკარგება მიწის ქვეშ, მერე ისევ სადღაც ჩნდება, მაგრამ თავისი ბუნებრივი სილამაზე დაკარგული აქვს სწორედ ადამიანის უხეში ჩარევის გამო. იმიტომ, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური განაშენიანებები, საწარმოები, პრაქტიკულად, მდინარის კალაპოტში, ან სწორედ მათ ზემოთაა განთავსებული. სამწუხაროდ, ამ მდინარეების ირგვლივ მცხოვრებლებიც მათ ბუნებრივ ღირებულებად არ მიიჩნევენ და არც გაფრთხილებას ცდილობდნენ წლების განმავლობაში", – ამბობს გვენცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის ბამნვანების სქემის საპროექტო ვეხსია

■ ადგილები მტკვრის მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც რეკრეაციული სივრცეების განვითარებაა შესაძლებელი.

ლელვთახევის „გათავისუფლების“ წარმატებული მაგალითის გამეორება თბილისის სხვა მდინარეებზეც გვენცაძეს სავსებით შესაძლებლად მიაჩნია.

მაგალითად, კახეთის გზატკეცილისკენ მიმავალ გზაზე – ხევდალი, ორხევი, ფორაქაანთხევი, თეთრიწყალი.

„ამ მდინარეების ინტეგრირება იმ მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ სივრცეებში, პრაქტიკულად, აგარაკებს შეცვლის. ეს აღარ იქნება მხოლოდ ურბანული სკვერი. ესაა ადგილები, განსხვავებული ტემპერატურით, ჰაერით. ვფიქრობ, დიდი ხანია, დადგა დრო და აუცილებელია, ამ მდინარეების რეგენერაცია დავიწყოთ”.

გვენცაძის თქმით, აუცილებელია პირველი ნაბიჯები სახელმწიფომ გადადგას, გამოისყიდოს მდინარეების სიახლოვეს განაშენიანებული ტერიტორიები, შემდეგ კი მათი რეკრეაციული ფუნქციის განვითარებით ინვესტორებიც დააინტერესოს.

„მაგალითად ავიღოთ გლდანისხევი, რომელსაც სხვადასხვა დროს ლელთუბნისწყალი, ლელიანი ერქვა. მისი აღდგენა, დაცვა და სარეკრეაციო ფუნქციის მიცემა სავსებით რეალურია. აქ იმდენად დიდი და კარგი სარეკრეციო, საჯარო სივრცის შექმნა შეიძლება, დასასვენებელ-გასართობი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურით, რომ ის უზარმაზარ, მჭიდრო კვარტალურ დასახლებებს: გლდანს, გლდანულასა და მუხიანს საოცარ შვებას მისცემს.”, – ამბობს ნინო გვენცაძე.

სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსი ამბობს, რომ ევროპისა თუ აზიის სხვადასხვა ქვეყანაში მდინარეების გათავისუფლების ყველა მაგალითი ეკონომიკურად მომგებიანი იყო. „რეკრეაციული ფუნქცია მოიცავს ეკონომიკურ ფუნქციასაც. ეს არ არის გამოუყენებელი, აუთვისებელი და მიუდგომელი მწვანე სივრცეები. ესაა ბევრი განსხვავებული ფუნქციით დატვირთული სარეკრეაციო, საჯარო ტერიტორიები, რომლებიც ურბანულ დასახლებებს შვებას ჰგვრის“ – განმარტავს ნინო გვენცაძე.

საქართველო უკვე 15 წელია, მტკვრის დაცვის დღეს აღნიშნავს. ეს დღე კოალიცია „მტკვარ-არაქსის“ სპეციალისტების ინიციატივით დაწესდა. ამ დღეს, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესი, მტკვართან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობენ ხოლმე, ყველაზე მეტს კი, ცხადია – დაბინძურებაზე, განსაკუთრებით თბილისში.

1515 კმ სიგრძის ტრანსსასაზღვრო მდინარე, რომლის აუზიც საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ირანსა და თურქეთს მოიცავს, თბილისში, ძირითადად, ნუტრეინებითაა დაბინძურებული, განსაკუთრებით, ამონიუმის აზოტით, რომლის კონცენტრაციაც რამდენჯერმე აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმებს – როგორც ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ისე თევზის ეკოსისტემების შენარჩუნებისთვის აუცილებელ ევროკავშირის ზღვრულად დასაშვებ სტანდარტებს.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ სექტემბერში ჩატარებული გარემოს დაბინძურების მონიტორინგის შედეგების მიხედვით, კასპიის ზღვის აუზში სინჯები მტკვრიდან 14 წერტილში აიღეს, ასევე – მის შენაკადებში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაციის უდიდესი მნიშვნელობა მდინარე ვერეში აღინიშნა და ის 5.8 ჯერ აღემატებოდა ნორმას. მდინარე მტკვარში, ვახუშტის ხიდთან, ის ნორმას ორჯერ აღემატებოდა, 1.4-ჯერ – მეტეხის ხიდთან, მდინარე სურამულაში კი – თითქმის ხუთჯერ, მდინარე გლდანულაში – სამჯერ. დანარჩენი დამაბინძურებლებით მტკვრის საბინძურის მაღალი მაჩვენებელი იშვიათად ფიქსირდება. შესაბამისად, ერთი შეხედვით არსებული და შესამჩნევი დაბინძურება მონაცემებში არ არის ასახული, კვლევების შედეგებიც განსხვავებულია. ამას სპეციალისტები მტკვრის „განზავების“ მაღალი მაჩვენებლით ხსნიან, ანუ იმით, რომ მდინარე წყალუხვია და აღებულ სინჯებში მავნე ნივთიერებები ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას სწორედ ამიტომ არ აჭარბებს.

თუმცა მდინარის დაბინძურების პრობლემა აღიარებულია დედაქალაქის გარემოსდაცვით სტრატეგია 2015-2020-შიც, რომელიც ადასტურებს, რომ დაბინძურება მეტწილად გაუწმენდავი ურბანული ჩამდინარე წყლების მდინარეში პირდაპირი ჩაშვებითა და სოფლის მეურნეობაში აზოტის შემცველი სასუქების ჭარბი გამოყენებითაა განპირობებული. ჩამდინარე წყლების მოქმედი გამწმენდი ნაგებობა კი საკმარისი არაა მდინარე მტკვრის დაბინძურების პრობლემების გადასაჭრელად. მით უფრო, რომ ამ წყლების ნაწილი კოლექტორებში საერთოდაც ვერ ვხდება.

გარდაბანში მოქმედი გამწმენდი ნაგებობა კი, თბილისიდან და რუსთავიდან ტრანსპორტირებულ მუნიციპალურ ჩამდინარე წყლებს მხოლოდ პირველადად, მექანიკურად წმენდს, ანუ მყარი ნარჩენებისგან ასუფთავებს. 2018 წლამდე კომპანია Georgian Water and Power, რომლის მმართველობაშიცაა ახლა ეს გამწმენდი ნაგებობა, ვალდებულია, ამ წყლების არა მხოლოდ მექანიკური, არამედ ბიოლოგიური გაწმენდაც დაიწყოს. კომპანიაში ამბობენ, რომ ამისთვის კონკურსების გამოცხადებას, არსებული ნაგებობის რეაბილიტაციას და დამატებითი გამწმენდი ნაგებობების აშენებას აპირებენ.

თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის თანახმად, მდინარეს თბილისის კლიმატური თავისებურების ჩამოყალიბებაშიც უდიდესი როლი ენიჭება, თუმცა მისი სანაპიროები ამჯერად შეუფერებელი ფუნქციებითაა დატვირთული: ბაზრები, საწვავგასამართი და ტექნომომსახურების ობიექტები.

„ქალაქთმშენებლობის თეორიაში ხაზობრივი ქალაქების გამწვანება სწორედ წყლის აკვატორიების პარალელურად ვითარდებოდა (რიგა, ვალენსია, ვარშავა). ამასთან დაკავშირებით, თბილისის გამწვანების, ბაღ-პარკების ქსელის შექმნის რეალურ რეზერვს სწორედ მდ. მტკვრის სანაპიროები წარმოადგენს (სატრანზიტო დატვირთვისაგან გათავისუფლებისა და მათთვის მხოლოდ საქალაქო მნიშვნელობის გზების სტატუსით მოქმედების შემთხვევაში). ასეთი საპარკო სისტემა მტკვრის ორივე ნაპირზე გაზრდის ქალაქში გამწვანების ნორმატიულ და სანიტარულ-ჰიგიენურ მაჩვენებლებს; გააუმჯობესებს ჰაერის ინვერსიას; შეამცირებს ქალაქის ქუჩებში ხმაურის აკუსტიკური ბარიერის როლს; განტვირთავს არსებულ ბაღებსა და პარკებს ზედმეტი ფუნქციური დატვირთვისაგან, თავის თავზე აიღებს გარკვეულად ცენტრალურ ფუნქციებს (სასტუმროები, რეკრიაცია, ვაჭრობა და ა.შ.), რითაც გამოაცოცხლებს სანაპიროებს, შეამცირებს კრიმინოგენულ უკაცრიელ უბნებს და აქტიურად ჩართავს მტკვარს და



ავიღოთ გლდანისხევი, რომელსაც სხვადასხვა დროს ლელთუბნისწყალი, ლელიანი ერქვა. მისი აღდგენა, დაცვა და სარეკრეაციო ფუნქციის მიცემა სავსებით რეალურია. აქ იმდენად დიდი და კარგი სარეკრეაციო, საჯარო სივრცის შექმნა შეიძლება, დასასვენებელ-გასართობი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურით, რომ ის უზარმაზარ, მჭიდრო კვარტალურ დასახლებებს: გლდანს, გლდანულასა და მუხიანს საოცარ შვებას მისცემს.”, - ამბობს ნინო გვენცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის სანაპიროებს თბილისის სასიცოცხლო გარემოში." – ვკითხულობთ თბილისის გარემოსდაცვით სტრატეგიაში.

ქალაქგანვითარების გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის წევრები ამბობენ, რომ მტკვარსა და მის განვითარებასთან დაკავშირებით მათი ხედვაც სწორედ ქალაქისთვის მდინარის დაბრუნების იდეას ეფუძნება. გენგეგმის პროექტის ხელმძღვანელი მერაბ ბოლქვაძე მიიჩნევს, რომ ქალაქისთვის, რომელმაც მდინარე დაკარგა, უმნიშვნელოვანესი ამოცანა, სწორედ ამ მდინარის ნაწილების რეკრეაციული ფუნქციით დატვირთვა და მასთან მისვლის გაიოლებაა.

„მხოლოდ ორი ადგილია დღეს ქალაქში ისეთი, სადაც მტკვართან მისვლა შესაძლებელია, ესაა დიღმის ჭალები და დირსი ჭალის ქვედა ტერიტორიები, რომლებიც ჯერ კიდევ ლანდშაფტური სახითაა შემორჩენილი და სწორედ ამის შენარჩუნება-განვითარება გვინდა, რათა ისიც სხვა ადგილების მსგავსად ჯებირებში არ იყოს მოქცეული. ამ არეალებში სარეკრეაციო სივრცეების, დასვენებისა და გართობის ადგილების მოწყობა-განვითარება უმნიშვნელოვანესია", – ამბობს ბოლქვაძე.

მისივე თქმით, პროექტის ფარგლებში ქალაქის ცენტრშიც მოიძებნა ადგილები, სადაც რეკრეაციული სივრცეების განვითარებაა შესაძლებელი. განსაკუთრებით კი მარცხენა სანაპიროზე, სადაც გამწვანებული ხეივნებისა და საჯარო სივრცეების შექმნის – მტკვართან მისვლის მეტი შესაძლებლობა და პოტენციალია.

„საკმაოდ ცუდი მემკვიდრეობა გვაქვს იმ მხრივ, რომ მდინარეების დიდი ნაწილი გადახურულია და გვირაბებშია მოქცეული. ჩვენ გამოვავლინეთ ადგილები, სადაც მდინარეების გახსნა და ლანდშაფტური გამწვანებული სივრცეების შექმნა შესაძლებელია. ეს მოქალაქეებს მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მწვანე სივრცეში დასვენების საშუალებას მისცემს. მაგალითად, მდინარე გლდანულა, დიღმულახევი და ა.შ. იქ შესაძლებელია ამგვარი სივრცეების განვითარება", – განმარტავს ბოლქვაძე და დასძენს, რომ მდინარის მაქსიმალურად გამოყენება და მის გასწვრივ საჯარო სივრცეების შექმნა სწორედაც რომ ყველაზე „საშური და მნიშვნელოვანი" ამოცანაა, რადგან მდინარე ქალქგეგმარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

ქალაქგანვითარების გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის წევრები ამბობენ, რომ მტკვარსა და მის განვითარებასთან დაკავშირებით მათი ხედვაც სწორედ ქალაქისთვის მდინარის დაბრუნების იდეას ეფუძნება. გენგეგმის პროექტის ხელმძღვანელი მერაბ ბოლქვაძე მიიჩნევს, რომ ქალაქისთვის, რომელმაც მდინარე დაკარგა, უმნიშვნელოვანესი ამოცანა, სწორედ ამ მდინარის ნაწილების რეკრეაციული ფუნქციით დატვირთვა და მასთან მისვლის გაიოლებაა.

„სამწუხაროდ, დღეს მტკვარი, მართლაც, ბარიერი უფროა მოქალაქეებისთვის. მაგისტრალების გამო, მდინარესთან ვერ მივდივართ და ის შეკავშირების ნაცვლად გამყოფად იქცა. ესაა ჩვენი თემატური ხედვა – დაუბრუნდეს დაკარგული მდინარე მოქალაქეებს" – ამბობს ბოლქვაძე. მისი თქმით, ცალკე დაგეგმვის ნაწილი უნდა იყოს იმ არეალების გამოყოფაც, სადაც განსხვავებული სატრანსპორტო რეგულირებით ასევე მტკვართან „მიახლოება" გამარტივდება.

ქალაქის დღევანდელი მერის, დავით ნარმანიას წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი ნაწილი და დაპირება სწორედ მდინარე მტკვრის გაწმენდას და მის სარეკრეაციო ზონად გამოცხადებას შეეხებოდა. 2015 წლის გაზაფხულზე მერიამ წარმოადგინა პროექტი დიღმის ჭალების განვითარების შესახებ.

პროექტი ბელიაშვილისა და ფეიქრების ქუჩებს შორის მდ. მტკვრის 2კმ.-იან ზოლში, 50 ჰექტარ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის მოწყობას გულისხმობდა. კონცეფციის წარდგენისას, მერმა განაცხადა, რომ პროექტი გლდანის ხიდსა და დიღმის მასივს შორის მდინარის კალაპოტისა და სანაპირო არეალის სრულ რეკონსტრუქციას ითვალისწინებდა. ასევე ამ პროექტით ფუნქციას შეიძენდა თბილისის საზღვრებში არსებული ერთადერთი და ამჯერად უფუნქციოდ დარჩენილი კუნძული, რომელიც ქალაქის ბუნებრივი ღირსშესანიშნაობაა.

„ფუნქციას შეიძენს, ასევე, მდინარე მტკვარიც, რომლის სანაპიროზეც დაგეგმილია სასეირნო ბილიკების მოწყობა; ამ ადგილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა სანაპიროს სარეკრეაციო ფუნქციით განვითარება და თბილისის საზღვრებში არსებული ერთადერთი ბუნებრივი კუნძულის ათვისება. ტერიტორიაზე მოეწყობა დასასვენებელი პარკი. მდინარე მტკვრის სანაპირო ზოლზე გაშენდება სასეირნო ბილიკები; მოეწყობა, აგრეთვე, ველობილიკები და საფეხმავლო ხიდები, რომელიც მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს როგორც ერთმანეთთან, ისე მდინარეში არსებულ კუნძულთან დააკავშირებს; აშენდება, ასევე, გამწვანებული სივრცეებისთვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა, რომელიც ვიზიტორებს კომფორტულად დასვენების შესაძლებლობას მისცემს — კაფეები, საგამოფენო პავილიონები, სპორტული მოედნები, მცირე ზომის სასტუმროები და სხვა.

2016 წლის იანვარშიც, გასული წლის საქმიანობის შეჯამებისას, არქიტექტურის სამსახურმა ეს კონცეფცია ერთ-ერთ წარმატებულ სამუშაოდ წარმოადგინა, თუმცა პირველი პრეზენტაციის შემდეგ პროექტი სხვა ეტაპზე არ გადასულა, არც კონკურსი გამოცხადებულა და არც კონკრეტული მიზეზით შეჩერებულა. ჟურნალისტების დაინტერესების პასუხად გასულ წელს ივნისში მომხდარი წყალდიდობა სახელდებოდა, დღეს კი მერიაში პროექტის შეჩერების კონკრეტულ მიზეზზე საუბარი უჭირთ და ამბობენ, რომ როცა არქიტექტურის სამსახურს ახალი უფროსი ეყოლება, შესაძლოა „დიღმის ჭალების“ პროექტი სხვა ეტაპზე გადავიდეს და აქტიურად გაგრძელდეს მასზე მუშაობა.

მტკვრის პრობლემების კომპლექსურ გადაწყვეტას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წყლის შესახებ ახალი კანონის მიღებაში ხედავენ. წყლის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი მაია ოჩიგავა ამბობს, რომ ახალი კანონით, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად მომზადდა, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის მოდელი დაინერგება. 2024 წლამდე კი 5 სააუზო მართვის ერთეული შეიქმნება და მდინარეების, მათ შორის მტკვრის, მომავალიც — პოლიტიკისა თუ წყლის ხარისხის ან პოტენციალის შესახებ, სწორედ აუზების კონტექსტსა და ფარგლებში დაიგეგმება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იჰანის სის ქვეშ

ნათელა გრიგალაშვილი

ირანში ჩემი პირველი ვიზიტი საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს დახმარებით შედგა. მისი ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება სწორედ ომის ნაკვალევს უკავშირდება, რომელიც ყოველ ნაბიჯზე მხვდებოდა – შენობების კედლებზე დაღუპულ მებრძოლთა უზარმაზარი პორტრეტებისა თუ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე მიმოფანტული მემორიალური ძეგლების სახით. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ირანელთა მონიწება და პატივისცემა, რასაც ისინი სამშობლოსა და მშვიდობისათვის თავშეწირული გმირების – შაჰიდების მიმართ იჩენენ.

მე-20 საუკუნეში წარმოებულ ომებს შორის ირან-ერაყის ომი (1980-1988 წწ.) ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი იყო. მასში მილიონ-ნახევარი ადამიანი დაიღუპა.

1980 წლის 22 სექტემბერს ერაყმა ომი ირანზე მოულოდნელი სამხედრო შეტევით დაიწყო. ის რვა წელი გრძელდებოდა და მხოლოდ მაშინ დასრულდა, როცა ორივე ქვეყანა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რეზოლუციაზე შეთანხმდა. ირანმა ამ ომში 300 000 ადამიანი დაკარგა. მათგან 10 000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე იყო. რვაწლიანი ომის დროს ერაყს დიდ დახმარებას უწევდა აშშ, სპარსეთის ყურის ქვეყნები და საბჭოთა კავშირი, ირანს კი მხოლოდ სირიამ დაუჭირა მხარი.

Shalamcheh – ასე ეწოდება ადგილს ხუზისტანის პროვინციაში, ირანისა და ერაყის საზღვარზე, რომელსაც ყოველდღიურად მოსალოცად უამრავი ადამიანი სტუმრობს. ომის პერიოდში ქალაქი და მისი შემოგარენი ერაყის ჯარის ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა. ქალაქის დაცვისას 50 000-მდე ირანელი მებრძოლი დაიღუპა. დღეისათვის ამ ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ, მუზეუმია მოწყობილი. მას ირანელები სამშობლოსთვის დაღუპული შაჰიდების პატივსაცემად სტუმრობენ. ისინი გლოვობენ და იხსენებენ მათ სულებს. განადგურებული საომარი ტექნიკა, მავთულხლართები და ქვიშიანი ტომრები ომის სისასტიკეში გაბრუნებს და 28 წლის წინანდელ სურათს აცოცხლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაჰიდები – ირანელი გმირები

შაჰიდი – საკუთრების დაცვისთვის ბრძოლაში მოკლული მუსლიმი.

ეს პორტრეტები თეირანში, ერთ-ერთი მეჩეთის ეზოშია გადაღებული, სადაც დაკრძალულები არიან ირან-ერაყის ომში დაღუპული გმირები – შაჰიდები.

ირანი არის ქვეყანა, სადაც უდიდეს პატივს მიაგებენ ქვეყნის თავისუფლებისთვის მებრძოლ თავგანწირულ მეომრებს.

ეს საფლავის ქვის პორტრეტები კი, რომელთაც ყვავილებით არამხოლოდ ახლობლები და ოჯახის წევრები ამკობენ, იმ დიდი პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატულებაა, რომელსაც ირანელი ხალხი შაჰიდების მიმართ არ იშურებს.







ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფოტოპროექტი





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წეხილი მამაზე

გიორგი კეკელიძე

გიორგი კეკელიძის დედა და მამა, გულნარა ჩხარტიშვილი და ზურაბ კეკელიძე, საქორწინო მოგზაურობაში. 1983 წელი. ესენტუკი.

მამებზე ძნელად წერენ ხოლმე. წერენ, მაგრამ ვერც ისე იოლად, როგორც, ვთქვათ, დედებზე. მე დღეს მამაზე ვწერ. თუ მამას ვწერ:

გამარჯობა, მამა. შენ ყველაზე მორცხვი და მშრომელი კაცი იყავი, ვისაც კი ვიცნობდი ან მსმენია. მარტო ყოფნა გერჩივნა. ამიტომაც, ვიცი, მანდ წოლა გიჭირს. მანდ ბევრი ხალხია. შენი ადგილი მანდ არ არის. ზაფხული დადგა, სათხილეში ბალახი გაკვირვებულია, უკვე სოფელში უნდა ასულიყავი. ფიქრს გავურბივარ, როგორ შეძელი, ასე ავადმყოფმა ამდენი თხილის მარტომ მოგროვება, ჩამოტანა და ის თხილი ისევ არ გაყიდულა. რომც გავყიდო, არ ვიცი, რა ვუყო იმსიმძიმე ფულს, ყველაზე დიდ და მძიმე ფულს მსოფლიოში. ალბათ, გახსოვს, საღამოობით, ძილის ამბებს რომ მიყვებოდი. იმ ამბებით გაგყავდი შენი ვერახდენილი ოცნებების სასაფლაოზე. შენ მსოფლიო გინდოდა გენახა, მაგრამ ორი ავტობუსის გზა აღმოჩნდა დაბედებული საზღვარი.

იცი, სიცოცხლის მნიშვნელობა ყველაზე ცხადად როდის შევიგრძენი? ან გნებავთ დროის? ან სიკვდილის? მოგიყვები: შარშან, ნოემბრის ოცდაექვსში ექიმმა მამაჩემის პალატიდან გამიყვანა, დაძაბული სახით შემხედა და მითხრა: ჰა, ჰა, ერთი თვე ან თვე-ნახევარი დარჩენია და თქვენ როგორ გირჩევნიათ? მერე აღარ მაგონდება, რა აინტერესებდა იმ ექიმს: სახლში წავიყვანდით თუ იქ დავტოვებდით, მკურნალობას ვეცდებოდით თუ რამე გამაყუჩებელს ვიყიდდით. არ ვიცი. მახსოვს მხოლოდ იქ მჯდარი ნეიტრალურსახიანი ექთნის დაზეპირებული ამოხვნეშა: ეჰ, ეჰ! და ის, რომ მაშინ უცებ რამე კი არ მეწყინა, გავბრაზდი. დიახ, გავბრაზდი ამ უდანაშაულო ექთანზე და ყველაზე, ვინც ამის მერე მამაჩემთან შემოვიდოდა თავს დანანებით გადააქნევდა: ნაცნობებზე, ნათესავებზე, სხვებზე. ეს „ნწ, ნწ“, „ვაი“ და „ეჰ, ეჰ“ – ეს „ცოცხლებისგან“ „მომაკვდავისკენ“ მიმართული თანაგრძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობა, თითქოს ღმერთები დასტიროდნენ ოლიმპოდან ადამიანებს. და მინდოდა მეყვირა: „შეხედეთ, აი, ის, ცოცხალია, ტელევიზორს უყურებს, ისევე, როგორც შენ და მე? ზეგ მოკვდება? მაზეგ? მერე რა? აი, ახლა, ამ წუთას ცოცხალია!“

სადღაც საათის ჩაძინებული, დილის ექვსისკენ, დედაჩემმა გამაღვიძა და საოცრად მტკიცე ხმით მითხრა: მამაშენი აღარ არის, გიორგი, იცოდე, შენ კარგად უნდა იყო, ასე უნდოდა მამაშენს. ყოფილა წუთი, როცა ერთდროულად ხვდები ყველაფერს და ვერაფერსაც. მერე ეს წუთი სამუდამოდ გრძელდება, სხვა წუთებს ვერ ერევა მიჰყვება გაყინული. სხვა წუთებში ყველაფერი ხდება, რაც სიცოცხლის წესია – სამუშაო, სიყვარული, შური, სიხარული, დაღლა, გაოცება, ტკივილი. ეს წუთი კი ისევ ისეთია. ეს დამატებითი წუთი. ზუსტად იმ ჭერის ფერი, რომელსაც უმიზნოდ ავხედე, როცა საგანგებოდ ჩემთვის გამაგრებულმა დედაჩემმა ის სიტყვები მითხრა. დედაჩემმა, თვითონაც ავადმყოფმა, საღამოობით ძლივს რომ იდგა ფეხზე და ახლა ბზარდამალული ხმით მელაპარაკებოდა.

ის წუთი, ალბათ, არ გალღვება. არც დანარჩენ წუთებს შეერევა. თუ შეერია, ხელოვნური გახდება ყველაფერი, ცხოვრება კი სხვა ამბებს გულისხმობს – მოუსვენრობას და სიცხეს. ასეთი წუთები სიკვდილის მერე დაიძვრებიან. თუ სული არსებობს და თუ სული უკვდავია, ასეთ წუთებში იცხოვრებს სული. ეს იქნება მისი სამოთხე ან ჯოჯოხეთი.

***

თეატრში პირველად მამაჩემმა წამიყვანა. ოზურგეთში. 1990 წელს. არაფორმალების შეხვედრაა. არაფორმალები კი მრავლად მენახა, თუნდაც ჩემივე მეზობლები, მაგრამ მაშინ ზვიად გამსახურდია ჩამოვიდა. საღამო იყო. თბილი, მზეშერჩენილი. ქუჩაში – უჩვეულოდ ბევრი ხალხი. შესასვლელში – მით უფრო. ძლივს შევძვერით. ხელში ამიყვანა. სცენა დავინახე თუ არა, შუქი ჩაქრა. ზვიადმა დაიძახა, ეს სუკმა მოგვიწყოო. სანთლები ავანთოთო. იდგნენ სანთლებით და კითხულობდნენ ლოცვას. „მრწამს ერთი ღმერთი“. მართლა ჯადოსნური ამბავი გამოვიდა. უკანა გზაზე, ტრადიციულად, კისერზე ვეჯექი და მეუბნებოდა, მთვარეს გახედეო. სულ ასე იქცეოდა. არ უნდოდა, რამე ისეთი გამომრჩენოდა, რასაც თვითონ ამჩნევდა. ყვითელი და სავსე მთვარე ეკიდა. ოდნავ დამცინავი. მეგონა, სადაცაა თვალს ჩამიკრავდა. და რომც ჩაეკრა, ეს უფრო ნაკლებ გამიკვირდებოდა, ვიდრე უკვე მომხდარი – შინ დაბრუნებული, ეზოში დავრბოდი და ვყვიროდი: თეატრში ცოცხალი ზვიად გამსახურდია ვნახე-მეთქი. ასე, „პირიქით“ იწყებოდა ყველაფერი.

მეორე პროლოგიც უცნაური გამოდგა: მერე, ადგილობრივ კინოთეატრში რომ წამიყვანეს სკოლიდან, დიდი ეკრანი გაფუჭებული დაგვიხვდა. ამ ეკრანის წინ პატარა ტელევიზორი დაედგათ და ლეონარდო დი კაპრიოს დახრჩობის ამბავს იქ ვუყურეთ. ვინმეს რომ გადაეღო, ეპოქალური სცენა იქნებოდა. ფილმი ეგ იყო, თუ იყო. „ტიტანიკს“ მაინც სჯობდა.

***

ბაღში რომ მაკითხავდა, საღამოს შვიდამდე მის სამსახურში ვრჩებოდი. ვიჯექი კვერცხის კონტეინერსა და „პრიმას“ ყუთებს შორის საგანგებო სკამზე და „ტომ სოიერის თავგადასავალს“ ვუსმენდი. მამაჩემი საკუთარი ოცნებების ციხეში მუშაობდა – სურსათის მაღაზიაში, გამყიდველად. ოზურგეთის ბაზარზე ცალკე დავწერ – მგონი ერთ-ერთი საზვერე იყო საბჭოეთიდან თავისუფალ და დამოუკიდებელ და სუვერენულ, საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებულ საქართველოში სხეულების გადმოსაყვანად. შესაძლოა, ახლაც ამ საზვერეში ვართ. არ ვიცი.

ხოლო მამაჩემი მიკითხავდა ტომის ამბებს და ცალი თვალით და ცალი ხელით მარგარინს ყიდდა. ძნელი საქმეა, დამიჯერეთ. იქვე ჭადრაკის ისტორიის წიგნები და ამოცანების კრებულები ეწყო. კაპაბლანკა, ალიოხინი, ტალი. მამაჩემი ფიშერისტი იყო, თუმცა პოლ მორფი ყოფილა ადრე ყველაზე მაგარიო, იტყოდა ხოლმე. ყველას გახსნილი თამაშით უგებდაო. მაგრამ ოფიციალური ჩემპიონი ვერ გახდა, ადრე მოკვდაო. უიღბლო რომ იქნები კაციო. და კვერცხი 20 კაპიკი ღირსო. რამდენი გინდათო.

ძნელია ვერახდენილი ოცნებებით ცხოვრება. სადღაც დამალული ოცნებებით ცხოვრება. ალბათ, შენში შენზე დიდი მკვდრის ყოფნას ნიშნავს.

ამიტომაც, დღეიდან, სადაც წავალ, ყველგან წავიღებ შენს პატარა ფოტოს, ამ სურათით შეგახედებ სხვა სოფლებსა და ქალაქებს. განა მე არ ვიცი ზეპირად ის ფრაზები, სხვები რომ იტყვიან: „რა აზრი აქვს თავის მოტყუებას, ის მაინც ვერაფერს დაინახავს, ვერაფერს იგრძნობს, რომ ყველაფერი რასაც ფორმა აქვს, დაიშლება და გაქრება ადრე თუ გვიან“. ვიცი, მაგრამ ცხოვრება ცოდნაზე უფრო განცდა მგონია. და რადგან სამყარო ჩვენი წარმოდგენაა მასზე, ყველაფერი ისე იქნება, როგორადაც გამოვიგონებთ. ამიტომაც, შენ ცოცხალი ხარ, ადექი და გამომყევი ახალ გზებზე, მამა.

„იტალია ათიან წლებში – იტალია დღეს“, რეჟისორი სერენა სინიგალია

ალვის ხეებში შრიალებს ევა...

ფესტივალი "საჩუქარი" - მოჯლე სიით და უფრო ხანგრძლივი ვნებებით

ავტორი: დავით ბუხრიკიძე, ფოტო: გია გოგატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგვეძლო, მაჟორულად დაგვეწყო და გვეთქვა, რომ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ წელს მოკრძალებულ იუბილეს აღნიშნავს; მას დაარსებიდან თხუთმეტი წელი შეუსრულდა! 2008-2012 წლებში ფესტივალი გაურკვეველი (უფრო ზუსტად, კარგად გარკვეული) მიზეზებით არ გამართულა; ხოლო უკვე არჩევნების შემდეგ, 2013 წელს კულტურის სამინისტროს გადაწყვეტლებით, ისევ აღდგა და ყოველწლიური გახდა.

მართალია, წლევანდელი საფესტივალო განწყობა ცოტათი ოქტომბრის საარჩევნო-პოლიტიკურმა „ნევროზებმა“ გააფუჭა, მაგრამ ოპერისა და ბალეტის თეატრში ისეთი საზეიმო, ვნებიანი და შთამბეჭდავი ფლამენკოთი გაიხსნა, რომ მაყურებელი დაახლოებით ორ საათის განმავლობაში სრული არტსარეაბილიტაციო კურსის გავლასაც კი მოასწრებდა.

ესპანელი მოცეკვავე, მსახიობი და ქორეოგრაფი, 1970 წელს ფრანკფურტში დაბადებული და გრანადაში მცხოვრები ევა მარია გარიდო (შემდგომში ევა ერბაბუენა) თანამედროვე ცეკვის, ბალეტისა და უპირველეს ყოვლისა, ფლამენკოს გამორჩეული შემსრულებელია. სპექტაკლში სახელწოდებით „წვიმა“, ის პუბლიკას, მართლაც, შემოდგომის ნიაღვარივით ატყდება თავს და სხვა მოცეკვავეებთან, მუსიკოსებსა და მომღერლებთან ერთად, დიდ არტისტულ თამაშში, ჯადოსნობაში, ვნებასა თუ გრძნობებში ითრევს მაყურებელს. ეს ყველაფერი კარგად არის გაზავებული მარტოობისა და მელანქოლიის შეგრძნებებსა და რაღაცანაირ, თავშეკავებულ- არტისტულ გახელებასთან.

ევა ერბაბუენას ცეკვა აღსარებას ჰგავს, რომელსაც ის დიდი ვნებათაღელვითა და ინტიმური სიფაქიზით გაგვანდობს. იშვიათია, თავშეკავებული ტკივილი და სიკვდილი ისე გადმოსცეს ვინმემ, როგორც ამას ფლამენკოს აღიარებული მოცეკვავე ახერხებს. ლოგიკურია, რომ მაყურებელს უფრო ხელშესახები, გასაგები ტრაგიზმის შეგრძნება სურს, რომელიც ესპანური პოეზიით, ან გარსია ლორკას „დუენდეთი“ იქნება შთაგონებული... და ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგრძნებაც, ლორკაც და სცენაზე დანთებული ცეცხლიც იმ დიდი ტრაგიკული პოეზიის დასტურია, რაც მაყურებლამდე ცხადად აღწევს და რაც ესპანური კულტურის არქეტიპს შეადგენს.

ევას პირველივე გამოჩენა ჩაბნელებულ დარბაზში, წითელ სამოსში და შემდეგ ფინალში, მისი გაუჩინარება სიჩუმესა და ასევე „სიწითლეში", მყისიერ საპასუხო რეაქციასა და ოვაციას იწვევს დარბაზში! შემთხვევითი არ არის, რომ ის სამხრეთ-ესპანური ცეკვის, ფლამენკოს აღიარებული ოსტატია და პირველი ესპანელი შემსრულებელია,რომელმაც სიდნეის ოპერის თეატრის სცენაზე იცეკვა.

ევა ერბაბუენას სახელი ასევე მჭიდროდ უკავშირდება თანამედროვე ცეკვისა და ქორეოგრაფიის ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან პინა ბაუში და მიხეილ ბარიშნიკოვი. ევა ერბაბუენას უკვე დიდი ხანია, თავისი საცეკვავო ჯგუფი ჰყავს – ფლამენკოს ბალეტი, რომელთან ერთადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან მოყოლებული მონაწილეობს ფესტივალებსა და გასტროლებზე. ფესტივალის გახსნის საღამოს ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ქეთი დოლიძემ ევა ერბაბუენა დააჯილდოვა პრიზით „ხელოვნებაში სრულყოფილებისათვის" (ეს არის მიხეილ თუმანიშვილის სკულპტურის პატარა ასლი, რომლის ავტორია არქიტექტორი გია ჯაფარიძე).

სამაგიეროდ, ფესტივალ „საჩუქარსა" და თუმანიშვილის პრიზს, კარგა ხანია, შეჩვეულია ცნობილი ლიტველი რეჟისორი, მოსკოვის, ვახტანგოვის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რიმას ტუმინასი. რუსული კლასიკის წარმატებით მოთვინიერების შემდეგ (ჩეხოვის „ძია ვანია" ორი წლის წინანდელ ფესტივალზე) და (პუშკინის „ევგენი ონეგინი" გასულ წელს), ახლა უკვე ფრანგული აბსურდული ვიდეევილი ვიხილეთ.

თანამედროვე ფრანგი დრამატურგის, ჟერალდ სიბლეირასის პიესის მიხედვით, რიმას ტუმინასმა სპექტაკლი „ალვის ხეებში ქარი შრიალებს" ვახტანგოვის თეატრში რამდენიმე წლის წინ დადგა. მთავარ როლებს ცნობილი რუსი მსახიობები: ვლადიმერ სიმონოვი, ვლადიმერ ვდოვიჩენკოვი და მაქსიმ სუხანოვი თამაშობენ (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ).

ცხოვრების ბოლო წლებს პირველ და მეორე მსოფლიო ომგამოვლილი (!) მოხუცები თავშესაფარში ატარებენ. თანაგრძნობისგან სრულიად დაცლილ სამყაროში, მარტოსულები და მივიწყებულები, ცდილობენ, შეინარჩუნონ ურთიერთობები, იუმორი, ერთმანეთისადმი სიყვარული... თუმცა თავიდანვე გასაგებია, რომ ეს უკანასკნელი ძალიან ძვირადღირებული და მიუღწეველი სიამოვნებაა.

არცთუ შორეული ალვის ხეები, რომლებსაც მოხუცები თავშესაფრის ტერასიდან ყოველ დღე ხედავენ, თავისუფლების ერთგვარი მეტაფორაა და მათი ფიზიკურ-მეტაფიზიკური საზღვარიც. ირონიული დიალოგებით დახუნძლული, სამსაათიანი წარმოდგენის განმავლობაში მოხუცები სწორედ ამ

„წვიმა", რეჟისორი და ქორეოგრაფი ევა ერბაბუენა



ეროვნული ბიბლიოთეკა



„ალვის ხეებში ქარი შრიალებს“, რეჟისორი რიმას ტუმინასი

საზღვრის გადალახვისთვის, ანუ თავისუფლებისთვის ემზადებიან: დიდი კამათის შემდეგ სამეული სასოწარკვეთილებისგან იმ გორაკზე გაქცევას გადაწყვეტს, სადაც ალვის ხეები შრიალებს. მაგრამ სინამდვილეში, არაფერი მსგავსი არ მოხდება...

მეორე, უფრო კარგი პიესის ენით რომ ვთქვათ, სინამდვილეში მოხუცების თამაში უფრო „სიკვდილის როკვას“ ჰგავს, რომელსაც უბრალოდ, დახვეწილი ფრანგული კოსტიუმი მოსავს. სამივე პერსონაჟის – გუსტავის, ფერნანისა და რენეს გაქცევა ალვის ხეებისკენ, ანუ თავისუფლებისაკენ, სინამდვილეში, სწორედ სიგიჟისა და სიკვდილისკენ ლტოლვაა.

შეიძლება ითქვას, რომ სიბლეირასის პიესა თან ინტელექტუალურია და თან ბულვარულიც (ვითომ ბეკეტი და იქვე ნილ საიმონი). ცხადად იგრძნობა ისიც, რომ პიესა დაწერილია სამი ასაკოვანი მამაკაცი-მსახიობისათვის, რომელთაც ერთად გაბრწყინება თუ არა, ერთად კარგად და ფეხაწყობილად თამაში მოეთხოვებათ. თუმცა მთელი ეს პირობითობა საგანგებოდ იმსხვრევა კარგი რეჟისორის შემთხვევაში.

და მართლაც, რიმას ტუმინასი ამ პიესაში ახერხებს თავისი სანაქებო თუ საფირმო „სცენური მეტაფიზიკა“ ფიზიკად არ დაშალოს და დაანაწევროს, ხოლო ფინალურ სცენას (როცა ამოძრავდება ძაღლის სკულპტურა, პიუპიტრებიდან გადმოცვივდება ნოტები, ქარი ალვის ხეებს ისევ ააშიალებს და მოხუცები გიგანტურ თეთრ ეკრანს, ანუ უსასრულო სივრცეს ჩააშტერდებიან) ის მაშტაბი შესძინოს, რაც მის კლასიკურ დადგმებში ასე აღაფრთოვანებდა მაყურებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ აგე, მანჩესტერმა იმ დღესაც წააგო სტამბოლში, ფენერთან, რომელსაც მანამდე სულ იოლად მოუგო შინ. მგონი, ის ბოლო თამაში იყო, რომელიც რალაცას ჰგავდა და მერე, უკვე მერამდენედ, ყველაფერი აირია. მაურინიუმ კი თქვა, რაც ვიცი და არ ვიცი, გუნდს ყველაფერი დავარიგე, გავაფრთხილე კიდეც, ეგ თურქები შინ სხვანაირები არიან-თქო, მაგრამ ესენი საკურორტო განწყობით გავიდნენ და ამიტომაც დავისაჯეთო.

ვიდნენ და ამიტომაც დავისაჯეთო, თუმცა ნეტავ, მანჩესტერის მთავარი პრობლემა ესეც არ იყოს. მაურინიო დასჯილია, უკვე დააჯარიმეს დაახლოებით 60 ათასი ფუნტით, სტადიონის გვირაბში მსაჯთან კამათისთვის და თავიდან სტადიონზე მის შეშვებასაც არ აპირებდნენ, რადგან გვირაბში მსაჯს ეჩხუბა.

საერთოდ, მანჩესტერში მძიმე ვითარებაა ნერვების მხრივ და უფრო სამწვრთნელო შტაბში, თორემ ფეხბურთელების უმეტესობა ლანდებივით დაღოლავენ და, უკეთეს შემთხვევაში, დაფარფატებენ. ამ რუნიმ და კარიერის სახელოვნად დასამთავრებლად დიდი ამბით და სათავისო სარფით გადმოყვანილმა მსოფლიოს დამპყრობმა ამხელა იბრაჰიმოვიჩმა, მგონი, საერთოდ არ უნდა ითამაშონ. საერთოდ, როგორ, პრემიერლიგა დღეს ისეთია, რომ სახელისა და გენიის გარდაც ითხოვს რამეებს.

ჩემი მოკლე ჭკუით, რუნის ხუთი-ექვსი წელიწადია, დიდი ფეხბურთი არ უთამაშია, მაგრამ რუნია, მშრომელია, სახელია და ჰყავდათ. ახლა სულ გამოიფიტა, მაგრამ ეს წელიწადიც როგორმე და გზას კი იპოვნის. აგერ, შანხაიში უხმობს კვლავაც მოქმედი სვენ გორან ერიქსონი, კვირაში 500 ათასად. იბრაჰომოვიჩი კი, სავარაუდოდ, კვარტალში ერთხელ გაიბრწყინებს და თან მწვრთნელობისთვის მოემზადება, რაც, როგორც ირკვევა, ყველას ინგლისში უნდა, თუნდაც დაბლა ლიგებში. იმ დღეს კი ფენერბახჩესთან პირველ ტაიმში შეცვლაზე შემოსული, სიმონ კაიერს ახრჩობდა უკნიდან ვარდნისთვის.

რა თქმა უნდა, რუნი და იბრაჰიმოვიჩი არ არიან მანჩესტერის მთავარი ფიგურები მოედანზე და ნეტავ კი ისე ევარგათ, რომ ყოფილიყვნენ, რადგან გამოცანაც ეს არის, თუ ვინაა იქ მთავარი. ეს კვლავაც დასადგენია და პრობლემაც აქაა.

მანჩესტერი, ასე თუ ისე, ართმევს თავს რალაცას და შეუძლია, თამაშში ორმოცჯერ დაარტყას პატარა გუნდის კარში, მაგრამ საბოლოოდ ამ გუნდს ვერ მოუგოს. მის შუა მოედაზნე რამხელა ამბით მოყვანილი რამხელა პოგბა დგას, რომელიც თითქოს პოგბა კი არა, ლერწამია, რომელიც ირხევა ქართაგან ძლიერთა. რაშფორდი კი არის ერთგვარი იმედი, მაგრამ მეტად რბილი და ხუან მატას მოძრავი ნიჭიც და ანტონიო ვალენსიას უბერებელი ერთფეროვნებაც ვერ სწვდება პრემიერლიგის უმაღლესი ადგილების მოთხოვნებს. ახლა ეს ფელაინი, ოქროსფერი და მთელი დანარჩენი სამოსნები, ხანდახან სიმღერაში ხუთიანებით, ზემოდან კი მაურინიუ, რომელიც არასამუშაო საათებში მოწყენილი ზის სელფორდის სასტუმროში და ლონდონში დარჩენილ ოჯახს ისაკლისებს.

ამბობენ, რომ იანვარში კიდევ იყიდიან ახალ ხალხს. კიდევ, დღევანდელი ფეხბურთი დიდწილად ყიდვაა. სხვანაირად არ გამოდის. მაგრამ ყიდვა უბრალოდ აუცილებელი პირობაა წინსვლის გასაგრძელებლად. ამას კი, ცნობილი და გაცვეთილი ტერმინი „გუნდის გაკეთება“ უნდა მოჰყვეს. მაურინიუ, ერთ-ერთი ცნობილი გუნდის მკეთებელია მსოფლიოში და პრემიერლიგაში წლეულს სხვა გუნდის მკეთებლებიც გამოჩნდნენ, მასავით ლათინები. დიდად ამ კაცებსაც არ ეიოლებათ. იქ თამაში ძნელია, მაგრამ გვარდიოლაცა და პოჩეტინიოც დაზეთილ გუნდებს მეთაურობენ და ლიდერები არიან, იქვეა იურგენ კლოპიც, სხვა დროული ხალხი რომ აღარ ვახსენოთ.

მაურინიუმ იმ დღეს თქვა, განა 75 წლის ვარ, მხოლოდ ორმოცდაცამეტის და თამაშისადმი კვლავ დიდი ვნება მაქვსო. ჰოდა, აბა, ეს ვნება მის სავარძელსა და მინდორს შორის უჩინარდება. ჯერჯერობით და ცოტა არ იყოს, ხანგრძლივადაც. ■

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘᲐ
ᲡᲖᲠᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ RMG-ᲘᲡ
ᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ
ᲘᲔᲠ ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ
ᲠᲝᲪᲔᲡᲘ

ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ
ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ
ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲐ



n 167/83

WWW.LIBERALI.GE

მოგვყვეთით
twitter
http://twitter.com/LiberaliMagazine

მოგვინტონეთ
Facebook
http://facebook.com/LiberaliMagazine

გამოიწერეთ
YouTube
http://youtube.com/LiberaliMagazine